ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო დოხტურიშვილი

კახეთის რეგიონის დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური კვლევა

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი

თსუ ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

თბილისი

2025

აბსტრაქტი

საქართველო უკვე ათეული წლებია იმყოფება მძიმე დემოგრაფიული საფრთხის წინაშე. მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, უარესდება ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, მიმდინარეობს ცვლილებები სქესობრივ- ასაკობრივ სტრუქტურაში, იზრდება უარყოფითი დემოგრაფიული მაჩვენებლების ქვეყნის სოციალურ მახასიათებლებზე გავლენის ხარისხი ეს კი რეალურად ქმნის საქართველოში დემოგრაფიული შფოთვის საფუძველს დაბალი ნაყოფიერებისა და ,,არასაკმარისი მოსახლეობის“ საფრთხის გამო და დღის წესრიგში აყენებს მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობისა და ქცევისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას რეპროდუქციული უფლებებისა და არჩევანის გათვალისწინებით. ნაშრომში განხორციელდა კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი, კახეთის რეგიონში დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გამოვლენის თავისებურებების ანალიზი, 1994-2023 წლებში კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული პრობლემების იდენტიფიცირება და გამომწვევი მიზეზების დადგენა, კახეთის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობრივი მახასათებლების გაანალიზება, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა, შობადობისა, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, ქორწინებისა და განქორწინების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა, თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელი მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის, განწყობისა და თვითშენახვითი განწყობის ინდიკატორების დეტალური გამოკვლევა, რეგიონის დემოგრაფიული ვითარების მოლოდინების განსაზღვრა, ბინალური ლოგარითმული რეგრესიული მოდელის ემპირიული რეალიზაცია და სხვა. ჩამოყალიბდა არგუმენტირებული დასკვნები და შემუშავდა რეკომენდაციები.

რადგანაც წინამდებარე ნაშრომი კახეთის რეგიონის კომლექსური დემოგრაფიული გამოკვლევის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, მის შედეგებს აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას.

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფიული მდგომარეობა, ბუნებრივი მოძრაობა, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, დემოგრაფიული განწყობა, ანალიზი.*

Abstract

Georgia has been facing a serious demographic threat for decades. The population is decreasing, the natural population growth rate is deteriorating, changes are taking place in the sex-age structure, the degree of influence of negative demographic indicators on the social characteristics of the country is increasing, which actually creates the basis for demographic anxiety in Georgia due to the threat of low fertility and "insufficient population" and puts on the agenda the formation of the right attitude towards the demographic mood and behavior of the population, taking into account reproductive rights and choice. The paper analyzed the demographic situation of the Kakheti region, analyzed the features of identifying the main directions of demographic policy in the Kakheti region, identified demographic problems characteristic of the Kakheti region for 1994-2023 and determined the causes, analyzed the quantitative characteristics of the population of the Kakheti region, identified the main trends in changes in the sex-age structure of the population, identified the main trends in birth rate, mortality, natural increase, marriage and divorce, conducted a detailed study of the demographic behavior, mood and self-preservation mood indicators of the population characteristic of the modern stage, determined expectations of the demographic situation in the region, empirically implemented the binomial logarithmic regression model, etc. Argued conclusions were formed and recommendations were developed.

Since this work is one of the first attempts at a comprehensive demographic study of the Kakheti region, its results have theoretical and practical significance. They can be used in the development of social and demographic policy for both the region and the country as a whole.

Keywords: *demographic situation, natural population growth, sex-age structure, demographic transition, analysis.*

შინაარსი

ცხრილების ნუსხა 5
დიაგრამების ნუსხა 7
შესავალი 12
თავი 1. კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ძირითადი ტენდენციები 18
1.1 ლიტერატურული მიმოხილვა 18
1.2 რეგიონული დემოგრაფიული პროცესების შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები და დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გამოვლენის თავისებურებები კახეთის რეგიონში 27
1.3 კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 39
1.4 კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი 54
თავი 2. კახეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური მახასიათებლები 60
2.1. შობადობის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი 60
2.2. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკური შესწავლა 76
2.3. მოკვდაობის სტატისტიკური ტენდენციები გარდაცვალების მიზეზების მიხედვით 90
2.4 ქორწინებისა და განქორწინების სტატისტიკური ანალიზი 94
თავი 3. კახეთის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის სტატისტიკური კვლევის შედეგები 103
3.1 მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის ძირითადი ტენდენციები 103
3.2 თვითშენახვითი განწყობის მაჩვენებლების ანალიზი 132
3.3 ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ემპირიული ანალიზი და კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირება ARIMA მოდელის საფუძველზე 138
დასკვნა 146
გამოყენებული ლიტერატურა 151
დანართი 156

ცხრილების ნუსხა

1. ცხრილი 1.1 გაუკაცრიელებული და პატარა სოფლები კახეთის რეგიონში მოსახლეობის 2002-2014 წლების აღწერის შედეგების მიხედვით 48
2. ცხრილი 1.2 2014 წელს მოსახლეობის განაწილება თვითმმართველი ერთეულების და აღმსარებლობის მიხედვით 50
3. ცხრილი1.3 საქართველოს მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის ტემპებისა და ხვედრითი წილის მაჩვენებლები მთელს მოსახლეობაში რეგიონების მიხედვით 51
4. ცხრილი 1.4 კახეთის რეგიონის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (2023 წელი) 56
5. ცხრილი 2.2 ცოცხლად დაბადებულთა საშუალოწლიური ზრდის ტემპებისა და ცოცხლადდაბადებულთა საერთო რაოდენობაში ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, (%) 64
6. ცხრილი 2.3 კახეთის რეგიონის შობადობისა და შემოსავლების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი 2014-2023 წლების მიხედვით 79
7. ცხრილი 2.4 კახეთის რეგიონის მოკვდაობის ხვედრითი წილის და ინტენსივობის გაანგარიშება მუნიციპალიტეტების მიხედვით 79
8. ცხრილი 2.5 გარდაცვლილთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და სულ გარდაცვლილთა შორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით,% 85
9. ცხრილი 2.6 კახეთის რეგინში მცხოვრები მოახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით 87
10. ცხრილი 2.7 დაქორწინებულთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და სულ დაქორწინებულთა შორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით,% 101
11. ცხრილი 2.8 გაქორწინებულთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და სულ განქორწინებულთა შორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით,% 102
12. ცხრილი 3.1 ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის კროსტაბულაცია 117
13. ცხრილი 3.2 რესპონდენტების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით 118
14. ცხრილი 3.3 ასაკისა და ოჯახში იდეალური ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია.. 118
15. ცხრილი 3.4 ასაკისა და ბავშვთა სასურველი რაოდენობის კროსტაბულაცია 119

16. ცხრილი 3.5 რესპონდენტთა ასაკისა და მათი მშობლების ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია 119
17. ცხრილი 3.6 ასაკისა და რესპონდენეტებს პაპა-ბებიების ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია 120
18. ცხრილი 3.7 ქორწინებითი მდგომარეობისა და ოჯახში ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია 120
19. ცხრილი 3.8 ქორწინებითი მდგომარეობისა და ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობის კროსტაბულაცია 121
20. ცხრილი 3.9 განათლების დონისა და ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის კროსტაბულაცია 122
21. ცხრილი 3.10 არსებობის ძირითადი საშუალებებისა და ოჯახის მატერიალურ მდგომარეობის კროსტაბულაცია 122
22. ცხრილი 3.11 ოჯახის წევრების რაოდენობისა და მატერიალური მდგომარეობის კროსტაბულაცია 132
23. ცხრილი 3.12 ოჯახის წევრების რაოდენობისა და საბინაო პირობების კროსტაბულაცია 133
24. ცხრილი 3.13 მატერიალური მდგომარეობა და ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების კროსტაბულაცია 133
25. ცხრილი 3.14 ასაკისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების კროსტაბულაცია 134
26. ცხრილი 3.15 ასაკისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის დასაწყისის პერიოდის კროსტაბულაცია 135
27. ცხრილი 3.16 საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და სქესის კროსტაბულაცია 135
28. ცხრილი 3.17 საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნვის მიზეზები სქესობრივ ჭრილში 136
29. ცხრილი 3.18 ასაკისა და მართლმადიდებელი აღმსარებლობის კროსტაბულაცია 136
30. ცხრილი 3.19 რეგრესულ მოდელში მონაწილე ცვლადთა სტრუქტურა 138
31. ცხრილი 3.20 ბინალური რეგრესული მოდელის ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების შეფასებები 140
32. ცხრილი 3.21 ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ფაქტორული ცვლადების ამხსნელობითი უნარის სტატისტიკური მახასიათებლები 140
33. ცხრილი 3.22 ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის შედეგობრივი ცვლადის დაკვირვების მნიშვნელობების შეფასების სიზუსტის მაჩვენებლები 141
34. ცხრილი 3.23 ბინალური რეგრესული მოდელის ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების შეფასებები 141

35. ცხრილი 3.24 მოდელში ჩართული ცვალდების მნიშვნელობები 2015-2023 წლებში 143
36. ცხრილი 3.25 კახეთის რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენბელების დინამიკა 2025-2030 წლებში, ათასი კაცი 144

დიაგრამების ნუსხა

1. დიაგრამა 1.1 კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობისა (ათასი კაცი) და ჯაჭვური ზრდის ტემპების(%) დინამიკა 1994-2014 წლებში 40
2. დიაგრამა 1.2 კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობისა (ათასი კაცი) და ჯაჭვური ზრდის ტემპების(%) დინამიკა 2015-2023 წლებში 41
3. დიაგრამა 1.3 კახეთის რეგიონის მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, %, (2023 წელი) 42
4. დიაგრამა 1.4 გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი) 43
5. დიაგრამა 1.5 თელავის მუნიციპალიტეტი მოსახლეობა (ათასი კაცი) 44
6. დიაგრამა 1.6 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი) 45
7. დიაგრამა 1.7 მოსახლეობის სიმჭიდროვე კახეთის რეგიონში (1 კვ. კმ-ზე, კაცი) 45
8. დიაგრამა 1.8 საქალაქო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის წილი (%) კახეთის რეგიონში 2015-2023 წლებში 46
9. დიაგრამა 1.9 კახეთის რეგიონის მოსახლეობის განაწილება ეროვნების მიხედვით (%) 49
10. დიაგრამა 1.10 კახეთის რეგიონის მცხოვრებთა განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (%) 50
11. დიაგრამა 1.11 კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1989, 2002, 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით 55
12. დიაგრამა 1.12 კახეთის რეგიონის მოსახლეობის საშუალო ასაკი სქესის მიხედვით 58
13. დიაგრამა 2.1 2023 წელს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) მუნიციპალიტეტების მიხედვით, (‰) 61
14. დიაგრამა 2.2 კახეთის რეგინის ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობისა (ათასი კაცი) და ჯაჭვური ზრდის ტემპების დინამიკა 2010-2023 წლებში (%) 63
15. დიაგრამა 2.3 2023 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით (კაცი) 64
16. დიაგრამა 2.4 2010-2023 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 1 000 კაცი) კახეთის რეგიონში 65

17. დიაგრამა 2.5 შობადობის ზოგადი კოეფიციენტების საშუალო წლიური ზრდის ტემპები კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით 2015-2023 წლებში 66
18. დიაგრამა 2.6 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტი 2010-2023 წლებში (კაცი) 67
19. დიაგრამა 2.7 2010-2013 წლებში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კაცი) 68
20. დიაგრამა 2.8 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ახმეტის მუნიციპალიტეტი (კაცი) 69
21. დიაგრამა 2.9 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კაცი) 69
22. დიაგრამა 2.10 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (კაცი) 70
23. დიაგრამა 2.11 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ყვარლის მუნიციპალიტეტი (კაცი) 71
24. დიაგრამა 2.12 სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა კახეთის რეგიონში 2010-2022 წლებში 72
25. დიაგრამა 2.13 მკვდრადშობილთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 2010-2023 წლებში 73
26. დიაგრამა 2.14 2023 წელს მკვდრადშობილთა რიცხოვნობა კახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მიხედვით (კაცი) 73
27. დიაგრამა 2.15 დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას კახეთში 2014-2023 წელს 74
28. დიაგრამა 2.16 დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას კახეთში მუნიციპალიტეტების მიხედვით 2023 წელს 75
29. დიაგრამა 2.17 კახეთის რეგიონის გარდაცვლილთა რიცხოვნობა (ათასი კაცი) და ჯაჭვური ზრდის ტემპები (%) 2010-2023 წლებში 77
30. დიაგრამა 2.18 მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გარდაცვლილთა რიცხოვნობა მოსახლეობის 1 000 კაცზე კახეთის რეგიონების მიხედვით 77
31. დიაგრამა 2.19 გარდაცვლილთა რიცხოვნობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი მუნიციპალიტეტების მიხედვით 2010-2023 წლებში (%) 78
32. დიაგრამა 2.20 გარდაცვლილთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 80
33. დიაგრამა 2. 21 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით კახეთის რეგიონში 81
34. დიაგრამა 2.22 ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) კახეთის რეგიონში 2015-2023 წლებში 82

35. დიაგრამა 2.23 ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) მუნიციპალიტეტში 2023 წელს (‰) 82
36. დიაგრამა 2.24 2010-2023 წლებში ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 83
37. დიაგრამა 2.25 დედათა გარდაცვალების რიცხოვნობა კახეთის რეგიონში (კაცი) 84
38. დიაგრამა 2.26 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით საქართველოში 88
39. დიაგრამა 2.27 თვითმკვლელობის (სუიციდის)* შედეგად სიკვილიანობის კოეფიციენტი (მოსახლეობის 100 000 კაცზე) კახეთის რეგიონში 2014-2023 წლებში 92
40. დიაგრამა 2.28 სუიციდის შედეგად გარდაცვლილები მუნიციპალიტეტების მიხედვით 2023 წელს (%) 92
41. დიაგრამა 2.29 ქორწინების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით კახეთის რეგიონში 95
42. დიაგრამა 2.30 დაქორწინებულთა საშუალო ასაკი სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 95
43. დიაგრამა 2.31 დაქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით 2023 წელს კახეთის რეგიონში 96
44. დიაგრამა 2.32 რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა 2023 წელს საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტში 97
45. დიაგრამა 2.33 განქორწინების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით 2010-2023 წლებში კახეთის რეგიონში (%) 98
46. დიაგრამა 2.34 2023 წელს განქორწინების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტებში..... 98
47. დიაგრამა 2.35 განქორწინებულთა შორის წილის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 2023 წელს (%) 99
48. დიაგრამა 2.36 განქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით 2023 წელს კახეთის რეგიონში (კაცი) 100
49. დიაგრამა 3.1 რესპონდენტების განაწილება სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების ნიშნის მიხედვით 106
50. დიაგრამა 3.2 რესპონდენტების განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით 106
51. დიაგრამა 3.3 რესპონდენტების განაწილება განათლების დონის მიხედვით 107
52. დიაგრამა 3.4 რესპონდენტების განაწილება ეროვნების და მეუღლეთა ეროვნებების მიხედვით 107

53. დიაგრამა 3.5 რესპონდენტების განაწილება ზოგადად ოჯახში ბავშვების სასურველი და მისთვის სასურველი ბავშვთა რაოდენობის მიხედვით 108
54. დიაგრამა 3.6 რესპონდენტების განაწილება ოჯახში ბავშვების რეალური რაოდენობის მიხედვით 108
55. დიაგრამა 3.7 რესპონდენტების განაწილება ბავშვების ყოლის დროის მიხედვით 109
56. დიაგრამა 3.8 რესპონდენტების განაწილება ბავშვების ყოლის რეალური ასაკის და უკანასკნელი შვილის ყოლის ასაკის მიხედვით 110
57. დიაგრამა 3.9 რესპონდენტების განაწილება მშობლების შვილების და მათი პაპა-ბებიების შვილების რაოდენობის მიხედვით 110
58. დიაგრამა 3.10 რესპონდენტების განაწილება სურვილის საწინააღმდეგოდ ბავშვების ყოლის რაოდენობის მიხედვით 111
59. დიაგრამა 3.11 სამუშაო ძალის ინდიკატორები კახეთის რეგიონში 111
60. დიაგრამა 3.12 რესპონდენტების განაწილება შემოსავლის წყაროს მიხედვით 112
61. დიაგრამა 3.13 რესპონდენტების განაწილება მატერიალური მდგომარეობის შეფასების და საბინაო პირობებით კმაყოფილების მიხედვით 113
62. დიაგრამა 3.14 რესპონდენტების განაწილება სიცოცხლის საუკეთესო ხანგრძლივობის წლების მიხედვით 113
63. დიაგრამა 3.15 რესპონდენტების განაწილება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორების მიხედვით 114
64. დიაგრამა 3.16 რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიხედვით 114
65. დიაგრამა 3.17 რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასაკის მიხედვით 115
66. დიაგრამა 3.18 რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ფაქტორების მიხედვით 115
67. დიაგრამა 3.19 რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის დროის და არზრუნვის მიზეზების მიხედვით 116
68. დიაგრამა 3.20 რესპონდენტების დამოკიდებულება სხვისი სიკვდილის გამო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის გაძლიერების მიხედვით 116
69. დიაგრამა 3.21 რესპონდენტების განაწილება საკუთარ თავზე ზრუნვის მიმართულებების მიხედვით 117
70. დიაგრამა 3.22 რესპონდენტების განაწილება შემოსავლებისა და სქესის კროსტაბულაციის მიხდედვით 123

71. დიაგრამა 3.23 რესპონდენტთა განაწილება შემოსავლებისა და განათლების დონის მიხედვით 123
72. დიაგრამა 3.24 კახეთის რეგიონიოს მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკა 144

შესავალი

პრობლემის აქტუალობა და მეცნიერული დამუშავების დონე. ქვეყნისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსახლეობაა. სწორედ, მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა არის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების საფუძველი.

დემოგრაფიული სიტუაციები მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით, რაც ხშირად ქმნის დემოგრაფიული შფოთვის საფუძველს. დღეს ასეთი შფოთვის საფუძველი საქართველოში ნამდვილად არსებობს დაბალი ნაყოფიერებისა და ,,არასაკმარისი მოსახლეობის" საფრთხის გამო და დღის წესრიგში აყენებს მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობისა და ქცევისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას რეპროდუქციული უფლებებისა და არჩევანის გათვალისწინებით. საქართველო უკვე ათეული წლებია იმყოფება მძიმე დემოგრაფიული საფრთხის წინაშე. მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, უარესდება ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, მიმდინარეობს ცვლილებები სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაში, იზრდება უარყოფითი დემოგრაფიული მაჩვენებლების ქვეყნის სოციალურ მახასიათებლებზე გავლენის ხარისხი, ნაკლებ ეფექტიანია დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებები, დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები და ა.შ. ეს ყველაფერი აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ სტატისტიკაზე, როგორც მთლიანად, ისე რეგიონულ ჭრილში.

საქართველოში და რეგიონების მიხედვით, დემოგრაფიული პროცესების გაუარესება დიდი ხანია სახელმწიფოს, საზოგადოების, დემოგრაფებისა და მეცნიერების განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა. ამ საკითხების კვლევას მრავალი ნაშრომი, მონოგრაფია, სამეცნიერო პუბლიკაცია მიუძღვნეს პროფესორებმა: მერაბ ხმალაძემ, მირიან ტუხაშვილმა, ავთანდილ სულაბერიძემ, ანზორ თოთაძემ, ანზორ სახვაძემ, მზია შელიამ, გიორგი წულაძემ და ა.შ. მათ შრომებში ნაწილობრივ განხილულია კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მახასიათებლები და მოცემულია რეგიონში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება მხოლოდ ცალკეული მიმართულებების: შობადობის, მიგრაციული

პროცესების, ქორწინების, განქორწინების, ეთნიკური შემადგენლობის და ა.შ. მიხედვით, თუმცა კახეთის რეგიონის მოსახლეობის კომპლექსური გამოკვლევა, მათი დემოგრაფიული და თვითშენახვითი განწყობის, დემოგრაფიული ქცევის ტენდენციების გამოვლენა დღემდე არ განხორციელებულა. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი ჩვენი ამ საკითხებით დაინტერესებისა და ღრმა დეტალური შესწავლისათვის.

საქართველოში და მის ცალკეულ რეგიონებში არსებული სიტუაცია, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, დეპოპულაცია, ადასტურებს მეცნიერების, დემოგრაფების, მკვლევრებისა და ანალიტიკოსების მოსაზრებების მართებულობას, რომ აუცილებელია მიზანმიმართული, სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ქვეყანაში.

2024 წელი მოსახლეობის აღწერის წელი იყო და ქვეყანა, ახალი რეალობის მოლოდინშია. დემოგრაფთა უმეტესობა ელოდება, რომ შობადობის მაჩვენებლები შემცირდება, რადგან ადამიანებს ნაკლებად აქვთ ბავშვების ყოლის სურვილი. ეს შიშები, თავის მხრივ დაკავშირებულია: ჯანდაცვის, განათლების და სოციალური სერვისების, პენსიების, დასაქმების, ეკონომიკური ზრდის და სხვ. მაჩვენებლებთან.

დემოგრაფიული ვითარება, ადამიანთა ქცევისა და განწყობის გამოვლენა რეგიონების მიხედვით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და დიფერენცირებულია ეროვნების, ასაკის, სქესის, განათლების, ოჯახური მდგომარეობისა და სხვ. ნიშნების მიხედვით.

კახეთი, მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით, მეოთხე რეგიონია საქართველოში და ხასიათდება გაუარესებული დემოგრაფიული სიტუაციით, დეფორმირებული და დარღვეული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურით, დაბერების გამოკვეთილი ტენდენციით, ცვლილებებით დემოგრაფიულ ქცევაში და ა.შ. აქედან გამომდინარე, კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი, თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელი მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევისა და განწყობის ინდიკატორების დეტალური გამოკვლევა, რეგიონის დემოგრაფიული ვითარების მოლოდინების განსაზღვრა დროული, აუცილებელი და აქტუალურია, მით უფრო, მათი კომპლექსური ანალიზის პირობებში.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს კახეთის რეგიონის მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური ტენდენციები, ხოლო კვლევის ობიექტია კახეთის მოსახლეობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს კახეთის რეგიონში არსებული დემოგრაფიული და თვითშენახვითი განწყობის ფონზე დემოგრაფიული პროცესების ძირითადი სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების კახეთის რეგიონში გამოვლენის თავისებურებების დადგენა და ანალიზი;
- 1994-2023 წლების მანძილზე კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული პრობლემების იდენტიფიცირება და გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- კახეთის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობრივი მახასიათებლების გაანალიზება;
- მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი;
- 1994-2023 წლებში შობადობისა, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, ქორწინებისა და განქორწინების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა კახეთის რეგიონში და მათი ანალიზი;
- შობადობისა, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება თანამედროვე ეტაპზე;
- კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობისა და ქცევის სტატისტიკური შესწავლა;
- კახეთის მოსახლეობის თვითშენახვითი განწყობის სტატისტიკური შესწავლა;
- კვლევაში გამოყენებულ ცვლადებს შორის კორელაციური დამოკიდებულებების განსაზღვრა;
- ნომინალური კატეგორიული ცვლადების მეშვეობით წარმოდგენილი გამოკვლევის ფარგლებში შეგროვილი ინფორმაციის ბაზაზე ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ემპირიული რეალიზაცია;

- კახეთის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება და სხვ.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიული საფუძველია კახეთის რეგიონში დემოგრაფიული პროცესების შესახებ არსებული ფუნდამენტური თეორიები, ცნობილი დემოგრაფებისა და მკვლევრების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების მასალები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მოსახლეობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია, კერძოდ, მოსახლეობისა და დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგია,(საქსტატი) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები, (მეორე გადახედვა, ნიუ-იორკი, 2001), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების შესახებ. (ნიუ-იორკი და ჟენევა. 2006)

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს კახეთის რეგიონში დემოგრაფიული პროცესების კომპლექსური სტატისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთ პირველ მცდელობას, ამიტომ, კვლევის შედეგები გარკვეული თვალსაზრისით სიახლეა სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში. მეცნიერულ სიახლეთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- გამოვლინდა კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებები;
- შეფასდა კახეთის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევისა და დემოგრაფიული განწყობის ცვლილების მასშტაბები თანამედროვე ეტაპზე;
- იდენტიფიცირებულ და გაანალიზებულ იქნა კახეთის რეგიონის მოსახლეობის თვითშენახვითი განწყობის პრობლემები;
- ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის აგებისა და პარამეტრების შეფასების შედეგად განისაზღვრა კახეთის რეგიონის დემოგრაფიულ სიტუაციაზე შერჩეული ცვლადების გავლენის ზომა;

- გაანგარიშებულ იქნა კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო მაჩვენებლები 2025-2030 წლებისათვის.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგებს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. რამდენადაც კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის კომპლექსური კვლევა რეგიონის ამ მიმართულებით შეფასების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, ამიტომაც, კვლევის შედეგები ორიგინალურ ხასიათს ატარებს. დემოგრაფიული ინდიკატორების, განწყობის, დემოგრაფიული ქცევის, თვითშენახვითი განწყობის, დემოგრაფიული მოლოდინების დეტალური ანალიზი ემსახურება რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით დიფერენცირებული დემოგრაფიული ვითარების შეფასებას, პრობლემების იდენტიფიცირებას და დეტალიზებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევის შედეგები შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას, ან რეგიონის დემოგრაფიული პროცესების წახალისების პროცესში. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების, ამ საკითხზე მომუშავე და დაინტერესებული ყველა პირის მიერ, აგრეთვე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დამხმარე მასალად საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ისეთ სასწავლო დისციპლინებში, როგორიცაა მოსახლეობის სტატისტიკა, სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის 2, სოციალური სტატისტიკა, დემოგრაფიული სტატისტიკა, საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი განხილულია და მოწონებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე (2025 წლის 12 თებერვალი, ოქმიN2).

კვლევის შედეგები მოხსენებულ იქნა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ,,მდგრადი სატრანსპორტო სისტემა და საზღვაო ლოგისტიკა“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,“ IV

ეროვნულ კონფერენციაზე „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაზე "მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 107 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაზე ,,ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირში: შედეგები და პერსპექტივები". ორი პუბლიკაცია გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ ჟურნალში: საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ,,ინოვაციური ეკონომიკა და მენეჯმენტი",(ტომი 9, *No.2, 2022).* ასევე, Web of Science-ის ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში ,, ეკონომიკა, ეკოლოგია და სოციუმი". *(ტომი 9 No.1, 2025).*

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან. ძირითადი ტექსტი მოიცავს 145 გვერდს. ნაშრომს თან ერთვის 82 დასახელების ლიტერატურა და დანართები. ტექსტში გამოყენებულია 36 ცხრილი, 72 დიაგრამა.

თავი 1. კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ძირითადი ტენდენციები

1.1 ლიტერატურული მიმოხილვა

ქართველი დემოგრაფები უკვე დიდი ხანია საუბრობენ საქართველოში დემოგრაფიული პროცესების გაუარესებაზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე და დემოგრაფიული პარამეტრების მნიშვნელობაზე. ამიტომ, ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, ზრდის, სტრუქტურისა და განაწილების პოტენციური განვითარებაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების სამომავლო ფუნქციონირების განხილვისას. (Bleha, et al. 2023) ნებისმიერი ქვეყნისთვის დემოგრაფიული საკითხები ყოველთვის გადამწყვეტი იყო და იქნება. (მენაბდიშვილი 2017)

მეცნიერი, დემოგრაფი მერაბ ხმალაძე აღნიშნავს, რომ „ქვეყნისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსახლეობაა, რომელიც უწყვეტ ბუნებრივ მოძრაობაშია და თაობათა უსასრულო განახლებაში აისახება. სწორედ მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა არის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების საფუძველი“. (ხმალაძე და ჩიტალაძე , დემოგრაფიული სტატისტიკა 2020, 17)

თანამედროვე ეტაპზე, საქართველო იმყოფება თავისი დემოგრაფიული განვითარებით, მოსახლეობის აღწარმოების უახლოეს ტიპზე გარდამავალ პერიოდში. რასაც ახასიათებს შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა. ამასთან, მოსახლეობა შემცირდა როგორც ქალაქად, ისევე სოფლად, მაგრამ მოსახლეობის შემცირებამ ძირითადად სოფელი დააზარალა, რომლის მოსახლეობა 23,8%-ით, ხოლო ქალაქის - 6,3%-ით შემცირდა 2014 წლისთვის. (წულაძე და სულაბერიძე , საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016, 21-23) უკვე, 1990 წლიდან შესამჩნევლად უარესდება მოკვდაობის, შობადობის, ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლები, რაც საზოგადოებას ქვეყნისათვის დიდ დემოგრაფიულ საფრთხედ მიაჩნია. ამ გარემოებას ადასტურებს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის მიერ, მსოფლიოს 204 ქვეყნის შესახებ გამოქვეყნებული დემოგრაფიული ცნობები, რომლის მიხედვითაც, 2016 წელს საქართველო, მსოფლიო სახელმწიფოთა შორის, ტერიტორიული სიდიდის მიხედვით ასეულშიც ვერ მოხვდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით 136 ადგილი

ეკავა. საქართველოს მოსახლეობას მსოფლიო მოსახლეობაში 1.5%-ს შეადგენდა. ამჟამად კი 0,05%-ს შეადგენს და მსოფლიოს მოსახლეობის ყოველი ათი ათას კაცში, 5 კაცია საქართველოს მოქალაქე". (თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა 2018, 22-23)

შობადობის მაჩვენებლების შემცირება კვლავაც დემოგრაფიულ საფრთხეს უქმნის ბევრ ქვეყანას. გასული საუკუნის განმავლობაში გლობალურმა ნაყოფიერებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი შობადობა ჯერ კიდევ ნორმაა მსოფლიოს ყველაზე ღარიბ სოფლებში, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, რამდენიმე გარდამავალ ეკონომიკაში და ყველაზე ურბანულ რეგიონებში დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში მიაღწიეს ჩანაცვლებითი შობადობის დონეს დაახლოებით 2.1 შვილი ქალზე. ზოგიერთ ქვეყანაში შობადობის უკიდურესად დაბალ მაჩვენებელზეც კი დაეცა, 1,3 ბავშვით ნაკლები ქალზე. (Aassve 2002) ბავშვთა რიცხვი ოჯახებში თაობიდან თაობამდე მცირდება. დაბადებული ბავშვების რიცხვი სასურველზე ნაკლებია. (გელაშვილი, ხმალაძე და მინდორაშვილი, და სხვ. 2020, 12) ურბანულ რეგიონებში მოსახლეობის ცვლილების ახსნა შეიძლება დაკავშირებული იყოს მეორე დემოგრაფიულ გადასვლასთან, რომელიც მოიცავს შობადობის შემცირებას ჩანაცვლების დონემდე და მშობიარობის გადადებას.**Invalid source specified.** ერთის მხრივ, ითვლება, რომ ოჯახზე დაფუძნებული ჯაჭვური მიგრაცია ექსპონენტურად ზრდის უცხოელების რაოდენობას, რითაც ამცირებს სახელმწიფოს შესაძლებლობას გააკონტროლოს იმიგრაცია, მეორეს მხრივ, ოჯახის გაერთიანება ასევე განიხილება, როგორც ინტეგრაციის პროცესის ორმაგი მახვილი. (González-Ferrer 2007) დაბერების პროცესში, ადამიანის ორგანიზმში თითოეული სისტემის ფუნქციონალური შესაძლებლობები მცირდება დაახლოებით 20 ან 30 წლამდე, როდესაც მიღწეულია პიკი, ადამიანები ავითარებენ თავიანთ შესაძლებლობებს, რის შემდეგაც ფუნქციური შესრულება თანდათან იკლებს წლების განმავლობაში, რაც იწვევს პასიურობას პიროვნების მხრიდან. (Alves, Leite and & Machado 2008)

საქართველოში მოსახლეობის კლების სხვადასხვა მიზეზებს შორის გამორჩეულია მიგრაციის პრობლემაც. (Abesadze, et al. 2022) სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რეალობა არა მხოლოდ ვერ ახერხებს სოციო-დემოგრაფიული მიზნების

მიღწევას, არამედ არ აჩვენებს გზას, როდის მივაღწევთ დასახულ მიზნებს. (Moirangthem Hemanta Meitei „Chapter 12 - Demographic Situation of Manipur, 2019)

კახეთის რეგიონი, საქართველოს იმ რეგიონებს მიეკუთვნება სადაც დემოგრაფიული ვითარება შველას ითხოვს.

ქართველი დემოგრაფები აღნიშნავენ, რომ 1989 წელთან შედარებით 2002 წლისთვის საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის კახეთში შობადობა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა 2014 წელს 2002 წელთან შედარებით ვითარება შეიცვალა და შობადობა გაიზარდა კახეთში 2,3 ჯერ. (წულაძე და სულაბერიძე, საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016)

შობადობის ვითარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, დემოგრაფი ანზორ თოთაძე აცხადებს, რომ ოჯახში განსაკუთრებით მესამე და მეოთხე ბავშვების დაბადების შემთხვევები არა მარტო ზრდის შობადობასა და მოსახლეობის ბუნებრივ მატებას, არამედ ამ ფაქტს სხვა მხრივაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, (თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა 2018) რასაც ადასტურებს ჩვენს კვლევაში რეალიზებული ბინალური ლოგარითმული რეგრესიული მოდელის ცვლადების ანალიზი.

რადგან მოსახლეობის რაოდენობაზე, შემადგენლობასა და დინამიკაზეა დამოკიდებული როგორც შრომითი რესურსების მოცულობა, ასევე, წარმოებული მატერიალურ დოვლათსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა, ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლას, რადგან დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური შემადგენლობის დაკომპლექტებაზე. (გელაშვილი, ხმალაძე და აბესაძე, და სხვ. 2022)

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ გამოკვლევებში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ დემოგრაფიული პროცესების დეტალური ანალიზი ეყრდნობა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ბაზაზე განსაზღვრულ მაჩვენებლებს, რადგან ყველა დემოგრაფიული მოვლენა სპეციფიკურ ხასიათს იძენს ასაკის ცვლილებასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ასაკი წარმოადგენს დემოგრაფიული მოვლენების მთავარ ინდიკატორს. ამასთან დემოგრაფიული პროცესები ასაკთან ერთად

მკვეთრად განსხვავდება სქესის მიხედვითაც, ამიტომ დემოგრაფიული პროცესები შეისწავლება სქესისა და ასაკის მიხედვით გამოთვლილი მაჩვენებლების ბაზაზე. (ხმალაძე და ჩიტალაძე, დემოგრაფიული სტატისტიკა 2020, 17)

სტრუქტურული ცვლილებების შეფასებისას დემოგრაფები იყენებენ სამ: 0-14 წელი, 15-59 და 65 და მეტი ასაკობრივ ჯგუფებს. შვედმა დემოგრაფმა გ. სუნდბერგმა გამოყო მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის სამი ძირითადი ტიპი: 1) პროგრესული - მოსახლეობის მთელ რაოდენობაში ბავშვების დიდი წილით, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი მაჩვენებელი. 2) სტაციონალური - მთელ მოსახლეობაში საბავშვო და მოხუცებულობის ასაკობრივი ჯგუფების თითქმის გაწონასწორებული წილი. 3) რეგრესული - მთელს მოსახლეობაში ხანდაზმული და მოხუცებული ასაკის ადამიანების შედარებით დიდი წილი, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება (წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. 2009). ვფიქრობთ, ასაკის განაწილება სამ ჯგუფად (0-14 წელი, 15-59 და 65+) უფრო მისაღებია, თუმცა არ გამოვრიცხავთ ასაკის დეტალურ ჩაშლას ცალკეული შემთხვევის ანალიზისთვის. დღეისთვის შობადობის დონე საქართველოში შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოების მოთხოვნებს. (ხმალაძე, დემოგრაფიული სიტუაცია და სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები 2020)

დღეს, საქართველოში მშობიარობის ასაკის ბევრი ქალი ზრუნავს თავის მომავალზე, განსაკუთრებით, უმუშევრობის შიშის ფონზე, რაც არ არის ხელსაყრელი ბავშვის გაჩენისთვის. (ქინქლაძე, მეტრეველი და ჩიტალაძე, COVID-19 გავლენა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე 2022) ცნობილია, რომ ქალების შრომითი და სოციალური საქმიანობა ხშირად ეწინააღმდეგება საყოფაცხოვრებო მოვალეობებს. (შინჯიაშვილი, ჭანტურია და მეტრეველი 2014) კახეთის რეგიონის მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევაზე გავლენას ახდენს დეკრეტული შვებულების, განსაკუთრებით, მშობლის ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილებზე დაუცველობა, ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკა და სხვა , რაც ართულებს მომავალ მშობლების მხრიდან შვილების ყოლის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც იწვევს მშობიარობის შეფერხებასა და მისი რაოდენობის შემცირებას (Pessin, Rutigliano, R., and Haddock Potter,M., 2022)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა არ იძლევა მოდუნების საშუალებას და მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ქართველები არ გახდნენ უმცირესობა საკუთარ ქვეყანაში“. (სახვაძე 2024) ნეგატიური დამოკიდებულებაა ქალთა განათლების მიღწევებსა და მშობიარობას შორის, მაღალი განათლების მქონე ქალს უფრო ჰყავს ცოტა შვილი, ვიდრე დაბალი განათლების მქონე ქალს. ასევე დაბალი და მაღალი ნაყოფიერებით განსხვავდება ქალაქისა და სოფლების მოსახლეობა. (Alcaraz and E. 2022) თუმცა, მზარდმა სამუშაო დაუცველობამ, მშობლის ანაზღაურებადი შვებულების არარსებობამ და მხარდამჭერმა სამუშაო ოჯახის პოლიტიკამ, გაართულა მომავალი მშობლების მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება. რაც ხელს უწყობს მშობიარობის შეფერხებასა და დაქვეითებას. (Pessin, Rutigliano, R., and Haddock Potter,M., 2022) ამასთან ქართველი სტუდენტები ეპოქის მოთხოვცნის შესაბამის ფუნქციას ასრულებდნენ. ამჟამად კი მათ წინაშე შემდეგი ამოცანები დგას: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დემოგრაფიული უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების შექმნა და უზრუნველყოფა. (შელია 2023) შეინიშნება შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის შემცირება, აბორტების საგანგაშო სტატისტიკა, ფართო გარე და შიდა მიგრაცია და სხვა. დემოგრაფიული ცვლილებების ეფექტები, როგორიცაა შობადობის შემცირება და ინდივიდუალური სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, საჭიროებს ჯანდაცვის სისტემის კორექტირებას ასაკზე და საჭიროებებზე დაფუძნებული ზრუნვის შეთავაზებით. (Schoffer, et al. 2023)

ამასთან, დარღვეული სქესობრივი-ასაკობრივი სტრუქტურა მოსახლეობის განვითარების დამოუკიდებელი კომპონენტია, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ შემადგენლობაზე (გელაშვილი, ხმალაძე and აბესაძე, et al. 2022) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა , მისი დინამიკა, მასში მომხდარი სტრუქტურული ძვრების, რეგიონების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცოდნა საფუძვლად ედება ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის გატარებას. (ხმალაძე, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 2019) ამიტომ, აუცილებელია ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო ძლიერი სოციალური პოლიტიკის გატარება ამის წინაპირობას წარმოადგენს.

მართალია, ასეთი პოლიტიკის მიზნები სცილდება დემოგრაფიულ ტენდენციებზე ზემოქმედების ფარგლებს, მაგრამ ის გადამწყვეტი ინსტრუმენტია დემოგრაფიული პროცესების მართვაში. (Sulaberidze 2002) ამასთან მეცნიერ-დემოგრაფი ანზორ სახვაძე აღნიშნავს, რომ „ქვეყნის დემოგრაფიული მიზანი ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს და არა სპეციალისტებმა. სპეციალისტებმა შეიძლება კონსულტაცია გაუწიოს საჭირო ღონისძიებების დასახვაში“. (სახვაძე 2024) დემოგრაფი ანზორ თოთაძის აზრით, ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, წარმატებული დემოგრაფიული პოლიტიკა მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ეფუძნება. ქვეყნის „დემოგრაფიულ ორმოდან“ ამოსვლას უაღრესად დიდი ფინანსური სახსრები სჭირდება. ასევე, ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება საგანგაშოა და საჭიროა საგანგებო ღონისძიებების განხორციელება. (თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა 2018)

მიუხედავად იმისა, რომ შობადობის რეგიონულ დონეებში განსხვავებები გაიზარდა საუკუნის ბოლოს, მთლიანი შობადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. (J და Lipták F., 2024) გასათვალისწინებელია, რომ რეგიონისათვის დამახასიათებელია ძლიერი მიგრაციული ნაკადები, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებასთან ერთად, როგორც წესი, რეგიონის დაბერებას უწყობს ხელს. დემოგრაფიული საფრთხის შემცველია შობადობის ინტენსიური შემცირება, ერთ ქალზე დაბადებული ბავშვების საგანგაშო რაოდენობა. (González-Ferrer 2007) ფიზიოლოგიურ დაბერებასთან ერთად მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ე.წ. ფუნქციურ დაბერებაზე, (Pessin, Rutigliano, R., and Haddock Potter,M., 2022) რამაც კახეთის რეგიონში ძალიან კარგად იჩინა თავი.

თვითონ კაცებსა და ქალებს შორის რიცხობრივი შეფარდების განხილვისას, ყურადღებას იქცევს ერთი კანონზომიერება: რაც უფრო დაჩქარებულია მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოება, მით უფრო ახლოსაა ერთმანეთთან ორივე სქესის მოსახლეობის რიცხოვნობა, რადგან მაღალია ახალგაზრდა ასაკის ხვედრითი წონა. ამ ასაკში კი მინიმალურია სხვაობა ვაჟებისა და ქალების რიცხოვნობაში. ამიტომაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბევრად უფრო დარღვეულია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. შობადობისა და სიკვდილიანობის

გავლენა კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. (ხმალაძე and ჩიტალაძე , დემოგრაფიული სტატისტიკა 2020, 61-63)

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სახეცვლილებამ და მოსახლეობის დაბერების გაძლიერებული პროცესი, შობადობის დაბალმა დონემაც განაპირობა. აშკარად იკვეთება, რომ ქიზიყის (სიღნაღის მუნიციპალიტეტი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მოსახლეობა „დემოგრაფიულად მომაკვდავია“ **Invalid source specified.** ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევამაც დაადასტურა არსებული ვითარება. ასეთი სიტუაცია არა მარტო სიღნაღში და დედოფლისწყაროში, არამედ დანარჩენ მუნიციპალიტეტებშიც ვლინდება.

შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი მძიმე დემოგრაფიული ვითარება არ ყოფილა საქართველოში. მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებელი მეტად მძიმე იმ რეგიონებში გამოიკვეთა, სადაც ძირითადად ეთნიკური ქართველები არიან დასახლებულები: გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლერჩხუმი, სამეგრელო, ზემო სვანეთი. "საგანგებო ზომები თუ არ გატარდა, ,,სულ რაღაც 25 წელიწადში ეს რეგიონები გაუკაცრიელდება. ამის საფუძველს იძლევა 25 წლის წინანდელი მდგომარეობის დღევანდელთან შედარება. **Invalid source specified.** ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. (Bleha, et al. 2023)

პროფესორ მირიან ტუხაშვილის აზრით, ქიზიყის (სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები) დემოგრაფიული განვითარება, სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსია და დღეს განიცდის ღრმა დემოგრაფიულ გარდატეხის მომენტს, მოითხოვს ამ ვითარებიდან გამოსვლის გზების ძიებას, ამ რეგიონისათვის დემოგრაფიული ოპტიმუმის განსაზღვრას, დემოპოლიტიკის გააზრებას. ბოლო ორი ასწლეულის მანძილზე ქიზიყის მოსახლეობამ გაიარა დემოგრაფიული გადასვლების გზა. ქიზიყის მოსახლეობის ზრდის ტემპზე უარყოფითი გავლენა მოახდინა პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სოციალური და ეკონომიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ. შემცირდა ქ. სიღნაღის მოსახლეობის რიცხოვნობა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში შედარებით სწრაფად გაიზარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა რეგიონიდან ინტენსიური ჩასახლებებით.**Invalid source specified.** ქიზიყის დემოგრაფიულ

განვითარებაში მიმდინარე პროცესები მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ხასიათისაა. მიმდინარე ბუნებრივი და ინტენსიური მიგრაციული კლება, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება და ქიზიყში შექმნილი დემოგრაფიული ვითარება უმძიმესია და განსაკუთრებული მიდგომით უნდა შეფასდეს.**Invalid source specified.**

პროფესორი მირიან ტუხაშვილი საუბრობს ასევე, რომ საქართველოს ისტორიულ პროვინცია ჰერეთიდან ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემორჩენილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სადაც მოსახლეობის ფორმირება მოხდა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე რეგიონგარედან მოსახლეობის ორგანიზებულ ჩასახლებას.**Invalid source specified.**

კახეთის რეგიონში გამოვლინდა, რომ რეგიონის დემოგრაფიულ ვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამიტომაც ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომ ეს საფრთხილოა, რადგან სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, იზრდება შეშფოთება, რომ შეიძლება არ გამოვლინდეს ჯანმრთელობის გაუმჯობესების ზრუნვის იგივე ტემპი. (Bierens and Hoogenboezem, J., 2022) ბოლო დროს ყურადღება უფრო მეტად ექცევა ცხოვრების არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ, ხარისხობრივ მაჩვენებლებს, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა სულაც არ ნიშნავს ჯანმრთელობის მეტ წლებს. (Jackie 2024)

დემოგრაფიულ მონაცემებში განსხვავებები და ბოლოდროინდელი შემცირება საჭიროებს შესწავლას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერვენციებისთვის. (Bierens and Hoogenboezem, J., 2022)

უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იზრდება შეშფოთება, რომ ჯანმრთელობის გაუმჯობესების იგივე ტემპი შეიძლება არ მოჰყვეს. ხანდაზმულმა მოსახლეობაში იზრდება იმ მოსახლეობის წილი, რომელიც მეტ წლებს ატარებს ინვალიდობასა და ხანგრძლივ ავადმყოფობაში, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთი გაზარდოს საზოგადოებაზე. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ მთავრობებმა ზუსტად განსაზღვრონ არა მხოლოდ სიცოცხლის ხანგრძლივობა, არამედ ჯანსაღი სიცოცხლის ხანგრძლივობაც. (Li 2024)

ფიზიოლოგიურ დაბერებასთან ერთად მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ეგრეთ წოდებულ ფუნქციურ დაბერებაზე, (Pessin, Rutigliano, R., and Haddock Potter,M., 2022), რაც ასევე ვლინდება კახეთის რეგიონში.

დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებზე პირდაპირი სახელმწიფოებრივი ზემოქმედება შეზღუდულია. ამიტომ, რთულია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის შესაბამისი დემოგრაფიული ქცევის განსაზღვრა (გელაშვილი, ხმალაძე and მინდორაშვილი, et al. 2020) კახეთის რეგიონის მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მშობლის შვებულების ხანგრძლივობა, განსაკუთრებით ანაზღაურებადი მშობლის შვებულება, სამუშაო დაუცველობა, ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა და სხვა. ეს ფაქტორები ართულებს მომავალი მშობლების უნარს დააკმაყოფილონ ბავშვებზე მზარდი მოთხოვნა, რაც იწვევს მშობიარობის დაგვიანებას და მშობიარობის რაოდენობის შემცირებას. (Pessin, Rutigliano, R., and Haddock Potter,M., 2022)

დემოგრაფების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოსახლეობის ქორწინებისა და განქორწინების საკითხები. საინტერესო ფაქტია, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პირველი ქორწინებისა და მშობიარობის დროს ქალთა საშუალო ასაკის შესამჩნევმა ზრდამ გამოიწვია შობადობის შემცირება. (Tan and Shao-Tzu Yu 2024) ამასთან, გლობალურად უფრო მეტი ადამიანი აჭიანურებს მშობიარობას, რაც იწვევს რეპროდუქციული სიცოცხლის ბოლომდე მათი ოჯახისთვის ბავშვების იდეალური რაოდენობის ვერ მიღწევის მაღალ რისკს. (Karabchuk, Dülmer,H., და Gatskova,K., 2022) განსაკუთრებით ყურადსაღებია, არასდროს დაქორწინებულთა კატეგორია, რომელიც ასევე აფერხებს შობადობის მაჩვენებელს. **Invalid source specified.**

უცხოელი დემოგრაფების დასკვნა, რომ ქართული ეთნოსი ძალიან სწრაფად მცირდება და გაეროს მონაცემები, რომ 2050 წლისთვის ქართველები თავიანთ სამშობლოში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან, სერიოზულ გაფრთხილებად უნდა მივიღოთ. თუ მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს ვიღონებთ, შესაძლებელია სავალალო მდგომარეობამდე მივიდეთ. **Invalid source specified.**

1.2 რეგიონული დემოგრაფიული პროცესების შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები და დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გამოვლენის თავისებურებები კახეთის რეგიონში

სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების საფუძველი არის მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა. მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა კი დემოგრაფიული სტატისტიკის პრეროგატივაა და შეისწავლება, როგორც მოსახლეობის აღწერებით, ისე მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეცნიერული და პრაქტიკული მიზნებისათვის არა მხოლოდ ქვეყნის მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენაა აუცილებელი, არამედ ამ რაოდენობრივი დემოგრაფიული მახასიათებლების გაანალიზება რეგიონულ ჭრილში.

ზოგადად, დემოგრაფიული პრობლემები მსოფლიოს წინაშე მდგარ 5 მთავარ გლობალურ პრობლემას შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული. შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდის ტემპების განსხვავებები განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. (ვეშაპიძე და ზუბიაშვილი, მოსახლეობის ზრდისა და გლობალური პრობლემების შესახებ 2021) საქართველოში და, მათ შორის, კახეთის რეგიონში სიტუაცია ისეთია, რომ განვითარებული ქვეყნების მსგავსია შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის აღწარმოების მიხედვით, თუმცა გარე მიგრაციის თვალსაზრისით, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს დემოგრაფიულ ვითარებას. (საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა 2010). ვფიქრობთ, რომ მოკვდაობის, შობადობის, ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლების გაუარესების ფონზე არსებული დემოგრაფიული სიტუაცია ქვეყნისთვის ეროვნულ საფრთხეს წარმოადგენს. ამ ვითარებიდან თავის დაღწევა კი რთულია. გამომდინარე იქიდან, რომ დემოგრაფიული პროცესები ყოველთვის დემოგრაფიულ პოლიტიკას მოიაზრებს, მიგვაჩნია, რომ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა მოსახლეობის მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერაზე ორიენტირებული აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება დიდი ხანია ნეგატიურია, სახელმწიფო არ ასრულებს ოჯახის წინაშე დაკისრებულ მოვალეობას, ოჯახი კი რეაგირებს იმით, რომ ვერ ასრულებს საკუთარ „მოვალეობას“ სახელმწიფოს წინაშე. ოჯახის, როგორც ინსტიტუტის, გაუარესება დიდწილად ამ პირობებში მოხდა. ამას გარკვეულად ხელი შეუწყო ოჯახის ეკონომიკური ფუნქციის, განსაკუთრებით კი, პროდუქტიული ფუნქციის შელახვამ. (Sulaberidze 2002)

თუ მოვახდენთ რეტროსპექტიულ ანალიზს, დავინახავთ, რომ ქართული საზოგადოების მხრიდან ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობა მაშინაც კი მიმდინარეობდა, როდესაც დემოგრაფიული ვითარება დღევანდელთან შედარებით ნაკლებად შემაშფოთებელი იყო. აღნიშნულის ერთ-ერთი დადასტურებაა „საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც შეიმუშავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამთავრობო დემოგრაფიულმა კომისიამ ჯერ კიდევ 1988 წელს. მეცნიერულად შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებები საქართველოსთვის 1989 წლის დასასრულსა და 1990 წლის დასაწყისში გვხვდება, რომლებიც გულისხმობდნენ დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას 1990-2005 წლების პერიოდში. შემდგომში საქართველოში გასატარებელი დემოგრაფიული პოლიტიკა - „საქართველოს სახელმწიფო ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა“ პროექტის სახით 1990-იანი წლების ბოლოს იქნა შემუშავებული და საზოგადოებას 2001 წლის მაისში მიეწოდა. 2007 წლის შემოდგომაზე საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა კონცეფცია „თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მთლიანად საქართველოში და მის რეგიონებში 2010–2020 წლების პერიოდში მოსალოდნელი დემოგრაფიული განვითარების მოდელის განსაზღვრა და შესაბამისი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება. გენერალური მიზნიდან გამომდინარე, გამოკვლევის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენდა: საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების კონკრეტიზაცია და მისი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა და შეფასება; საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირება

2010–2050 წლებისათვის; დეპოპულაციური პროცესის შერბილებისა და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მიზნით შესაბამისი სოციალურ-დემოგრაფიული საოჯახო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა და სხვა. (საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა 2010)

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა და დახმარება, სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა, თავის მხრივ, გულისხმობს: ბავშვის/ოჯახის ფინანსურ დახმარებას, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარებას, საგადასახადო შეღავათების მინიჭებას და ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის განსხვავებული სისტემის შექმნას. სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დეკრეტული შვებულების მიცემა ორივე მშობლისთვის. საქართველოში და, მათ შორის, კახეთის რეგიონში, ოჯახის ფინანსური დახმარების პირობები სრულიად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სტანდარტებისგან. საქართველოში ფულადი დახმარება ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონებში ფაქტობრივად მცხოვრებ ბავშვებზე, სადაც წინა მე-2 და მე-3 წელს არ ფიქსირდება წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N262 2014 წლის 31 მარტი. 2014) 2014 წლის 1 ივნისიდან ასეთად განისაზღვრა 6 რეგიონი, სადაც მოკვდაობა აღემატება შობადობას. აღნიშნული პირობა უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებს, რომლებიც მოცემულ რეგიონში არ ცხოვრობენ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის ფინანსური დახმარების მიღების უფლება ვრცელდება ყველა მოსახლეზე. გარდა ამისა, კახეთის რეგიონში და საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ფულად დახმარებას იღებს რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი. ამისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის ფინანსური დახმარების ოდენობა დამოკიდებულია ოჯახ ბავშვების რაოდენობაზე, კერძოდ: სახელმწიფო ოჯახის ფინანსურ დახმარებას გამოყოფს პირველი ბავშვის გაჩენიდან და ფინანსური დახმარების ოდენობა იზრდება ყოველ შემდეგ ბავშვზე. საქართველოში და მის რეგიონებში, მათ შორის კახეთშიც, ფულადი დახმარება ინიშნება 2 წლის ასაკამდე.

(საქართველოს მთავრობის დადგენილება N262 2014 წლის 31 მარტი 2014) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახს უფლება აქვს მიიღოს ფინანსური დახმარება 18 წლამდე ასაკის მოზარდებზე. შესაბამისად, საქართველოს არსებული ფინანსური დახმარების პერიოდი ძალიან ცოტაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ფინანსური დახმარების მიღების პერიოდთან შედარებით. საქართველოში ფულადი დახმარების ოდენობა მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის 200 ლარია, ხოლო არამაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარი. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების - არანაკლებ 100 ლარის - მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისთვის - 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების - არანაკლებ 200 ლარის - მიცემას. სხვადასხვა რეგიონში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი 3, 4, ან 5 და მეტ-შვილიანი ოჯახები. ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველობებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა საერთოდ არ გააჩნიათ. თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობა სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულში მერყეობს 10 ლარიდან 50 ლარამდე. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეთაგან ყველაზე მეტი ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე 331.4 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 28%-ით ნაკლებია, ხოლო მათი წილი ქვეყნის მოსახლეობაში 2002 და 2014 წლებს შორის თითქმის არ შემცირებულა და მთელი მოსახლეობის 9%-ს შეადგენს. (დოხტურიშვილი, საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მისი გამოვლენის თავისებურებები კახეთის რეგიონში 2024)

ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო გამოყოფს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. მისი მიზანია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ოჯახების ფინანსური წახალისება. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა, როგორც წესი, აღემატება ოჯახის ფინანსური დახმარების ყოველთვიურ ოდენობას. საქართველოში ოჯახის ერთჯერადი დახმარება ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით. იგი შესაძლოა შედიოდეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალური დახმარების პროგრამებში და ისიც, უმრავლეს შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ასევე, სახელმწიფო აწესებს ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემას, რომელიც გულისხმობს ოჯახის ერთობლივი შემოსავლის გარკვეული ნაწილის საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისგან განთავისუფლებას. იგი დამოკიდებულია ოჯახის ერთობლივი შემოსავლის ოდენობაზე და ოჯახის რაოდენობაზე. საქართველოში მსგავსი საგადასახდელო სისტემა არ არსებობს. ოჯახის მხარდაჭერის ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფოს მიერ ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს ხელშეწყობა. დამქირავებელი დაქირავებულს სთავაზობს დეკრეტული შვებულების, ან ბავშვის მოვლისათვის საჭირო შვებულების სათანადო პირობებს, ასევე ეხმარება სამსახურში დაბრუნების შემდგომ ბავშვის აღზრდაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია ოჯახისათვის სათანადო შრომითი პირობების შემუშავება, კერძოდ, ხელი შეუწყოს მშობლების მიერ სამუშაოსა და ოჯახის საქმეების შეთავსებას, რომ დარჩეთ ბავშვისთვის საჭირო დრო. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში ბავშვის მოვლისათვის შვებულებას აძლევენ ორივე მშობელს. მისი ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში მერყეობს 12-დან 26 კვირის ჩათვლით. შვებულების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ხელფასის 80 - 100%-მდე. საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდის ხანგრძლივობამ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა შეადგინოს მაქსიმუმ 730 დღე, თუმცა, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 183 კალენდარული დღით (26 კვირა). ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში 200 კალენდარული დღე. საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს ანაზღაურებადი

შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარს - არა უმეტეს 1000 ლარის ოდენობით. საქართველოს შრომითი კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით, დასაქმებულს, თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ ნაწილ, მაგრამ არა ნაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლისთვის 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი. ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშებისათვის ითვალისწინებენ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ან ახლადშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში გასვლის წინა თვის თანამდებობრივ სარგოს. საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შეესაბამება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ სტანდარტს, თუმცა, შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვრის ოდენობა (1000 ლარი) ვერ უზრუნველყოფს ოჯახის ეფექტურ ფინანსურ დახმარებას.

რაც შეეხება კონკრეტულად მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, საქართველოს მთავრობის მიერ გატარდა რიგი ღონისძიებები შეიქმნა მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის დადგენილების საფუძველზე, რათა შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს 2018-2030 წლების დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტი. საბჭოს მიზანია ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის მოსალოდნელი შემცირების შეჩერების ხელშეწყობა; საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რაციონალიზაციით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილიზაცია, ქვეყნის მოსახლეობის ბოლოდროინდელი და მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად და შესაძლებლობების გამოსაყენებლად ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ამით ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული და შესაძლო რისკების თავიდან აცილების უზრუნველყოფა. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N221 2018)

უმნიშვნელოვანესია გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქმიანობა. გაეროს მოსახლეობის ფონდი დახმარებას უწევს ქვეყანაში მონაცემთა შეგროვებისა და მათი

შემდგომი ანალიზის შესაძლებლობის განვითარებაში, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკის შექმნას, მართვას და პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას იმისთვის, რომ სათანადოდ მოხდეს როგორც არსებულ, ასევე მომავალ საჭიროებებზე რეაგირება. ეს ხელს უწყობს სახელმწიფოს, რეგიონული და გლობალური პოლიტიკური დიალოგების განვითარების პროგრამების მხარდაჭერის მიზნით.

2016 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტთან თანამშრომლობით, გაეროს-ს მოსახლეობის ფონდმა დახმარება გაუწია საქართველოში მოსახლეობის დინამიკის და დემოგრაფიული უსაფრთხოების პრიორიტეტების შესახებ სახელმწიფო დიალოგს მონაწილეობითი პროცესის მეშვეობით, რომლებშიც ჩართულები იყვნენ სამთავრობო უწყებები, გაერო-ს სააგენტოები, საერთაშორისო, სამეცნიერო წრეები, პროფესიული ასოციაციები და სამოქალაქო საზოგადოება. დიალოგის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის დინამიკის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და მომავალი პრიორიტეტების შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც აისახებოდა საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკაში.

შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად შემუშავებული საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეფცია ფართოდ აღიარებს ადამიანის უფლებათა პრინციპებსა და სტანდარტებს, საერთაშორისო სამართალს, მდგრადი განვითარების მიზნებს და ეროვნული პოლიტიკის შესაბამის ჩარჩოებს. იგი მოიცავს ოთხ ძირითად სფეროს: 1) შობადობა, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით; 2) ავადობა და სიკვდილიანობა; 3) მიგრაცია; 4) მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დაბერება. „დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 24 ივნისს მიიღო. ჩამოყალიბების დღიდან გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი დახმარებას უწევს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ძირითადი კომპეტენციების განვითარებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის აღწერების ჩატარება მონაცემთა შეგროვების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით. ამ მიზნის მისაღწევად გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა, გაერო-ს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან თანამშრომლობით, დახმარება გაუწია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების განვითარებას მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში, დაგეგმვაში, ჩატარებაში, მონაცემთა ანალიზსა და გავრცელებაში. ასევე გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა დახმარება გაუწია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს 2014 წლის აღწერის მონაცემთა ღრმა ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიების მომზადებაში შემდეგ საკითხებზე: 1. მოსახლეობის დინამიკა, 2. ახალგაზრდობის საკითხი, 3. მოსახლეობის დაბერების საკითხი, 4. აღწერის მონაცემთა გენდერული ანალიზი, 5. დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა.

რაც შეეხება კახეთის რეგიონს, საქართველოს მთავრობის N1366 განკარგულებით, 2013 წლის 17 სექტემბერს დამტკიცდა „კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N1366 2013) ფაქტია, რომ კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ფიქსირდება როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. ასევე შეინიშნება შიდა და გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები. მართალია, რეგიონულ ჭრილში მიგრაციის სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა სტრატეგიაზე სამუშაო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციით, კახეთში მთელი რიგი სოფლები (ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში) მოსახლეობისგან დაცლილია. თანამედროვე ეტაპზე მიგრაციული მოძრაობა წარმოების ძალების განვითარების ყველაზე დინამიური პროცესის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რომელსაც ეკონომიკური ფაქტორი უდევს საფუძვლად. (ქინქლაძე, რემინტანსების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე 2018) შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი მასობრივად გაედინება საზღვარგარეთ ან საქართველოს სხვა ქალაქებში. სამწუხაროდ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე არ მოიძებნება ემიგრანტთა გადინება საქართველოდან რეგიონების მიხედვით, მითუმეტეს მუნიციპალურ ჭრილში. მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციას ვიღებთ მოსახლეობის საყოველთაო აღწერებით. 2014 წლის საყოველთაო აღწერების მიხედვით კახეთის რეგიონიდან ემიგრანტების წილს მთელს საქართველოს ემიგრანტებში შეადგენს 8,2%-ს. მათ შორის მამაკაცები 7,4% ქალები 8,9%-ი. აღმოჩნდა ისიც, რომ კახეთიდან ემიგრანტებს შორის ყველაზე მეტი იყო სასოფლო დასახლებიდან(16,5%) ვიდრე საქალაქო დასახლებიდან (4%). როგორც ჩანს კახეთის

რეგიონში, გარე მიგრაციაში ქალის ხვედრითი წილის ზრდა იკვეთება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე.

კვლევისას გამოიკვეთა ასევე, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით 2023 წელს ემიგრაციაში იმყოფება სულ 245 064 კაცი, რაც მთელი მოსახლეობის 6.6%-ს შეადგენს. მათ შორის 56% კაცია, 44% ქალი. აქედან ყველაზე მეტი მოდის 10-14 წლის ასაკობრივ ჯგუფებზე (16%) და შემდეგ 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფებზე (12%), რაც შემაშფოთებელი და საყურადღებოა (იხ. დანართი 1). 2015-2023 წლებში, ემიგრანტთა საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 124%, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს საშუალოდ 24%-ით იზრდება ემიგრანტთა რიცხვი საქართველოში. ამავე პერიოდში კაცებისთვის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 122%, ხოლო ქალებისთვის - 126%. ამასთან კვლევამ აჩვენა, რომ 1994 წლიდან დღემდე, მიგრაციული სალდოს დადებითი კოეფიციენტი იყო 2020 წელს (4.2‰) და 2022 წელს (14.7‰). ყველაზე დაბალი უარყოფითი კოეფიციენტი იყო 2017 წელს და შეადგინა -0.6‰-ი, ხოლო ყველაზე მაღალი ამავე პერიოდში იყო 1994 წელს -40.2‰-ით, რაც პოზიტიურია. ამასთან სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია გავრცელდება საქართველოს ყველა რეგიონზე, მათ შორის კახეთზე. მოგეხსენებათ, მოსახლეობის ცხოვრების დონე განსხვავებულია როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ცალკეული ქვეყნების შიგნითაც. (მარშავა და მაკალათია 2018) სამსახურის შოვნის უპერსპექტივობის გამო რეგიონს ახალგაზრდებიც ტოვებენ, რაც კახეთის მოსახლეობის დაბერების ტენდენციას უწყობს ხელს. (ხმალაძე, აბესაძე და მუჩიაშვილი, სტუდენტების მიგრაციული განწყობის სტატისტიკური შეფასებები 2017) დაბერების ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ვერ განვითარდება ეკონომიკა და ვერ გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობის „კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიაში“ შესაძლებელია კახეთის რეგიონის ფაქტორული ანალიზის საფუძველზე რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოევლინა. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N1366 2013)



ნახაზი 1.1

რეგიონის **სუსტ მხარეებში** გამოიყოფა: 1. მოსახლეობის დაბერება; 2. ახალგაზრდების მიგრაცია,მოგეხსენებათ არა მარტო კახეთისთვის მიგრაციული პროცესები ფართომაშტაბიან სახეს იღებს დღეისთვის და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც მსჯელობს საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყნები. (ვეშაპიძე 2023) 3. თვითდასაქმების მაღალი დონე; 4. ინფრასტრუქტურა; 5. მოსახლეობაში კიბოს, ფარისებრი ჯირკვლისა და ანემიის გავრცელების მაღალი დონე. რეგიონში არსებულ **საფრთხეებში** შევიდა მოსახლეობის ბუნებრივი კლება და ავადობა. კახეთის რეგიონის საშიშროებებს განეკუთვნა მიგრაციისა და დაბერების ტენდენციის გაგრძელება. **ძლიერ მხარეს** წარმოადგენდა: საბაზისო განათლების მაღალი დონე, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, აგრომრეწველობის და ტურიზმის განვითარების ხელსაყრელი პირობები. დღეისათვის საქართველოში სიტუაცია ისეთია, რომ ჯერ კიდევ რეალურად ვერ ხერხდება ტურიზმის ინდიკატორების გაანგარიშება და შესაბამისად მისი რაოდენობრივი ანალიზი. (აბესაძე, გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში 2018)რეგიონის **განვითარების შესაძლებლობებს** წარმოადგენდა: თვითდასაქმების წილის შემცირება, აგროსამრეწველოს და ტურიზმის დარგებში შემოსავლების გაზრდა, დასაქმებასთან ერთად ინფრასტრუქტურის გაძლიერება, შობადობის წახალისება, ახალგაზრდების მიგრაციისა და მოსახლეობის დაბერების შემცირება. სწორედ ზემოთ აღნიშნული სტრატეგიით ჩამოყალიბდა კახეთის რეგიონის განვითარების პრიორიტეტები, ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები. კახეთის რეგიონის განვითარების პრიორიტეტებში შევიდა: რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარება; მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. 2014-2021 წლების სტრატეგიული

მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები იყო: მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების დახვეწით; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება მიგრაციის შეჩერებით, შობადობის ხელშეწყობითა და ბავშვიანი ოჯახების დახმარებით; დასაქმების ზრდა კვალიფიკაციის ამაღლებით, აგრომრეწველობასა და ტურიზმში ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, პროფესიული გაერთიანებების საფუძველზე. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N1366 2013)

კახეთის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი პროექტი - 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იქნა საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ევროკავშირთან, სხვა განვითარების პარტნიორებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან და კერძო სექტორებთან კონსულტაციებისთვის. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N2384, 2021 წლის 27 დეკემბერი 2021) პროგრამა დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტის, ევროპის კავშირის ფინანსური კონტრიბუციის, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის ფინანსური მხარდაჭერით. რეგიონული განვითარების მიზნების პრიორიტეტებისა და ღონისძიებების და თანამედროვე დეცენტრალიზებული რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა დაეწყო ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ღონისძიებების განხორციელება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ამისთვის შეირჩა საქართველოს ოთხი საპილოტე რეგიონი: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. პროგრამა ითვალისწინებდა ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელის შეწყობას დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბროების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას.

დღეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს მოსახლეობის სტატისტიკისთვის წარმოადგენს: მოსახლეობისა და დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგია,(საქსტატი) გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები, (მეორე გადახედვა, ნიუ-იორკი, 2001), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერების შესახებ. (ნიუ-იორკი და ჟენევა 2006) მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპებისა და რეკომენდაციების თანახმად, საყოველთაო აღწერებთან ერთად, სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემა წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების წყაროს. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.) ინფორმაციის მიღების სამოქალაქო სარეგისტრაციო ფორმა ხასიათდება იმით, რომ ის არის უწყვეტი, მუდმივი და სავალდებულო, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით, თუმცა უნდა იყოს შენარჩუნებული მათი ინდივიდუალურად მოძიების შესაძლებლობა საჭიროებისამებრ. (Principles and Recommendations for a Vital Statistics System 2001)

1.3 კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა

დროში ფაქტების რეგისტრაციის მიხედვით, მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა ხორციელდება როგორც მიმდინარე, ისე პერიოდული აღრიცხვის საფუძველზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით და რეგიონულ ჭრილში. დღეს, სიტუაცია ისეთია, რომ დეფიციტურია დემოგრაფიული პარამეტრების დეტალური, კომპლექსური ანალიზი რეგიონულ ჭრილში, გვხვდება მხოლოდ ნაწილობრივი, ცალკეული მახასიათებლების ანალიტიკური შეფასებები, ისიც ზოგიერთი რეგიონის მიხედვით. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს კახეთის მოსახლეობის რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზს და მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების განვითარების ძირითად ტენდენციებს, რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის კომპლექსური შესწავლისა და სტატისტიკური შეფასების მცდელობის პირობებში.

საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველთვის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მოსახლეობის განვითარების ტენდენციების გათვალისწინება არის როგორც მთლიანი ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოგრაფიული პროცესები დიფერენცირებულია რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, რასაც განაპირობებს კახეთის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური შემადგენლობა, რაც მოცემული რეგიონის დემოგრაფიულ შესწავლას მეტად აქტუალურს ხდის. 2023 წლის მონაცემებით, კახეთის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 8 პროცენტზე ცოტა მეტს შეადგენს (306,2 ათასი) და რიცხოვნობით ჩამორჩება მხოლოდ იმერეთს, ქვემო ქართლსა და აჭარას. კახეთის მხარეში შედის 8 მუნიციპალიტეტი, 9 ქალაქი და 276 სოფელი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 299,9 ათასი კაცი, ხოლო სიმჭიდროვემ 1 კვ. კმ-ზე 26, აქედან 70,1 ათასი კაცი, ანუ 23,4 %, ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში, ხოლო 229,8 ათასი კაცი, ანუ 76,6% - სასოფლო დასახლებაში. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.) 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით მოსახლეობამ 352,7 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო 2014

წლის საყოველთაო აღწერით - 320,1 ათასი, რაც 2002 წლის მონაცემებთან შედარებით 9%-ით არის (დაახლოებით 28 000 ადამიანით) შემცირებული. თუმცა, ეს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების დაბალი მაჩვენებელია სხვა რეგიონებთან შედარებით. მოსახლეობის შემცირება ძირითადად გამოწვეულია შობადობის შემცირებით, შიდა და გარე მიგრაციით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, კახეთის მოსახლეობის შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. 2023 წლისთვის კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 306,2 ათასი კაცი, რომელიც წინა წელთან შედარებით 0,04%-ით გაიზარდა, 2014 წელთან შედარებით 0,14%-ით, ხოლო 2000 წელთან შედარებით კი - 0,64%-ით შემცირებულია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). ჩვენ საკვლევ პერიოდად ავიღეთ 1994-2023 წლები და შედარების თვალსაზრისით გავყავით ორ ნაწილად. პირველი ნაწილი მოიცავდა 1994 წლიდან მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერამდე (2014) პერიოდს, ხოლო მეორე 2015-2023 წლებს. (იხ. დიაგრამა 1.1 და 1.2)

დიაგრამა 1.1

კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობისა(ათასი კაცი) და ჯაჭვური ზრდის ტემპების (%) დინამიკა 1994-2014 წ.წ.



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ნათლად გამოიკვეთა, რომ კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს დიაგრამა 1.1. და 1.2.-დან. ერთადერთი წელი, როდესაც წინა წელთან შედარებით 0,4%-იანი მატება

დაფიქსირდა 2023 წელია, მაგრამ მისი სიდიდე ცხადია, ყველა წლის მაჩვენებელზე დაბალია, გარდა 2022 წლისა.

დიაგრამა 1.2

კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობისა (ათასი კაცი)და ჯაჭვური ზრდის ტემპების (%) დინამიკა 2015-2023 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ამის შესაბამისად, მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთ, 2023 წელს დაფიქსირდა აბსოლუტური მატების დადებითი მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საშუალო აბსოლუტური მატება აღმოჩნდა უარყოფითი, -5176, რაც იმას ადასტურებს, რომ 1995 წლიდან 2023 წლამდე ყოველ წელს კახეთის მოსახლეობა საშუალოდ 5176 ადამიანით მცირდებოდა.

ბოლო 15 წლის განმავლობაში კი, კახეთში მოსახლეობის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 99%. რაც იმას ნიშნავს რომ ყოველ წელს საშუალოდ 1%-ით მცირდებოდა კახეთის რეგიონის მოსახლეობა.

საინტერესოა ასევე კახეთის რეგიონის მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. კახეთის მხარეში შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: ახმეტის მუნიციპალიტეტი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი და ყვარლის მუნიციპალიტეტი.

დიაგრამა 1.3

კახეთის რეგიონის მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, %, (2023 წელი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კახეთის ეროვნული შემადგენლობა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აქ უმრავლესობა (88,6%) ქართველია. თუმცა, ასევე ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (10,6%), ქისტები (1,8%), ოსები (0,8%), რუსები (0,6%) და სომხები (0,7%). (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები 2016)

კახეთის რეგიონის რვა მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის რიცხოვნობის სიდიდის მიხედვით გამოიყოფა სამი: გურჯაანის, თელავის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. 1994 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 82 ათასმა კაცმა, თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ამავე წელს იყო 80 ათასი კაცი, ხოლო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა - 62,7 ათას კაცს. თუმცა, რადიკალურად შეიცვალა სურათი უკვე 1999 წლიდან მოსახლეობის რიცხოვნობის სიდიდის მიხედვით პირველ ადგილს იკავებს უკვე თელავის მუნიციპალიტეტი და უპირობოდ ინარჩუნებს პირველ ადგილს დღემდე, ხოლო გურჯაანის მუნიციპალიტეტი კი მეორე ადგილზეა, თუმცა 2019 წლიდან ის უკვე ინაცვლებს მესამე ადგილზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი უსწრებს მას მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით (52,2 ათასი კაცი).

განვიხილოთ სამივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა ცალ-ცალკე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის

რიცხოვნობა მიხედვით პირველ ადგილს იკავებდა 1994 წლიდან კახეთის რეგიონის რვა მუნიციპალიტეტს შორის, თუმცა 1999 წლიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტმა გადაინაცვლა მეორე ადგილზე თელავის მუნიციპალიტეტის შემდეგ, ხოლო 2019 წლიდან კი ის უკვე იკავებს მესამე ადგილს თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების შემდეგ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წელს შეადგენდა 50.8 ათას კაცს. ეს მაჩვენებელი 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 7%-ით, 2002 წელთან შედარებით - 18,8%-ით, ხოლო 1994 წელთან შედარებით კი 38,04%-ით. (იხ. დიაგრამა 1.4). კვლევაში გამოიკვეთა ისიც, 2015-2023 წლებში რომ გურჯაანის მოსახლეობის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 96% და 2015 წლიდან ყოველ წელს საშუალოდ 4%-ით მცირდება გურჯაანში მოსახლეობის რიცხოვნობა. დიაგრამაზე ნათლად ჩანს, თუ როგორ მკვეთრად მცირდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა, რაც მეტად საგანგაშო და საყურადღებოა.

დიაგრამა 1.4

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

თელავის მუნიციპალიტეტი 1994 წლიდან კახეთის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მეორე ადგილს იკავებდა გურჯაანის შემდეგ, თუმცა 1999 წლიდან ის ლიდერის პოზიციაზეა და მას ინარჩუნებს დღემდე. თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2023 წელს შეადგენდა 54,2 ათას კაცს. რაც 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 7,4%-ით, 2002 წელთან შედარებით 12,7%-ით, ხოლო 1994 წელთან შედარებით კი - 32,2%-ით. აუცილებლად უნდა

აღვნიშნოთ ის, რომ თელავის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება 2015 წელს დაიწყო და ასე გაგრძელდა სამი წლის განმავლობაში, თუმცა 2018 წელს მკვეთრი ზრდა შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობაში და 2019 წლიდან იწყება ისევ მოსახლეობის ნელი ტემპით შემცირება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 1.5-ზე. ამასთან თელავის მოსახლეობის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 99% და 2015 წლიდან ყოველ წელს საშუალოდ 1%-ით მცირდება თელავში მოსახლეობის რიცხოვნობა.

დიაგრამა 1.5

თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, 1994 წლიდან 2019 წლამდე მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მესამე მუნიციპალიტეტს წარმოადგენდა, ხოლო 2019 წლიდან უკვე მეორე ადგილს იკავებს თელავის მუნიციპალიტეტის შემდეგ. 2023 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 52,2 ათას კაცს, რაც 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 0,97%-ით, 2002 წელთან შედარებით კი - 2,5%-ით. მიუხედავად ამისა, 2023 წლის მაჩვენებელი 1994 წელთან შედარებით შემცირებულია 16,7%-ით. საგარეჯო ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც 2015-2023 წლებში საშუალო წლიური 1%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა 1.6).

დიაგრამა 1.6

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა (ათასი კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ამრიგად, კახეთის რეგიონის სამი ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკამ აჩვენა, რომ სამივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხოვნობა 1994 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება. გამონაკლისია საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სადაც მცირედით, მაგრამ მაინც მოსახლეობის ზრდა ფიქსირდება. ზოგადად, კახეთის რეგიონში მკვეთრად გამოხატული კლების ტენდენცია იკვეთება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2024 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონის მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ-ზე 26 კაცია, რაც ლოგიკურია და არცაა გასაკვირი. მთლიანად საკვლევ პერიოდში სიმჭიდროვის მაჩვენებლის აშკარად გამოხატული შემცირების ტენდენციაა. (იხ. დიაგრამა 1.7).

დიაგრამა 1.7

მოსახლეობის სიმჭიდროვე კახეთის რეგიონში (1 კვ. კმ-ზე, კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

როგორც ანალიზმა აჩვენა, სიმჭიდროვე 2023 წელს 2014 წელთან შედარებით 1 კაცით, 2002 წელთან შედარებით 4 კაცით, ხოლო 1994 წელთან კი - 13 კაცით

შემცირდა. ზოგადად საქართველოში, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილი თბილისია, სადაც 1 კვ. კმ-ზე 2496 კაცი მოდის. შემდეგ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილად ითვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 125 კაცით, მესამე ადგილს კი იკავებს შიდა ქართლი 71 კაცით. რაც შეეხება კახეთის რეგიონს მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით მერვე ადგილზეა მთელი საქართველოს მასშტაბით.

დიაგრამა 1. 8

საქალაქო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის წილი (%) კახეთის რეგიონში 2015-2023 წლებში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კახეთის რეგიონის მოსახლეობა ძირითადად სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები სტრუქტურის მაჩვენებლებში არ განხორციელებულა და ბოლო 10 წლის განმავლობაში ქალაქად მაცხოვრებელთა წილის მაჩვენებელი მერყეობდა 22,6% და 23,4%-ს შორის.

როგორია კახეთის რეგიონის მოსახლეობა ქალაქებისა და სოფლების მიხედვით? როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებლები და მათი ცვლილებების ამსახველი მაჩვენებლები დიფერენცირებულია ცალკეული რეგიონების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკას. სოფლებიდან ადამიანის გადასვლა ქალაქად უმნიშვნელოვანესი სოციალ-ეკონომიკური მოვლენაა. ეს არა მარტო მიგრანტთა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე ახდენს სერიოზულ გავლენას, არამედ ბევრ ცვლილებებს იწვევს როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჩნდება კითხვა, რამდენად პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მცხოვრებთა საკმაოდ დაჩქარებული ზრდა?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა შევაფასოთ ეს პროცესი არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ დემოგრაფიული, სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ქალაქების, განსაკუთრებით მსხვილი საქალაქო ცენტრების როლი ცხოვრების ყველა სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოვანესი სიახლეები მეცნიერებისა და ტექნიკის, ასევე კულტურის ყველა დარგში, ქალაქებში იღებს ყველა სათავეს და გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც თვით ქალაქის, ასევე სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაში. ქალაქებს ეკუთვნის მთავარი მაორგანიზებელი როლი ქვეყნის ბუნებრივი და შრომითი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებაში. არსებობენ ე. წ. „ნასოფლარი“ სოფლები, სადაც მოსახლეობა აღარ ცხოვრობს და შემორჩენილია მხოლოდ სახელები, ან მათ ადგილზე დარჩენილია მხოლოდ სოფლის ნაშთები. ძნელი დასადგენია ისტორიულად სულ რამდენი ნასოფლარია საქართველოში, მაგრამ 1970, 2002 და 2014 წლის მოსახლეობის აღწერები ამის დადგენის საშუალებას იძლევა. 1970 წელს საქართველოში აღირიცხა 4645 სოფელი, 2002 წელს 3668, 2014 წელს 3633. აქედან ჩანს,რომ 1970 – 2002 წლებში არსებობა შეწყვიტა და აღარ აღირიცხა 977 სოფელი, 2002-2014 წლებში აღირიცხა 35-ით ნაკლები სოფელი და ეს იმიტომ, რომ 2002 – 2014 წლებში გაჩნდა 121 ნასოფლარი, მაგრამ შეიქმნა 86 ახალი სოფელი, შესაბამისად, დღეისთვის საქართველოში გვაქვს 1098 დაფიქსირებული ნასოფლარი (გელაშვილი, ხმალაძე და აბესაძე, და სხვ. 2022, 44).

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით, რეგიონების მიხედვით, გაუკაცრიელებული და პატარა სოფლების მიხედვით დაცლილი სოფლების დიდი რაოდენობაა კახეთში. სხვა რეგიონებისგან განსხვავებით კახეთში ამ სოფლების რიცხოვნობის მეტად სწრაფი ზრდა დაფიქსირდა (გელაშვილი, ხმალაძე და აბესაძე, და სხვ. 2022, 45)

ცხრილი 1.1

გაუკაცრიელებული და პატარა სოფლები კახეთის რეგიონში მოსახლეობის 2002-2014 წლების აღწერის შედეგების მიხედვით

კახეთის რეგიონი									
2002					**2014**				
სულ	**მათგან მცხოვრებთა რიცხვი**				**სულ**	**მათგან მცხოვრებთა რიცხვი**			
	0	**1-5**	**6-10**	**11-25**		**0**	**1-5**	**6-10**	**12-25**
280	**6**	**3**	**4**	**14**	**333**	**53**	**6**	**3**	**6**

წყარო: მოსახლეობის 2002, 2014 წლის საყოველთაო აღწერები

საქართველოს მოსახლეობის აღწერებში, პატარა სოფლების შემდეგ, სოფლები ჯგუფდება მოსახლეობის შემდეგი რიცხოვნობის მიხედვით: 26-50; 51-100; 101-200; 201-500; 501-1000; 1001-2000; 2001-3000; 3001-5000; 5000 და მეტი მცხოვრები. საქართველოში დიდ სოფლად ითვლება ის სოფელი, სადაც 5 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. კახეთის რეგიონში ასეთი დიდი სოფელი 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სულ იყო 8: ახმეტის მუნიციპალიტეტში - 1, გურჯაანის მუნიციპალიტეტში - 3, თელავის მუნიციპალიტეტში - 1,საგარეჯოს მუნიციპალიტეტში - 1, ყვარლის მუნიციპალიტეტში - 2. (მოსახლეობის 2002, 2014 წლის საყოველთაო აღწერების მონაცემები). საყურადღებოა, რომ 2014 წლის აღწერის შედეგებით, კახეთის რეგიონში არცერთი დიდი სოფელი აღარ დარეგისტრირებულა. სამწუხაროდ, დადებითი მოლოდინები არც 2024 წლის აღწერითაა მოსალოდნელი. (სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2014)

საინტერესოა მოსახლეობის განაწილება კახეთის რეგიონის ქალაქებსა და სოფლებში მუნიციპალიტეტების მიხედვით (იხ. დანართი 2). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, რეგიონებში ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის გამიჯვნა იწყება 2015 წლიდან. კახეთის რეგიონში 2023 წელს ყველაზე მეტი მოსახლეობა შემდეგ სამ მუნიციპალიტეტის ქალაქშია: 1. თელავის (20.0 ათასი), რომლის მოსახლეობა წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წელთან შედარებით 3%-ით; 2. საგარეჯოს (10,4 ათასი), რომელიც ასევე წინა წელთან შედარებით 1%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა და 3. ყვარლის (9,5 ათასი), რომელიც 2022 წელთან შედარებით 4%-ით გაიზარდა და 2018 წელთან შედარებით კი 10%-ით. ამ სამი

ქალაქიდან მოსახლეობის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა საგარეჯოს ქალაქის მოსახლეობაში. ხოლო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სიდიდის მიხედვით 2023 წელს გამოირჩევა - გურჯაანის (43,4 ათასი), საგარეჯოს (41,8 ათასი), ლაგოდეხის (35,2 ათასი) და თელავის (34,2 ათასი) მუნიციპალიტეტები. აღმოჩნდა, რომ სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, თელავის მუნიციპალიტეტი ერთადერთია კახეთის რეგიონში, სადაც სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა უმნიშვნელოდ აღემატება ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობის რიცხოვნობა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახეთის რეგიონი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აქ უმრავლესობა ქართველია, რომელთა წილი მთელი მოსახლეობის 88,6% -ია. შემდეგ მაღალი წილით გამოირჩევა აზერბაიჯანელი 10,6 და ქისტი - 1,8% მოსახლეობა.(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). სომეხი, რუსი, ოსი, უკრაინელი და სხვა ეროვნების მოსახლეობის წილი მცირეა და ვარირებს 0,003%- დან და 0,8%-მდე. (იხ. დიაგრამა 1.9).

დიაგრამა 1.9

კახეთის რეგიონის მოსახლეობის განაწილება ეროვნების მიხედვით (%)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

აღსანიშნავია, რომ კახეთის მოსახლეობა აღმსარებლობის მიხედვით ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი მართლმადიდებელია, რომლის მიმდევართა წილი რეგიონის მოსახლეობაში, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 85,1%-ს შეადგენს. მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 12,9%-ი, ხოლო იეღოვას მოწმესი კი - 0,3%-ი. (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები 2016) (იხ. დანართი 3)

დიაგრამა 1.10

კახეთის რეგიონის მცხოვრებთა განაწილება აღმსარებლობის მიხედვით (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა მუნიციპალიტეტების მიხედვით. მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი შედარებით მაღალია გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში. ხოლო დაბალი წილით გამოირჩევა საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები. (იხ. ცხრილი 1.2).

ცხრილი 1.2

2014 წელს მოსახლეობის განაწილება თვითმმართველი ერთეულების და აღმსარებლობის მიხედვით

	სულ	მართლმადიდებელი	მუსლიმური	სომხური-სამოციქულო	კათოლიკური	სხვა	არცერთი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
ახმეტა	31461	79.1%	18.9%	0.0%	0.1%	0.8%	0.3%	0.2%	0.7%
გურჯაანი	54337	98.8%	0.1%	0.1%	0.0%	0.4%	0.4%	0.1%	0.3%
დედოფლისწყარო	21221	93.7%	3.6%	0.3%	0.1%	0.7%	0.5%	0.7%	0.5%
თელავი	38721	86.1%	12.6%	0.0%	0.0%	0.4%	0.2%	0.2%	0.6%
ლაგოდეხი	41678	74.2%	23.2%	0.0%	0.1%	0.4%	0.4%	0.2%	1.4%
საგარეჯო	51761	66.2%	30.5%	0.0%	0.0%	0.2%	0.1%	0.1%	2.9%
სიღნაღი	29948	96.9%	1.2%	0.1%	0.0%	0.7%	0.4%	0.2%	0.4%
ყვარელი	29827	95.0%	3.5%	0.1%	0.6%	0.4%	0.2%	0.1%	0.2%

წყარო: (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები 2016)

რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი საქართველოს სხვა რეგიონების დემოგრაფიული მაჩვენებლების განხილვა. ამ მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი კახეთის

რეგიონისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული ვითარების სიმწვავის შეფასებისა და პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს.

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს რეგიონების მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში ცალკეული რეგიონის ხვედრითი წილის მაჩვენებლების დინამიკა (იხ. ცხრილი 1.3)

ცხრილი1.3

საქართველოს მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის ტემპებისა და ხვედრითი წილის მაჩვენებლები მთელს მოსახლეობაში რეგიონების მიხედვით, (%)

	საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%)		რეგიონების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში (%)		
	1994-2014	2015-2024	2002	2014	2024
აჭარის არ	92	102	8.6	8.9	9.8
გურია	89	98	3.1	3.1	2.7
იმერეთი	90	95	15.8	14.5	12
კახეთი	90	98	8.8	8.6	8.1
მცხეთა-მთიანეთი	90	99	2.7	2.5	2.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	86	95	1.1	0.9	0.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	94	96	10.4	9	7.8
სამცხე-ჯავახეთი	89	97	4.5	4.3	3.8
ქვემო ქართლი	89	100.7	11.1	11.4	11.8
შიდა ქართლი	93	98	6.9	7.1	6.6

წყარო: ცხრილი აგებულია ავტორის გაანგარიშებით *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

მონაცემებიდან ჩანს, რომ არა მარტო კახეთში მიმდინარეობს მოსახლეობის რაოდენობის კლება, არამედ ყველა სხვა რეგიონებშიც. (დოხტურიშვილი, დემოგრაფიული პროცესების თანამედროვე ტენდეციები საქართველოში 2022) 1994-2014 წლებში კახეთსა და კიდევ ორ: იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საშუალო წლიურმა ზრდის ტემპებმა შეადგინა 90%, რაც იმას ნიშნავს რომ სამივე რეგიონში ყოველ წელს საშუალოდ 10%-ით მცირდებოდა მოსახლეობა. ამავე პერიოდში ყველაზე მაღალი საშუალო წლიური კლების ტემპით ხასიათდებოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი(14%), ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო წლიური კლების ტემპი ახასიათებდა სამეგრელოსა და ზემო სვანეთს (6%). ამასთან გურიაში, სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში მოსახლეობის რიცხოვნობა

საშუალოდ ყოველ წელს 11%-ით მცირდებოდა, აჭარაში 8%-ით, ხოლო შიდა ქართლში კი 7%-იანი შემცირება დაფიქსირდა. თუმცა, 2015 წლიდან სიტუაცია შეიცვალა და საშუალო წლიური მატების ტემპი დაფიქსირდა უკვე საქართველოს ორ რეგიონში აჭარასა და ქვემო ქართლში შესაბამისად 2% და 0,7%. დანარჩენ რეგიონებში ისევ კლების ტემპებია, რომელთა მაჩვენებლები ვარირებს 1%-ან 5%-მდე.

რაც შეეხება კახეთის რეგიონს მოსახლეობის ხვედრით წილს მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში, 2024 წლის მონაცემებით 8,1%-ია და ჩამორჩება მხოლოდ იმერეთსა (12%) და ქვემო ქართლს(11.8%). ამ მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე შეინიშნება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (0,7%).

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კახეთის რეგიონში მოსახლეობის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ რეგიონის მოსახლეობის 80% ცხოვრობს სოფლად. სოფლები კი მოსახლეობის რიცხოვნობით და განსახლების სიმჭიდროვით გამოირჩევა. ბოლო პერიოდში რეგიონში ბუნებრივი კლება და, შესაბამისად, მოსახლეობის დაბერება შეინიშნება, გაზრდილია ახალგაზრდების მიგრაცია, 20-ან 39 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 17%-ს შეადგენს. კახეთში მოსახლეობის ბუნებრივი კლება ფიქსირდება. ბუნებრივი კლება არის როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში. სამწუხაროდ, რეგიონულ ჭრილში მიგრაციის სტატისტიკა არ არსებობს, ამიტომ შეუძლებელი იყო ამ მაჩვენებლების გაანალიზება, თუმცა, კახეთში მთელი რიგი სოფლები (ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში) მოსახლეობისაგან დაცლილია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი კი მასობრივად გადის რეგიონიდან საქართველოს სხვა რეგიონში, მუნიციპალიტეტსა და ქალაქებში ან საზღვარგარეთ. კახეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოს რეგიონებში, გარე მიგრაციის ფემინიზაცია იკვეთება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. სამსახურის შოვნის უპერსპექტივობის გამო, რეგიონს ახალგაზრდებიც ტოვებენ, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის დაბერებას. მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან იგი გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა მხარეზე. (რობიტაშვილი 2018) განსაკუთრებით მოსახლეობის

დაბერების ტენდენცია იკვეთება სოფლად. ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერება და შობადობის მატების ხელშეწყობა რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევაა. დაბერების ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ვერ განვითარდება ეკონომიკა, ვერ გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. სწორედ დემოეკონომიკური პროცესების შესწავლის აუცილებლობამ წარმოშვა სტატისტიკის ერთ-ერთი ახალი დარგი - ეკონომიკური დემოგრაფია, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული პროცესების გავლენას ეკონომიკაზე. (ხმალაძე, ეროვნული შემოსავლის ზრდის დემოეკონომიკური ფაქტორები 2023)

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კახეთის რეგიონის მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება. მოსალოდნელია მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება, რაც რეგიონში მთელ რიგ ურთიერთგადაჯაჭვულ ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს. ფაქტია, რომ ეკონომიკის ზრდაზე პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის რიცხოვნობის მატება, რამდენადაც ზრდის შრომისუნარიანი ასაკის ადამიანების რაოდენობას. დაბერებული მოსახლეობის გაზრდა კი შობადობის კლებასთან ერთად ეკონომიკური ზრდის შემცირების ფაქტორად გვევლინება.

ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა სახელმწიფოს გონივრული და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არა მარტო კახეთის რეგიონს, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებს ემუქრება მოსახლეობის შემცირება.

1.4 კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი

საქართველო ათეული წლებია იმყოფება მძიმე დემოგრაფიული საფრთხის წინაშე. მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, მიმდინარეობს ცვლილებები სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაში, იზრდება უარყოფითი დემოგრაფიული მახასიათებლების ქვეყნის სოციალურ მახასიათებლებზე გავლენის ხარისხი, ნაკლები ეფექტიანია დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებები, დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები და ა.შ. ეს ყველაფერი აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ სტატისტიკაზე როგორც მთლიანად, ისე რეგიონულ ჭრილში. რა თქმა უნდა პრობლემები არის და მათი დაძლევა საზოგადოების თითოეული წევრის ვალია ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. 2024 წელი მოსახლეობის აღწერის წელია და ქვეყანა, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის, სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნებით რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრის შესაბამისად, ახალი რეალობის მოლოდინშია. დემოგრაფთა უმეტესობა ელოდება, რომ შობადობის მაჩვენებლები შემცირდება, რადგან ადამიანებს ნაკლებად აქვთ ბავშვების ყოლის სურვილი.

რადგან მოსახლეობის რიცხოვნობაზე, შემადგენლობასა და დინამიკაზეა დამოკიდებული როგორც შრომითი რესურსების მოცულობა, ასევე, წარმოებულ მატერიალურ დოვლათსა და მომსახურებაზე მოთხოვნის რაოდენობა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლას. მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობას კი მნიშვნელობა ადგილი უჭირავს დემოგრაფიულ გამოკვლევებში. ამასთან, დემოგრაფიული პროცესები ასაკთან ერთად მკვეთრად განსხვავდება სქესის მიხედვითაც და დემოგრაფიული პროცესები შეისწავლება სქესის და ასაკის მიხედვით.

კვლევიდან დგინდება, რომ ბოლო სამი აღწერის მიხედვით კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გაანალიზებამ აჩვენა, რომ 1989 და 2002 წლების კახეთის რეგიონის მოსახლეობის სტრუქტურა სტაციონარულთან იყო ახლოს, ხოლო 2014 წელს რეგრესიულის მსგავსი იყო. (იხ. დიაგრამა 1.11)

დიაგრამა 1.11

კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 1989, 2002, 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით

წყარო: *მოსახლეობის 1989, 2002, 2014 საყოველთაო აღწერის მონაცემები*

დიაგრამა 1.11-ან ჩანს, რომ 1989-2002 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მიხედვით, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა შეესაბამებოდა ე. წ. „სტაციონალური“ მოსახლეობის შემადგენლობის ტიპს, რომელიც გულისხმობს მთელი კახეთის რეგიონის მოსახლეობაში ბავშვებისა და მოხუცებულების ასაკობრივი ჯგუფების თითქმის გაწონასწორებას, რომელიც მერყეობდა 6-7%-მდე როგორც კაცებში, ასევე ქალებში. (წულაძე და სულაბერიძე, საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016, 21)

კახეთის რეგიონში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის და პროცესების უკეთ შესაფასებლად, მნიშვნელოვან ინდიკატორებს წარმოადგენს მოსახლეობის კვლავწარმოების და მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებლები. ეს უკანასკნელი მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური მახასიათებელია. მისი ანალიზის საფუძველზე შეიძლება კახეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის კვლავწარმოების თავისებურებების გამოვლენა, საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვის და განათლების სისტემების შემუშავება-განვითარება. (შონია 2018) დემოგრაფიული ვითარება აისახება შრომითი რესურსების ფორმირებაზე, რომლის ნაწილს შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ანუ სამუშაო ძალა. სამუშაო ძალის განაწილებაზე პირდაპირ ახდენს ზეგავლენას

დემოგრაფიული დაბერება. ამის ფონზე უნდა შეფასდეს არსებული ადამიანური კაპიტალი და მისი პროდუქტიულობა. ის, თუ რამდენად შეუძლია მას შექმნას მატერიალური თუ არამატერიალური დოვლათი, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგ: ასაკი, სქესი, ფიზიკური შესაძლებლობა, სამუშაო გარემო, ცოდნა-განათლება და სხვ. სწორედ სამუშაო ძალის ოდენობა განსაზღვრავს კახეთის რეგიონში დასაქმების დონეს, რომლითაც ხასიათდება რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობა და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. (ჩარექიშვილი 2018)

მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა დამოკიდებულია შობადობასა და სიკვდილიანობაზე და თავის მხრივ უკუგავლენას ახდენს ამ ძირითად დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე. ფაქტობრივად მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა არის კახეთის რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების კვლევის მთავარი საკითხი. (ხმალაძე და ჩიტალაძე , დემოგრაფიული სტატისტიკა 2020)

ბოლო აღწერის მონაცემებით, სულ კახეთის რეგიონში 333 სასოფლო დასახლება- 247 057 მცხოვრები კაცით და 9 საქალაქო დასახლებაა - 71 526 მცხოვრები კაცით. კახეთში ცხოვრობს მთელ საქართველოს ქალების მოსახლეობის 8,4%,-ია და კაცების 8,8%.(იხ.ცხრილი 1.4)

ცხრილი 1.4

კახეთის რეგიონის მოსახლეობის ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (2023 წელი)

	კახეთის რეგიონის მოსახლეობა	საქართველოს მოსახლეობა	ხვედრითი წილი (%)
ორივე სქესი	318 583	3 713 804	8,6%
მამაკაცი	156 154	1 772 864	8,8%
ქალი	162 429	1 940 940	8,4%

წყარო:*ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.*

თუ გავაანალიზებთ კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას ქალაქისა და სოფლის დასახლებების მიხედვით, აქ წლების მიხედვით დინამიკაში მკვეთრად გამოკვეთილი ტენდენცია ვლინდება. 2023 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონის მოსახლეობის 76,8% სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს, რაც 2014

წელთან შედარებით შემცირებულია 5,1%-ით, 2002 წელთან შედარებით - 12,6%-ით და 1994 წელთან შედარებით კი 35,5%-ით და ქალაქის დასახლება - 23,2%. ანალოგიურად ქალაქის მოსახლეობა 2023 წლის მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 1,3%-ით, 2002 წელთან შედარებით - 14,6%-ით, 1994 წელთან შედარებით კი 21,9 %-ით.

კახეთის რეგიონის როგორც ქალაქის, ასევე სასოფლო დასახლებაში, ყველაზე მაღალი წილით შესაბამისად 7,5 % და 7,4%, 50-54 და 55-60 წლის ასაკობრივ ჯგუფის მოსახლეობა გამოირჩევა, შემდეგ აღსანიშნავია 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის პროცენტული წილის მაჩვენებელი, რაც 6,6%-ის ტოლია. თუ ნაზარდი სიხშირით წარმოვადგენთ მაჩვენებლებს, მაშინ საერთო ჯამში 20-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს მთელი კახეთის მოსახლეობის 12,8%-ს. მთლიანობაში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი 17,8%-ია, 15-64 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა 64,8%-ს შეადგენს, ხოლო 65 და უფრო მეტი ასაკის მოსახლეობის წილი 17,4% მთლიანად კახეთის მოსახლეობაში. თუ დეტალურად ჩავშლით მონაცემებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ კახეთში 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი მოსახლეობაში შედარებით დაბალია (5,7%),სამაგიეროდ მაღალია 50-60 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი მთლიანად კახეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაში (15,5%). გამოდის, რომ რეგიონი გამოირჩევა დაბერების მაღალი დონით. (იხ. დანართი 4) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა ერთგვაროვანი არ არის. (რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკა თ. გ.) კახეთის რეგიონის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა გვიჩვენებს, რომ, 0-ან -19 წლამდე, 25-29, 35-39, 40-44 ასაკობრივ ჯგუფებში კაცების რაოდენობა აჭარბებს ქალების რაოდენობას. მაგრამ მომდევნო ასაკობრივ ჯგუფებში მდგომარეობა შესამჩნევლად იცვლება, თანდათან მატულობს სიკვდილიანობა ვაჟებს შორის და რაც უფრო მეტია ასაკობრივი ზღვარი, მით უფრო მეტია ქალები ვაჟებთან შედარებით. ამ საერთო კანონზომიერებაში, მნიშვნელოვანი კორექტირება შეაქვს სხვადასხვა სახის სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებს. სოციალური განვითარების დონის შესაბამისად შეიმჩნევა უთანაბრობა ვაჟებისა და ქალების რიცხოვნობაში.

დიაგრამა 1.12

კახეთის რეგიონის მოსახლეობის საშუალო ასაკი სქესის მიხედვით



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კახეთის რეგიონის მოსახლეობის საშუალო ასაკი 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 2 წლით გაიზარდა და 38 წელი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა მამაკაცთა საშუალო ასაკი 34 წლიდან 36 წლამდე, ხოლო ქალების - 38 წლიდან 40 წლამდე. (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები 2016) ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონის მოსახლეობის ქალების ნახევარი უფრო ასაკიანია, ვიდრე კაცები. ქალები კახეთის რეგიონის მოსახლეობის 51%-ს შეადგენენ და დინამიკაში წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

სქესთა რიცხოვნობის ფარდობაში, უარყოფითად მოქმედებენ რეგიონში შექმნილი დემოგრაფიულ სიტუაციები. ქალების სიჭარბის ვითარებაში ბევრი პოტენციური დედა ვერ ქმნის ოჯახს, რაც ამცირებს შობადობის მაჩვენებელს და საბოლოოდ მოსახლეობის მატების ტემპს.

როგორც საქართველოში, ასევე მის რეგიონებში, მათ შორის კახეთის რეგიონში, „ხანდაზმულობის“ ზღვარს წარმოადგენს 65 წელი. კახეთის რეგიონის მოსახლეობის დაბერების პროცესი მკვეთრად არის გამოხატული, რადგან 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფის რიცხოვნობა გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს დემოგრაფებმა შეიმუშავეს 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილის (%) სკალა მთელს მოსახლეობაში. ასეთ პირთა წილი თუ 7%-ზე მეტია, მაშინ მოსახლეობა დაბერებულად ითვლება. სწორედ აქედან გამომდინარე, კახეთის რეგიონის მოსახლეობა ითვლება დაბერებულად, რადგან ბოლო საყოველთაო

აღწერის (2014 წელი) მონაცემებით 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი მთელს კახეთის რეგიონის მოსახლეობაში შეადგენს 17,2 %-ს.

დემოგრაფიულ დაბერებას ისიც გვიჩვენებს, რომ 2002 წლიდან დღემდე კახეთის რეგიონის მოსახლეობის მედიანური ასაკი გაიზარდა. 2002 წლის კახეთის რეგიონის მოსახლეობის მედიანური ასაკი ორივე სქესისთვის შეადგენდა 37,6 წელი, ხოლო 2014 წლის აღწერით კი შეადგინა - 41 წელი.

კახეთის რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებებიდან მთავარი მაინც ის არის, რომ მცირდება ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და იზრდება უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი.

საქართველოს სხვა რეგიონებს შორის, ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, კახეთის რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი კახეთის რეგიონის მთლიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს (58,4%). ეს კი გარკვეულ პოზიტიური განწყობის მოლოდინს ქმნის.

თავი 2. კახეთის რეგიონის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური მახასიათებლები

2.1. შობადობის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი

ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების ფორმირების მთავარ ინდიკატორს, ბუნებრივი მატება წარმოადგენს. საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი უარყოფითია, რაც ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების ადეკვატურია. მაღალი შობადობა ზრდის ახალგაზრდა ასაკის თაობათა ხვედრით წილს მთელ მოსახლეობაში და ამით განაპირობებს სიკვდილიანობის შემცირებას, ეს კი საბოლოოდ ხელს უწყობს შობადობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას და მოსახლეობის დაჩქარებულ ბუნებრივ მატებას. (ჯაოშბილი 1984) დღეისათვის შობადობის დონეზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსი განაპირობებს შობადობის დონის შემცირებას. (ხმალაძე, შობადობის სტატისტიკა საქართველოში: მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში 2018) დეპოპულაციის თვალსაზრისით ყველაზე მძიმე ვითარება შეინიშნებოდა 2002 წელს მთელს საქართველოში. ამ დროისთვის დეპოპულაცია მიმდინარეობდა საქართველოს 6 რეგიონში: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, კახეთი, მცხეთა მთიანეთი, იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი. 2014 წლისათვის მდგომარეობა გამოსწორდა და დეპოპულაციამ დაიკლო ყველა ზემოთ ხსენებულ რეგიონში, გარდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთისა. რაც შეეხება კახეთს, დეპოპულაცია შეიცვალა ძალიან უმნიშვნელო ბუნებრივი მატებით. (წულაძე და სულაბერიძე, საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016, 38)

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით კახეთის რეგიონში 2023 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებლები უარყოფითი -857 იყო, რაც იმას ნიშნავს რომ გარდაცვლილთა რაოდენობამ ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას 857 ადამიანით გადააჭარბა. 2023 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 3 103 ბავშვი შეადგინა. ამავე პერიოდში კახეთის რეგიონში 3 960 ადამიანი გარდაიცვალა. ამასთან საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლისა, ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

1994 წლიდან დღემდე, სულ სამ წელს დაფიქსირდა კახეთის რეგიონში ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებლები. 2004 წელს კახეთის რეგიონში ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი უარყოფითი (-1899) მაჩვენებელი იყო, ხოლო ყველაზე დაბალი - 2017 წელს (-84). 2017 წლის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი რეკორდულ ნიშნულამდე შემცირდა და გარდაცვლილთა რაოდენობამ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას 84 ერთეულით გადააჭარბა. ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებელი განპირობებული იყო, როგორც სიკვდილიანობის, ზრდით, ასევე შობადობის შემცირებით.

დიაგრამა 2.1

2023 წელს ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) მუნიციპალიტეტების მიხედვით, (‰)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ამასთან კვლევამ გვაჩვენა ისიც, რომ 2010-2023 წლებში, კახეთის რეგიონში, ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, ძირითად, ფიქსირდებოდა უარყოფითი. მხოლოდ 2014 და 2015 წლებში დაფიქსირდა ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი შესაბამისად 187 და 255. მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერიდან დღემდე, დადებითი ბუნებრივი მატება ფიქსირდებოდა საგარეჯოს და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბოლო სამი წელია, უკვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტშიც უარყოფითი ბუნებრივი მატება ფიქსირდება. ყველაზე მაღალი უარყოფითი ბუნებრივი მატებით ამავე პერიოდში გამოირჩევა

სიღნაღის მუნიციპალიტეტი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)(იხ. დანართი 5)

როგორც, ქართველი დემოგრაფები აღნიშნავენ, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დემოგრაფიული ვითარება საქართველოში ნორმალური იყო. 1926 წლის შემდეგ დემოგრაფიული ვითარება არ გაუარესებულა, ხოლო კახეთში უკეთესიც კი იყო. მთლიანად საქართველოში და კახეთში 1950, 1960, 1970, 1980-იან წლებში შობადობის დონე უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. თვით საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში, კერძოდ, 1980-1989 წლებში შობადობის დონე კახეთში მართალია, 1960-იანი წლების შემდგომ პერიოდთან შედარებით შემცირდა, მაგრამ, მაინც უზრუნველყოფდა მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. 1990-იანი წლებიდან დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულად გაუარესდა, რაც უპირველეს ყოვლისა, შობადობის კლებაში გამოიკვეთა. (პაპასკირი 2021)

კახეთში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა კლების ტენდენციით ხასიათდება. საკვლევ პერიოდში, 1994 წლიდან 2023 წლამდე, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობაში შეინიშნება, როგორც მატება, ასევე კლება. კახეთის რეგიონში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის ყველაზე მაღალი რიცხვი დაფიქსირდა 2014-2015 წლებში (შესაბამისად 5 261 და 5 212 კაცი). 2023 წლის მონაცემებით კახეთის რეგიონში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვმა შეადგინა 3 103 კაცი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 2,8%-ით, 2014 წელთან შედარებით 21,6 %-ით. ხოლო 2002 წელთან შედარებით კი 8,4 %-ით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ წლებში (2005-2009; 2013-2014), ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობაში შეინიშნებოდა მატება, კახეთის რეგიონში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, მთლიანობაში მაინც კლების ტენდენციით ხასიათდება. 2010-2023 წლებში საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 99%, რაც იმას ნიშნავს, რომ კახეთის რეგიონში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ყოველ წელს საშუალოდ 1%-ით მცირდებოდა. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)

დიაგრამა 2.2

კახეთის რეგინის ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობისა (ათასი კაცი) და ჯაჭვური ზრდის ტემპების დინამიკა 2010-2023 წლებში (%)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კახეთის რეგიონის ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ, 2023 წელს შეადგინა 3103 კაცი და მათ შორის - 1595 ანუ 51,4% იყო ბიჭი, ხოლო - 1508, 48,6% გოგო. როგორც ვხედავთ, აქაც სჭარბობენ ცოცხლად დაბადებული ბიჭები, ცოცხლად დაბადებულ გოგონებს.

კვლევამ აჩვენა, რომ 2023 წელს კახეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის შობადობის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით სულ დაბადებულთა შორის გამოირჩევა საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 19,9%-ით, მას ჩამორჩება თელავის, გურჯაანის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჩვენებლები, რომელთა წილი შესაბამისად 18,1%, 14,6 და 14,2 %-ის დონეზე იყო. ყველაზე დაბალი ხვედრითი წილით გამოირჩევა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი (6,2%). რაც შეეხება ინტენსივობას, ყველაზე მაღალი შობადობის ინტენსივობით გამოირჩევა საგარეჯოს 198,5 დაბადებულით ყოველ 1000 კაცზე, შემდეგ თელავის 181,4 დაბადებულით ყოველ 1000 კაცზე და გურჯაანის მუნიციპალიტეტები 146 დაბადებულით ყოველ 1000 კაცზე. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ახასიათებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს 62,2 დაბადებულით ყოველ 1000 კაცზე. (იხ. დანართი 6)

ზოგადად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2023 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება აჭარის რეგიონში (12,4%), შემდეგ ქვემო ქართლში, რომლის წილი დაბადებულთა მთლიან რაოდენობაში 12,1%-ია, მას მოსდევს იმერეთი-12%-ით და უკვე ჩვენთვის საინტერესო რეგიონი

7,7%-ით (იხ. დიაგრამა 2.3). (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)

დიაგრამა 2.3

2023 წელს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით (კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ კახეთის რეგიონში არ მიმდინარეობს ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის შემცირება. მთლიანად საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 1994-2014 წლებში ყოველ წელს საშუალოდ 3%-ით მცირდებოდა, ხოლო 2015 წლიდან კიდევ უფრო გაღრმავდა შემცირება და საშუალოდ წლიური კლების მაჩვენებელი 9%-მდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2

ცოცხლად დაბადებულთა საშუალოწლიური ზრდის ტემპებისა და ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობაში ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, (%)

	საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%)		ხვედრითი წილი მთელს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში (%)
	1994-2014	2015-2024	2023
საქართველო	97	**91**	
აჭარის არ	94	**95**	**13**
გურია	89	**88**	**2**
იმერეთი	91	**87**	**12**
კახეთი	96	**88**	**8**
მცხეთა-მთიანეთი	94	**89**	**2**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	85	**89**	**1**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	95	**86**	**7**
სამცხე-ჯავახეთი	98	**92**	**4**

ქვემო ქართლი	97	**91**	**12**
შიდა ქართლი	95	**88**	**6**

წყარო: *ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

როგორც აღვნიშნეთ, საანალიზო პერიოდი გავყავით ორ ნაწილად: 1994-2014 წლები და 2014 წლიდან დღემდე. მათი შედარებითი ანალიზი განსხვავებულ ტენდენციებს კვეთავს. 1994-2014 წლებში ყველა რეგიონის ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის კლების ტემპის მაჩვენებლები ვარირებდა 2%-ან 11%-მდე. ყველაზე მაღალი საშუალო წლიური კლების ტემპით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო ქართლის(15%) და ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (2%). 2015 წლიდან კიდევ უფრო გამწვავდა ეს პროცესი და რეგიონებში კლების ტემპის მაჩვენებლები უკვე ვარირებს 5%-ან 14%-მდე. კახეთის რეგიონის ცოცხლად დაბადებულთა ხვედრითი წილი მთლიან დაბადებულებში შეადგენს 8%-ს. რომლითაც ის ჩამორჩება აჭარას, იმერეთსა და ქვემო ქართლს. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (1%) მცხეთა მთიანეთისა და გურიის რეგიონები (2%), ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებლით აჭარის რეგიონი (13%).

კვლევამ აჩვენა ასევე, რომ კახეთის რეგიონში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, რომელიც გულისხმობს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე, ყველაზე მაღალი დაფიქსირდა 2014 წელს (16,5‰) და ყველაზე დაბალი 2023 წელს (10,2‰). 2014 წლიდან შობადობის ზოგადი კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2010-2023 წლებში კახეთში, ეს მაჩვენებელი საშუალოდ ყოველწლიურად 2%-ით მცირდებოდა (იხ. დიაგრამა 2.4)

დიაგრამა 2.4

2010-2023 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მოსახლეობის 1 000 კაცზე) კახეთის რეგიონში



წყარო: *დიაგრამა გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ამასთან, შობადობის ზოგადი კოეფიციენტები მუნიციპალიტეტების მიხედვით თითქმის თანაბარია და მაჩვენებლები ვარირებს 8,8‰-ან 11,9‰-მდე. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა სიღნაღის მუნიციპალიტეტი და ყველაზე მაღალი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (იხ. დიაგრამა 2.5).

დიაგრამა 2.5

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საშუალო წლიური ზრდის ტემპები მუნიციპალიტეტების მიხედვით კახეთის რეგიონში 2015-2023 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ გაანგარიშების საფუძველზე.

საინტერესოა, როგორი ვითარებაა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის მიხედვით კახეთის რეგიონის ცალკეულ მუნიციპალიტეტში.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 1994 წლიდან დღემდე, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1994 წელს და 814 კაცი. შემდეგ 2006 წლამდე შობადობის მაჩვენებელმა დაიწყო შემცირება. თუმცა, 2007 წლიდან უკვე მატების ტენდენციით ხასიათდება და 2015 წლის ცოცხლად დაბადებულთა ბავშვების რაოდენობა გაუტოლდა 1994 წლის მაჩვენებელს. ეს პოზიტიური დემოგრაფიული ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ერთი წლის შემდეგ, 2016 წლიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა მაჩვენებელი ნელი ტემპით მცირდება და ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც. 2023 წლის მონაცემებით გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ცოცხლად დაბადებულთა რიცხვმა შეადგინა 454 კაცი. რაც 2014 წელთან შედარებით 3,3 %-ით, 2002 წელთან - 1,8%-ით და 1994 წელთან შედარებით კი - 3,6%-ით არის შემცირებული. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი აღმოჩნდა 92%,

მაშასადამე, გურჯაანში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ყოველწლიურად საშუალოდ მცირდებოდა 8%-ით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, თელავის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა.

დიაგრამა 2.6

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტი 2010-2023 წლებში (კაცი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

როგორც, 2.6 დიაგრამიდან ჩანს, თელავის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობაში, მეტ-ნაკლებად მზარდი ტენდენცია გამოვლინდა. 2023 წლის მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტში, ცოცხლად დაბადებულთა მაჩვენებელმა შეადგინა 563 კაცი, რაც საერთოდ რეგიონის ცოცხლად დაბადებულთა 18%-ია. ეს მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 56%-ით, 2010 წელთან შედარებით კი 27,5%-ით. თელავის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს (32,2%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი 2023 წელს (18%). საშუალოდ ყოველ წელს თელავის მუნიციპალიტეტში, 4%-თ მცირდებოდა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა.

რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტს, საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი, ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს 2014 წელს 1003 კაცი (მისი წილი ცოცხლად დაბადებულებში 19%-ია). აქვე უნდა აღინიშნოს, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია კახეთის სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტებს შორის მთელ საკვლევ პერიოდში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც 2015 წლიდან დღემდე

შეინიშნება ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის შემცირების ტენდენცია. 2023 წლის მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რიცხვმა შეადგინა 616 კაცი, რაც 2014 წელთან შედარებით 38.6%-ით, ხოლო 2010 წელთან შედარებით - 7,4%-ით არის შემცირებული. 2015-2023 წლებში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საგარეჯოში საშუალოდ ყოველ წელს მცირდებოდა 8%-ით (იხ. დიაგრამა 2.7).

დიაგრამა 2.7

2010-2013 წლებში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კაცი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის მოსახლეობის რიცხოვნობის სიმცირით გამოირჩევა ახმეტა. აქ წლების მიხედვით განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა. დაფიქსირდა ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის როგორც ზრდის, ასევე, კლების ტემპები. 1994 წლიდან მოყოლებული დაბადებულ ბავშვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1995 წელს (611 კაცი) და 2015 წელს (598 კაცი)დაფიქსირდა, ყველაზე მცირე იყო 2023 წელ (298 კაცი). რაც შეეხება 2023 წლის მონაცემს (298 კაცი), ის 2015 წელთან შედარებით შემცირებულია 50,2%-ით და 30,5%-ით 2010 წელთან შედარებით. (იხ.დიაგრამა 2.7). საშუალო წლიური ზრდის ტემპმა გვიჩვენა რომ, ახმეტაში 2015-2023 წლებში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საშუალოდ ყოველ წელს 16%-ით მცირდებოდა.

დიაგრამა 2.8

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ახმეტის მუნიციპალიტეტი (კაცი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მოსახლეობაში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მცირდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც. საკვლევ პერიოდში, 1994 წლიდან დღემდე ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის ყველაზე მაღალი რიცხვი დაფიქსირდა 1995 წელს (381 კაცი). შემდეგ მაჩვენებელმა დაიწყო შემცირება და მნიშვნელოვნად შემცირდა 2014 წლისათვის. მაგრამ შემდეგი წლიდან უკვე შეინიშნება მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის მომატება, თუმცა ზრდის ტენდენცია დიდხანს არ გაგრძელებულა და 2016 წლიდან, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ, ისევ დაიწყო შემცირება, რაც გრძელდება დღესაც. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაფიქსირდა ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 193 კაცი, ეს მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით 44,7%-ით, 2010 წელთან შედარებით 35,7 % შემცირებული (იხ. დიაგრამა 2.8). 2015-2023 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საშუალოდ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ყოველ წელს მცირდებოდა 13%-ით.

დიაგრამა 2.9

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კაცი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა 2023 წელს, 441 კაცი, რაც 2,3 ჯერ მეტია იმავე პერიოდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მონაცემზე. 1994 წლიდან დღემდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აქაც 1995 წელს (736 კაცი) და შემდეგ 2014 წელს(736 კაცი). ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2023 წელს. საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (90%) გვიჩვენა რომ ლაგოდეხში 2015-2023 წლებში ყოველ წელს საშუალოდ 10%-ით მცირდებოდა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა. 2023 წელის ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 2014 წელთან შედარებით 40,1%-ით, ხოლო 2010 წელთან შედარებით -18,6 %-ით შემცირდა. (იხ.დიაგრამა 2.10).

დიაგრამა 2.10

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (კაცი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, 2023 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობამ შეადგინა 250 კაცი შეადგინა. 1994 წლიდან დღემდე ცოცხლად დაბადების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1995 წელს (520 კაცი), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2022 წელს (245 კაცი). სიღნაღის მუნიციპალიტეტი ხასიათდება ამ მაჩვენებლის კლების ტენდენციით. 2023 წელის ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 2014 წელთან შედარებით 36,1%-ით, ხოლო 2010 წელთან შედარებით შემცირებულია 40,7 %-ით. 2015-2023 წლების განმავლობაში სიღნაღში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საშუალოდ ყოველ წელს მცირდებოდა 13%-ით.

ყვარლის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 2023 წელს შეადგინა 288 კაცი. 1994 წლიდან დღემდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი

დაფიქსირდა 2015 წელს (494 კაცი). ხოლო ყველაზე დაბალი 2022 წელს (245 კაცი). ყვარლის მუნიციპალიტეტიც ხასიათდება ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის შემცირების ტენდენციით. 2023 წელს ცოცხალ დაბადებულთა რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 37,7%-ით, ხოლო 2010 წელთან შედარებით 27,6 %-ით შემცირდა (იხ.დიაგრამა 2.11).

დიაგრამა 2.11

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ყვარლის მუნიციპალიტეტი (კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ზოგადად საქართველოში ოდნავ მეტი მამაკაცი იბადება, ვიდრე ქალი. კერძოდ, 105 ან 106 მამაკაცი ყოველ 100 ქალზე. თუმცა, საკმაოდ მაღალია ვაჟების სიკვდილიანობის დონე დაბადების შემდეგ პრაქტიკულად, ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ეს განსხვავება აშკარად ბიოლოგიური წარმოშობისაა, გამონაკლისია ისეთი ქვეყნები, როგორიცაა მაგალითად: ინდოეთი, სადაც ქალების სიკვდილიანობა შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე, მამრობითი ბავშვობაში და მშობიარობის ასაკში. ოჯახში რესურსების არათანაბარი განაწილებისა და დედების ჯანმრთელობის დაცვის ცუდი ხარისხის გამო. (წულაძე, მაღლაფერიძე და სულაბერიძე, დემოგრაფია 2009)

ზოგადი წესი იმის შესახებ, რომ უფრო მეტი მამაკაცი იბადება, მაგრამ ქალები განიცდიან უფრო დაბალ სიკვდილიანობას, ნიშნავს, რომ ბავშვობაში მამაკაცები აჭარბებენ იმავე ასაკის ქალებს, განსხვავება მცირდება ასაკის მატებასთან ერთად, ზრდასრული ცხოვრების გარკვეულ მომენტში მამაკაცებისა და ქალების რიცხვი თანაბარი ხდება და რაც უფრო მაღალ ასაკს მიაღწევს, ქალების რიცხვი არაპროპორციულად დიდი ხდება. სწორედ ასეთი ვითარება საქართველოში.

აქვე გვინდა შევეხოთ შობადობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში. საქართველოსთვის ეს საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა 1990 - იანი წლებიდან. საქმე ის არის, რომ საქართველოსათვის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში 1970-1989 წლების სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით „ნორმალურის“ (104-107 ბიჭების რაოდენობა 100 გოგოზე) ფარგლებში იყო და 1990-იან წლებიდან, გამოვლინდა დარღვევები, 100 გოგოზე 107-ზე მეტი ბიჭი მოდიოდა.

რა მდგომარეობაა სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობაში, კახეთის რეგიონში.

დიაგრამა 2.12

სქესთა რაოდენობის თანაფარდობა კახეთის რეგიონში 2010-2023 წლებში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლები მცირდება. 2010- 2023 წლებში კახეთში სქესთა რაოდენობის თანაფარდობის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს (118,2) და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2023 წელს (105.8). რაც იმას ნიშნავს რომ დაბადებულთა შორის სქესობრივი დისბალანსი შემცირდა გოგონების დაბადების გაზრდილი რაოდენობის გამო. 2015 წლიდან დღემდე საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 99%, რაც იმას ნიშნავს რომ სქესთა რაოდენობის თანაფარდობა კახეთში საშუალოდ წელიწადში 1%-ით მცირდებოდა.

საყურადღებოა რეგიონში მკვდრადშობილთა რაოდენობის დინამიკაც. კახეთის რეგიონში მკვდრადშობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (70 კაცი) დაფიქსირდა 1996 წელს და ყველაზე დაბალი 2002 წელს (24 კაცი). ბოლო, კახეთში 2023 წელს სულ 27 მკვდრადშობილი დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 40%-ით, 2021 წლის

მაჩვენებელზე 45%-ით, 2019 წლის მაჩვენებელზე 38%-ით ნაკლებია. 2010-2023 წლებში მკვდრადშობილთა რიცხოვნობა კახეთის რეგიონში საშუალოდ მცირდებოდა 7%-ით. რაც შეეხება სქესობრივი ნიშნის მიხედვით განაწილებას, ზოგიერთი გამონაკლისების გარდა (2010, 2022, 2023 წელი) მკვდრადშობილთა შორის უმეტესად იყვნენ ვაჟები, რომელთა წილი საერთო რაოდენობაში მერყეობდა 51,2%-60% -ს შორის.

დიაგრამა 2.13

მკვდრადშობილთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 2010-2023 წლებში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ამ მაჩვენებლით კახეთი, ჩამორჩება აჭარის (48), იმერეთს (43) და ქვემო ქართლს (43 კაცი) რეგიონს. ამასთან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის მკვდრადშობადობის რიცხოვნობის მიხედვით კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოვლინდა საგარეჯოს (9 კაცი), შემდეგ თელავის (5 კაცი) მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებელი დაფიქსირდა დედოფლისწყაროში (1 კაცი). (იხ.დიაგრამა 2.14)

დიაგრამა 2.14

2023 წელს მკვდრადშობილთა რიცხოვნობა კახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების მიხედვით (კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

შობადობაზე გავლენას ახდენს დედის ასაკი. კახეთის რეგიონში დედის საშუალო ასაკი 27,9 წელია. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ რომ მაღალია ეს

მაჩვენებელი, მაგრამ თუ გადავხედავთ რეგიონების მიხედვით დედის საშუალო ასაკის მაჩვენებლებს კახეთის რეგიონი ერთ-ერთი ახალგაზრდაა ამ მაჩვენებლით. დედის ყველაზე ახალგაზრდა ასაკი მხოლოდ ქვემო ქართლში(26,6)ფიქსირდება, სამცხე-ჯავახეთში და კახეთში ერთნაირი, დაახლოებით 28 წელია.

დიაგრამა 2.15

დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას კახეთის რეგიონში 2014-2023 წლებში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

თითქმის იგივე სიტუაციაა პირველი შვილის დაბადებისას დედის ასაკის მაჩვენებლებშიც. პირველი შვილის ყოლისას დედის ასაკი ყველაზე მცირე ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთშია, აქ საფიქრებელია არაქართველი მოსახლეობის შედარებით ადრეულ ასაკში ქორწინებისა და შესაბამისად პირველად შვილის ყოლის ადრეული ასაკი. კახეთის რეგიონი ამ მხრივ მესამე პოზიციაზეა 25 წლით. (იხ. დანართი 7)

კვლევამ აჩვენა, რომ 2023 წელს დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას, მუნიციპალიტეტების მიხედვით ვარირებს 26 წლიდან 29 წლამდე. აქედან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (26) დაფიქსირდა საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე მაღალი გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. რაც შეეხება დედის საშუალო ასაკს პირველ დაბადებულ შვილზე მაჩვენებლები ვარირებს 22 წლიდან 26 წლამდე. ყველაზე დაბალი (22 წელი) იყო საგარეჯოს და ყველაზე მაღალი (26 წელი) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. (იხ. დიაგრამა 2.16)

დიაგრამა 2.16

დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას კახეთში მუნიციპალიტეტების მიხედვით 2023 წელს



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ამრიგად, კახეთის რეგიონში ძირითადად ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის კლების ტენდენცია ვლინდება. 2023 წლის მონაცემებით მთლიანად საქართველოში ცოცხლად დაბადებულებში ხვედრითი წილის მიხედვით (11,7%) კახეთის რეგიონი აჭარის, იმერეთის და ქვემო ქართლის შემდეგ მეოთხე რეგიონია და 2015 წლიდან დღემდე ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მკვეთრად გამოხატული კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც ბუნებრივია მთელ რიგ ურთიერთგადაჯაჭვულ ნეგატიურ შედეგებს განაპირობებს და უარყოფითად აისახება როგორც დემოგრაფიულ, ისე რეგიონის ეკონომიკური განვითარების პარამეტრებზე.

2.2. მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკური შესწავლა

ფაქტია, რომ რთული და წინააღმდეგობრივია ის სოციალურ - ეკონომიკური და კულტურული გარემო, რომელშიც ყალიბდება გარკვეული დემოგრაფიული სიტუაცია და მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების კონკრეტული პირობები. ასეთ ვითარებაში შობადობასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიკვდილიანობა. ყველაზე დაბალი მოკვდაობის ინტენსივობა, საქართველოში დინამიკაში ქვემო ქართლისთვის იყო დამახასიათებელი და დღესაც ასეა, ხოლო ყველაზე მაღალი მოკვდაობით გამოირჩეოდა და გამოირჩევა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი. დინამიკაში მოკვდაობის ზრდის ტენდენცია მეტნაკლებად ყველა რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ გარკვეული დიფერენცირება მაინც შესაძლებელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ყველა რეგიონში, მოსახლეობის გარდაცვალების მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. (ანთაძე 1973)

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მოსახლეობის მატების დაჩქარების და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების მთავარი ფაქტორი, სწორედ სიკვდილიანობის შემცირება გახდა. სიკვდილიანობის შემცირება ყველა ასაკობრივ ჯგუფში იწვევს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას და ხანდაზმულთა ხვედრითი წილის გაზრდას. თუმცა, ზოგიერთ ასაკობრივ ჯგუფში, სიკვდილიანობის მაჩვენებლები მაღალია. სიკვდილიანობის დონეს დიდად განსაზღვრავს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, რადგან რაც უფრო მაღალია ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მთელ მოსახლეობაში, მით უფრო დაბალია სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტი.

რაც შეეხება კონკრეტულად კახეთის რეგიონში გარდაცვლილთა რაოდენობას, საკვლევ პერიოდში სხვადასხვა ტენდენცია გამოიკვეთა. პერიოდის დასაწყისში, 1994 წელს, 2002 წელსა და 2021 წელს ყველაზე მაღალი მოკვდაობის კოეფიციენტი დაფიქსირდა კახეთის რეგიონში, შესაბამისად 12,5‰,-ს, 14,8‰ და 18‰. ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2000 წლიდან დღემდე დაფიქსირდა 2023 წელს (13,1‰). 2023 წელს გარდაცვლილთა რაოდენობა 2014 წელთან შედარებით 21,9%-ით, 2002 წელთან შედარებით 23,6%-ით და 1994 წელთან შედარებით კი 28,6%-ით შემცირდა. 2015-2023 წლებში საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 90%.

მაშასადამე, საშუალოდ კახეთის რეგიონში მოკვდაობის მაჩვენებელი ყოველ წელს 10%-ით მცირდებოდა (იხ დიაგრამა 2.17).

დიაგრამა 2.17

კახეთის რეგიონის გარდაცვლილთა რიცხოვნობა და ჯაჭვური ზრდის ტემპი 2010-2023 წლებში (კაცი %)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მთლიანად კახეთის რეგიონში მოკვდაობის ზოგადმა კოეფიციენტმა 2023 წელს შეადგინა 13,1 ‰. ეს მაჩვენებელი 2021 წელთან 6 ‰, 2014 წელთან შედარებით 3‰-ით და 2002 წელთან შედარებით კი 2‰-ით შემცირდა. (იხ. დიაგრამა 2.18).

დიაგრამა 2.18

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გარდაცვლილთა რიცხოვნობა მოსახლეობის 1 000 კაცზე კახეთის რეგიონების მიხედვით 1994-2023 წლებში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

რა თქმა უნდა, განსხვავებულია კახეთის რეგიონში მოკვდაობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. ზოგადად, მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა გურჯაანის, ხოლო ყველაზე დაბალი დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტი. 2015 - 2023 წლებში კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში

მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2021 წელს, რაც კოვიდ 19 პანდემიას უკავშირდება, 2022 წლიდან დღემდე კი საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა და ყველა მუნიციპალიტეტში გამოვლინდა გარდაცვლილთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია. (KInkladze, Metreveli და Chitaladze. 2022) ჩვენ გავიანგარიშეთ 2015-2023 წლების მიხედვით რვავე მუნიციპალიტეტისთვის მოკვდაობის საშუალო წლიური ზრდის ტემპები. აღნიშნულ პერიოდში მოკვდაობის ყველაზე მაღალი საშუალო წლიური შემცირება დაფიქსირდა ლაგოდეხში (8%) და ყველაზე დაბალი საგარეჯოში (2%). დანარჩენი მუნიციპალიტეტების მაჩვენებლები ვარირებს 5%-ან 8%-მდე. ამავე პერიოდში მოკვდაობის ერთადერთი საშუალო წლიური მატება დაფიქსირდა თელავის მუნიციპალიტეტში, რომელმაც შეადგინა 6%. (იხ. დიაგრამა 2.19).

დიაგრამა 2.19

გარდაცვლილთა რიცხოვნობის საშუალო წლიური ზრდის ტემპები მუნიციპალიტეტების მიხედვით 2015-2023 წლებში,%



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით გარდაცვლილთა რაოდენობის აბსოლუტური მატების, კახეთში გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში ცალკეულ მუნიციპალიტეტში გარდაცვლილთა რიცხვისა და მოკვდაობის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი 2.4 -ში.

ცხრილი 2.4

კახეთის რეგიონის მოკვდაობის ხვედრითი წილის და ინტენსივობის გაანგარიშება მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტები	გარდაცვლილთა რაოდენობის აბსოლუტური მატება (Δ)	გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში ხვედრითი წილი (%)	მოკვდაობის კოეფიციენტი (‰)
ახმეტა	410	10,4	103,5
გურჯაანი	741	18,7	187,1
დედოფლისწყარო	271	6,8	68,4
თელავი	639	16,1	161,4
ლაგოდეხი	489	12,3	123,5
საგარეჯო	571	14,4	144,2
სიღნაღი	475	12	119,9
ყვარელი	364	9,2	91,9

წყარო: *ცხრილი გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ჩვენს მიერ წარმოებული გაანგარიშებების მიხედვით, 2023 წელს კახეთის რეგიონში გარდაცვლილთა შორის ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა გურჯაანის მუნიციპალიტეტი 18,7%-ით, შემდეგ თელავის მუნიციპალიტეტი 16,1%-ით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 14,4 %-ით. რაც შეეხება ინტენსივობის მაჩვენებლებს, ამ სამ მუნიციპალიტეტში ამ მაჩვენებელმა შესაბამისად 187,1 გარდაცვლილი ყოველ 1000 კაცზე. 161,4 გარდაცვლილი ყოველ 1000 კაცზე და 144 გარდაცვლილით ყოველ 1000 კაცზე შეადგინა.

ბუნებრივი მოძრაობის დეტალური შესწავლისათვის მოვახდინოთ მოკვდაობის მაჩვენებლების გაანალიზება კახეთის რეგიონში სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 2.20

გარდაცვლილთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

2014-2023 წლებში, ყველა წელს გარდაცვლილთა შორის სჭარბობენ მამაკაცები, რომლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 და 2021 წელს და 2912 შეადგინა, ბოლო 10 წლის განმავლობაში ქალების გარდაცვალების მაჩვენებელი საშუალოდ ყოველწლიურად მცირდებოდა 4%-ით (საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო 96%) და 2023 წელს 1841 დონეზე დაფიქსირდა, ხოლო კაცებისთვის გარდაცვალების მაჩვენებელი ყოველ წელს 2%-ით მცირდებოდა (საშუალოწლიური ზრდის ტემპი აღმოჩნდა 98%).

ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მაჩვენებლების ანალიზმა გამოავლინა, რომ დინამიკაში იზრდება 35-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში ქალთა გარდაცვალების მაჩვენებლები, 2023 წელს წინა წელთან შედარებით გაორმაგდა და 2019 წელთან შედარებით თითქმის გასამმაგდა მისი მაჩვენებელი, დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფებისთვის მეტწილად კლების ტენდენცია გამოვლინდა, ხოლო კაცებში 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი გამოირჩევა მომატებული მაჩვენებლით, რომელიც წინა წელთან შედარებით 8%-ით, 2021 წელთან შედარებით 13%-ით და 2019 წელთან შედარებით 23%-ით გაიზარდა. (იხ. დანართი 8) ქალების მსგავსად სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის მეტწილად კლების ტენდენცია გამოვლინდა. (რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკა თ. გ.)

ცალკეული ასაკების მიხედვით გარდაცვალების მაჩვენებლების ანალიზმა ბავშვებში გარდაცვალების მაჩვენებლების მატება აჩვენა. მაგალითად, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფის ბავშვებში

გარდაცვლილთა რაოდენობა. 2023 წელს ყოველი დაბადებული 1000 ბავშვიდან 5 წლის ასაკს ვერ მიაღწია 10,6 ბავშვმა. (იხ.დიაგრამა 2.18).

დიაგრამა 2.21

5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით კახეთის რეგიონში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

თუ გავაანალიზებთ დინამიკაში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტების მნიშვნელობებს, დავინახავთ, რომ ის შედარებით მაღალი იყო საქალაქო დასახლებაში, მერყეობდა 9,7‰ და 24,9 ‰ შორის, თუმცა 2023 წელს სასოფლო დასახლებაში 27,7%-ით გაიზარდა გარდაცვალების მაჩვენებელი და სიკვდილიანობის კოეფიციენტმა ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის 11,1 ‰ შეადგინა, მაშინ როდესაც საქალაქო დასახლებაში ის შემცირდა და 2023 წელს 9,5 ‰-ის დონეზე დაფიქსირდა. (იხ. დანართი 9) სიკვდილის გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო ნერვული და სასუნთქი სისტემის დაავადებები, პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა, ტრავმები, მოწამვლები კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან, და ა.შ.

მოკვდაობის კერძო კოეფიციენტიდან, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტს. იგი ახასიათებს ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში მოკვდაობას და გამოითვლება ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რიცხოვნობის შეფარდებით იმავე წელს დაბადებულ ბავშვების რიცხვთან. აღნიშნული კოეფიციენტიც გამოითვლება პრომილეებში და გვიჩვენებს, მოცემულ

წელს რამდენი ერთ წლამდე გარდაცვლილი ბავშვი მოდის ყოველ 1000 დაბადებულზე. კვლევამ აჩვენა, რომ 2023 წელს ყოველი დაბადებული 1000 ბავშვიდან 1 წლის ასაკს ვერ მიაღწია 8,4 ბავშვმა კახეთის რეგიონში.

დიაგრამა 2.22

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) კახეთის რეგიონში 2015-2023 წლებში.



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2004 წლიდან დღემდე საკმაოდ შემცირებულია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი დაფიქსირდა 2004 წელს და შეადგინა 27,9‰, ხოლო ყველაზე დაბალი იყო 2022 წელს (6,5‰).

დიაგრამა 2.23

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) მუნიციპალიტეტში 2023 წელს (‰)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

2023 წელს, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ახმეტაში (13,4‰) და შემდეგ საგარეჯოში (13‰), რაც შეეხება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, 2023 წელს საერთოდ არ დაფიქსირებულა ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა. (სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

სტატისტიკური ინფორმაცია კახეთის რეგიონის შესახებ 2024)ამასთან კვლევით დადგინდა, რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა უფრო მაღალი იყო საქალაქო დასახლებაში, ვიდრე სასოფლო დასახლებაში. 2010-2023 წლების განმავლობაში, ყველა მუნიციპალიტეტში წლების მიხედვით ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის დიფერენცირებული მაჩვენებლები ფიქსირდებოდა, ამიტომ რომელიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონკრეტული წლის მიხედვით ვერ გამოვყოფთ.

გასათვალისწინებელია ნეონატალური, რომელიც გულისხმობს დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე გარდაცვალებას და პოსტნეონატალური, რომელიც მოიცავს სიცოცხლის 28-ე დღიდან 1 წლამდე გარდაცვალებას, მოკვდაობის მაჩვენებლების დინამიკაც.

დიაგრამა 2.24

2010-2023 წლებში ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი(1000 ცოცხლად დაბადებულზე) სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში

წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

2010-2023 წლებში ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდება კახეთის რეგიონში, ყველაზე მაღალი იყო 2010 წელს (13,1‰), ყველაზე დაბალი კი 2018 წელს (4,8‰). ამასთან, ნეონატალური მოკვდაობის მაჩვენებელი უფრო მაღალია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში. თუმცა, 2015, 2017, 2019, 2020 წლებში გოგონების მაჩვენებელმა გადააჭარბა ბიჭების მაჩვენებელს. (იხ.დიაგრამა 2.24).

დედათა გარდაცვალების რაოდენობის აღრიცხვა კახეთის რეგიონში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2012 წლიდან დაიწყო. დედათა გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთში

დაფიქსირდა 2021 წლის (5 კაცი) საბედნიეროდ, 2015, 2017 და 2018 წელს კახეთში საერთოდ არ დაფიქსირებულა დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი. (იხ.დიაგრამა 2.25).

დიაგრამა 2.25

დედათა გარდაცვალების რიცხოვნობა კახეთის რეგიონში (კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ჩვენ განვახორციელეთ საქართველოს რეგიონების მიხედვით გარდაცვალების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი. 1994-2014 წლებში გარდაცვლილთა საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა საქართველოში 99% შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყოველ წელს 1%-ით მცირდებოდა გარდაცვლილთა რიცხვი. თუმცა, ამავე პერიოდში გარდაცვლილთა რიცხვის საშუალო წლიური მატების ტემპი დაფიქსირდა აჭარაში 1%, მცხეთა-მთიანეთში 11%, სამცხე-ჯავახეთში 15%, ქვემო ქართლში 8% და შიდა ქართლში 2%. მაგრამ კახეთში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში 2%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 9%-იანი საშუალო წლიური კლების ტემპი გამოვლინდა. 2015 წლიდან სიტუაცია შეიცვალა, საქართველოს არც ერთ რეგიონში არ დაფიქსირებულა გარდაცვლილთა საშუალო წლიური მატება და რეგიონებში საშუალო წლიური კლების მაჩვენებლები ვარირებდა 1%-იდან 9%-მდე. რაც შეეხება კახეთში გარდაცვლილთა ხვედრითი წილის მაჩვენებელს, მთლიანად საქართველოში გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში ის 9%-ია და ჩამორჩება იმერეთის(16%), სამეგრელო-ზემო სვანეთისა (10%) და ქვემო ქართლის(10%) მაჩვენებლებს. (იხ. ცხრილი 2.5).

ცხრილი 2.5

გარდაცვლილთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და სულ გარდაცვლილთა შორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით,%

	საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%)		ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში (%)
	1994-2014	2015-2024	2023
საქართველო	99	**97**	
აჭარის არ	101	**99**	**8**
გურია	98	**97**	**3**
იმერეთი	99	**95**	**16**
კახეთი	98	**95**	**9**
მცხეთა-მთიანეთი	111	**95**	**3**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	91	**91**	**1**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	98	**94**	**10**
სამცხე-ჯავახეთი	115	**96**	**4**
ქვემო ქართლი	108	**99**	**10**
შიდა ქართლი	101	**96**	**7**

წყარო: *ცხრილი აგებულია და გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.*

რა თქმა უნდა, სიკვდილიანობის მაჩვენებლების გაზრდა უარყოფით გავლენას ახდენს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზეც. სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ გამოითვლება ცალ-ცალკე ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, ასევე სქესობრივი ნიშნით და მთლიანი მოსახლეობისთვის.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სწრაფად გაიზარდა გასული საუკუნის განმავლობაში მრავალი ფაქტორის გამო. ეს მოიცავს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, ცხოვრების დონის ამაღლებას, ცხოვრების წესის გაუმჯობესებას და უკეთეს განათლებას, ასევე ჯანდაცვისა და მედიცინის მიღწევებს. (ხმალაძე მ. ჩიტალაძე ქ.2009)

მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მონაცემებს ქვეყნების მიხედვით რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია აქვეყნებს. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გარდაცვლილთა საშუალო ასაკით და მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების შესწავლით გამოითვლება.

ხშირად ცალ-ცალკე თვლიან კაცისა და ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობას. რადგან მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არის. რაც შეეხება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობას საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შემდეგი მდგომარეობაა: თურქეთი - 78,6 წელი, სომხეთი - 76 წელი, რუსეთი 73,2 წელი და აზერბაიჯანი - 71,4 წელი. (მსოფლიო ქვეყნების სტატისტიკის სამსახურები)

დაბადებისას ბიჭები ჭარბობენ გოგონებს, თუმცა ქალები ცოცხლობენ უფრო დიდხანს, ვიდრე კაცები, რაც აისახება ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე. ქალებსა და კაცებს შორის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის განსხვავება, მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორებით არ არის გამოწვეული და გარკვეულწილად ქცევით ხასიათს ატარებს, რადგან მაღალია კაცების სიკვდილის რისკი ტრავმებისგან, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლიზმი და ავტო საგზაო შემთხვევები. ამრიგად საქართველოში ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე კაცების.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლით საქართველო, რამდენადმე უახლოვდება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებულ ქვეყნებს.

სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე რეგიონების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, სამწუხაროდ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ 2014 წლისათვის. მამაკაცებისათვის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, დაბადებისას, რეგიონების მიხედვით მერყეობს 67 – 71 წელს შორის. ის ყველაზე დაბალია სამეგრელო-ზემო სვანეთში (67,0), ხოლო ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთში (70,7). სხვაობა რეგიონებისთვის, შეადგენს 3,7 წელს. ქალების შემთხვევაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი არის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (76,4), ხოლო ყველაზე მაღალი - მცხეთა მთიანეთში (77,7). ქალებისთვის რეგიონებს შორის განსხვავება 1,3 წელს შეადგენს, რაც გაცილებით ნაკლებია მამაკაცებთან შედარებით. მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობით საქართველო მსოფლიოში 93 - ე ადგილზეა.

ჩვენ მოვახდინეთ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კახეთის რეგიონის მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაანგარიშება

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაანგარიშების კალკულატორის საფუძველზე და შედეგები წარმოვადგინეთ ცხრილის სახით. (იხ .ცხრილი 2.6)

ცხრილი 2.6

კახეთის რეგიონში მცხოვრები მოახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით

ასაკი	ქალი	კაცი
5-9	80,1	71,3
25-29	80,4	71,9
30-34	80,4	72,3
35-39	80,6	73,5
40-44	80,8	73,2
45-49	81	74
55-59	81,9	76,4
65-69	83,5	80
75-79	86,2	84,5
85+	89,6	89,0

წყარო: *ცხრილი აგებულია და გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.*

როგორც ვხედავთ, ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ქალებისათვის გაანგარიშებული მაჩვენებელი აღემატება კაცების მაჩვენებელს. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ვლინდება სქესთა შორის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის განსხვავების შემცირების ტენდენცია, განსაკუთრებით 65-69 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან.

დიაგრამა 2.26

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით საქართველოში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.*

დიაგრამა 2.26-ან ჩანს, რომ ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც მნიშვნელოვანი სხვაობაა ქალისა და კაცის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის. ქალის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 2023 წელს 79,4 წელია ხოლო კაცის 70,6. მათ შორის განსხვავება 8,8 წელია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლებს 1994 წლიდან აქვეყნებს. ამ პერიოდში ის 70,1 წელი იყო. მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. 1994 – 2009 წლებში 69,8 წლიდან 70,3 წლამდე ინტერვალში მერყეობდა. 2010-ან 2015 -მდე 73 წლამდე გაიზარდა. 2016 წელს კი შემცირდა 72,7- მდე. შემდეგ 2017 წლიდან 2019 წლამდე ისევ გაიზარდა 74,1 წლამდე. 2020 – 2021 წლებში შემცირდა 71,4 წლამდე, 2022 წლიდან ისევე იზრდება და ამჟამად, 2023 წელს შეადგინა სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ 75 წელი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)

ამრიგად, კახეთის რეგიონში შექმნილი საკმაოდ მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია მოითხოვს გაჯანსაღებას. კახეთის რეგიონში, 2010-2023 წლებში, გარდაცვლილთა საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 89%, საშუალოდ გარდაცვლილთა რაოდენობა ყოველ წელს 11%-ით მცირდებოდა. 2023 წელს მოკვდაობის ზოგადმა კოეფიციენტმა შეადგინა 13,1 პრომილი. ეს მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით, 6 პრომილით, 2014 წელთან შედარებით 3 პრომილით და 2002 წელთან შედარებით 2 პრომილით შემცირდა. 2010-2023 წლებში მოკვდაობის ყველაზე მაღალი საშუალო წლიური შემცირება დაფიქსირდა საგარეჯოში (21%) და

ყველაზე დაბალი სიღნაღში (2%). დანარჩენი მუნიციპალიტეტების მაჩვენებლები ვარირებს 5%-ან 15%-მდე. 2023 წელს კახეთის რეგიონში გარდაცვლილთა შორის მუნიციპალიტეტების მიხედვით ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა გურჯაანის მუნიციპალიტეტი 18,7%-ით, თელავის მუნიციპალიტეტი 16,1%-ით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 14,4%-ით. ხოლო რაც შეეხება ინტენსივობას, ყველაზე მაღალი მოკვდაობის ინტენსივობით გამოირჩევა 187,1 გარდაცვლილით ყოველ 1000 კაცზე გურჯაანის მუნიციპალიტეტი. თელავის მუნიციპალიტეტი 161,4 გარდაცვლილი ყოველ 1000 კაცზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი - 144 გარდაცვლილით ყოველ 1000 კაცზე.

2023 წელს ყოველი დაბადებული 1000 ბავშვიდან 5 წლის ასაკს ვერ აღწევდა 10,6 ბავშვი. 2023 წელს ყოველი დაბადებული 1000 ბავშვიდან 1 წლის ასაკს ვერ აღწევდა 8,4 ბავშვი. 2023 წელს, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ახმეტაში (22%) და საგარეჯოში (21%), ხოლო ყველაზე დაბალი იყო დედოფლისწყაროში. ამასთან კვლევამ დაგვანახა ისიც, რომ ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა მაღალი იყო საქალაქო დასახლებაში, ვიდრე სასოფლო დასახლებაში. დედათა გარდაცვლილთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2021 წელს (5 კაცი) საბედნიეროდ, 2015, 2017 და 2018 წელს საერთოდ არ დაფიქსირებულა დედათა მოკვდაობის მაჩვენებელი კახეთში.

2.3. მოკვდაობის სტატისტიკური ტენდენციები გარდაცვალების მიზეზების მიხედვით

საინტერესოა რა არის კახეთის რეგიონის მოსახლეობის გარდაცვალების მიზეზები და რა დაავადებები უწყობს ხელს მოსახლეობის მოკვდაობის გაზრდას.

გარდაცვალებათა უმთავრესი მიზეზია გულ-სისხლძარღვთა დაავადება. დაავადებათა ამ ჯგუფზე მოდის, კახეთის რეგიონის გარდაცვლილი მოსახლეობის 39,9%. ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილი უფრო ხშირია სასოფლო დასახლებაში, ვიდრე საქალაქო დასახლებაში და ქალებში უფრო მაღალია ვიდრე მამაკაცებში. გულ-სისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვლილების უმეტესობა, არა მარტო კახეთის რეგიონისთვის არის დამახასიათებელი, არამედ საქართველოს ყველა სხვა რეგიონებისთვისაც. საქართველოშიც მოსახლეობის გარდაცვალების მიზეზის ყველაზე მაღალი წილი, სწორედ გულ-სისხლძარღვთა დაავადებაზე მოდის. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის საკითხი, რომ წინა წელთან შედარებით ამ დაავადების მაჩვენებელი შემცირებულია 4%-ით და ძირითადად ახასიათებს 60 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფებს. 2023 წელს გულ-სისხლძარღვთა დაავადების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დედოფლისწყაროში (44,3%), ხოლო ყველაზე მაღალი გურჯაანში (60%). გარდაცვალების გამომწვევ დაავადებათა შორის მნიშვნელოვანია ავთვისებიანი სიმსივნეები. მაგრამ ამ დაავადებით გამოწვეულ გარდაცვლილების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 10%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით 47%-ით შემცირებულია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)

2014 წლიდან დღემდე, კახეთის რეგიონში სიკვდილის გამომწვევ მიზეზებიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ახასიათებს ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადობებს (0.02%), აგრეთვე ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებს (0,4%).

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მცირედით, 0,14%-ით, მაგრამ მაინც გაზრდილია ბოლო ათი წლის განმავლობაში (2014-2023) ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებით გარდაცვლილთა რაოდენობა, ხოლო ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობით გამოწვეული სიკვდილიანობა შემცირებულია 0,07%-ით. (იხ. დანართი 10).

თითქმის გაორმაგდა, 5-10 წლის ბავშვებში გარდაცვალების ფაქტები, რომელთა ძირითადი მიზეზი ნერვული და სასუნთქი სისტემის დაავადებები და სიმსივნეები იყო,

გარდაცვალების მაჩვენებლებში 30-35 წლის ასაკობრივ ჯგუფში 17%-იანი, 40-55 წლის ჯგუფში 4,8%-ანი და 75-80 წლის მოსახლეობაში 8%-იანი მატების ტემპები დაფიქსირდა. ასაკის მატებასთან ერთად გამოიკვეთა სისხლის მიმოქცევის სისტემის, სასუნთქი სისტემისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები.

25-30 წლის ასაკობრივი ჯგუფის შემდეგ ყველა წელს ყველა ასაკობრივ ჯგუფში დინამიკაში იკვეთება კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან, ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი. დანარჩენ ასაკობრივი ჯგუფებისათვის მაჩვენებლები ან უცვლელ დარჩა ან შემცირებულ იქნა.

როგორც დავინახეთ, გარდაცვალების მაჩვენებლები მიზეზების მიხედვით განსხვავებულია საქალაქო და სასოფლო დასახლებაში. როგორც ჩანს აქ თავის უარყოფით როლს ასრულებს დიდ ქალაქებში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება, რაც გამოიხატება გარემოს დაჭუჭყიანებასა და სტრესული მოვლენების გავრცელებაში. საქართველოში გარემოს სისუფთავის მდგომარეობა არასახარბიელოა და ეკოლოგიური განვითარების ოპტიმალური მოდელის ფორმირების პროცესი გარკვეული წინააღმდეგობებით ხასიათდება. (ხუსკივაძე და თოთლაძე 2023) როგორც ქალაქად ასევე სოფლად თანდათან მცირდება ინფექციური ავადმყოფობათა შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა, რომელიც 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 28%-ით.

ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ სუიციდის ფაქტებზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად სუიციდი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. (აბესაძე, აბესაძე და ლორთქიფანიძე, სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი 2018) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში, თვითმკვლელობების 77% მოდის დაბალი და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებზე.

დიაგრამა 2.27

თვითმკვლელობის (სუიციდის)* შედეგად სიკვილიანობის კოეფიციენტი (მოსახლეობის 100 000 კაცზე) კახეთის რეგიონში 2014-2023 წლებში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კახეთის რეგიონში სუიციდის რაოდენობა 2010 -ან 2018 წლამდე იზრდებოდა და 2018 წელს 48 ფაქტი შეადგინა, რაც რეგიონისათვის მაქსიმალური მაჩვენებელია 2010 წლიდან დღემდე. 2018 წლიდან, კი შეინიშნება თვითმკვლელობების რაოდენობის შემცირება. მაგრამ 2021 წელს სუიციდის ისევ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (14,3‰), რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 4,3‰-ით. სუიციდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კახეთში დაფიქსირდა 2014 წელს (5,9‰). უნდა აღინიშნოს, რომ სუიციდის ფაქტები უფრო ხშირად ვლინდება კაცებში. სტატისტიკის ეროვნული სამსახური ოფიციალური მონაცემებით, 2023 წელს კახეთში, სუიციდის შედეგად გარდაიცვალა 23 მამაკაცი, ხოლო ქალი კი - 3.

დიაგრამა 2.28

სუიციდის შედეგად გარდაცვლილები მუნიციპალიტეტების მიხედვით 2023 წელს (მოსახლეობის 100 000 კაცზე)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

2023 წელს კახეთის რეგიონში თვითმკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონის

სუიციდის ფაქტების 15,4‰), თელავისა (15‰) და ახმეტის მუნიციპალიტეტებში(7,3‰). ხოლო ყველაზე დაბალი ყვარლის მუნიციპალიტეტში (3,2‰).

ამრიგად, სიკვდილიანობის გამომწვევ მიზეზად კახეთის რეგიონში კვლავ რჩება გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი და ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები. მნიშვნელოვანია სუიციდის ფატებიც.

2.4 ქორწინებისა და განქორწინების სტატისტიკური ანალიზი

ქორწინება წარმოადგენს იმ ინსტიტუტს რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოგრაფიულ პროცესებს, განსაკუთრებით შობადობას. (წულაძე და სულაბერიძე , საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016)

საქართველოში და მათ შორის კახეთის რეგიონშიც, შობადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქორწინების ინსტიტუტზე, ქორწინებაში მყოფების შობადობა თითქმის ყოველთვის მეტია, ვიდრე ქორწინებაში არ მყოფების. ქორწინებაგარეშე დაბადებული ბავშვების წილი უმრავლეს ქვეყანაში დიდი არ არის. ამრიგად, ქორწინება წარმოადგენს იმ ინსტიტუტს რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დემოგრაფიულ პროცესებს, განსაკუთრებით კი შობადობა. (წულაძე და სულაბერიძე, საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016)

კვლევამ აჩვენა, რომ კახეთის რეგიონში, საკვლევ პერიოდში, ქორწინების მაჩვენებელმა მოსახლეობის 1000 სულზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მაქსიმალური მაჩვენებელი 2013 წელს იქნა დაფიქსირებული, როგორც საქალაქო, ასევე სასოფლო დასახლებაში, ხოლო მინიმალური 2020 წელს. უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ მუნიციპალიტეტების მიხედვით, ქორწინების მინიმალური დონე საკვლევ პერიოდში დაფიქსირებული იყო 2020 წელს საგარეჯოში (3.0‰) და გურჯაანში (3,1‰). რაც შეეხება ქორწინების მაქსიმალურ დონეს ყველა მუნიციპალიტეტისთვის მაღალი იყო 2013 წელს, გარდა დედოფლისწყაროსი. აქ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2014 წელს. ეს მონაცემები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქორწინების მაქსიმალური დონე მუნიციპალიტეტების მიხედვით ცვალებადობით ხასიათდებოდა.

დიაგრამა 2.29

ქორწინების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით კახეთის რეგიონში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2010-2023 წლებში კახეთის რეგინის მოსახლეობის დაქორწინებულთა მაქსიმალურმა საშუალო ასაკმა, 2023 წელს მამაკაცებისთვის შეადგინა 34 წელი, ქალებისთვის 31 წელი. ყველაზე დაბალი ასაკი 2010 წელს მამაკაცებისთვის და ქალებისთვის შესაბამისად იყო 26 და 29 წელი. ორივე სქესის მოსახლეობისთვის საშუალო ასაკი განიცდიდა ზრდას. (იხ. დიაგრამა 2.29) ქოწრინების საშუალო ასაკი კახეთის რეგიონში სქესის მიხედვით მართალია მიახლოებულია, მაგრამ მაინც დიფერენცირებულია. 2023 წელს ეს განსხვავება ქალისა და კაცის დაქორწინებისას 2,4 წელი იყო., მაშინ როდესაც წინა წელს ეს განსხვავება 2,4, 2015 წელს კი 3,4 წელი იყო.

დიაგრამა 2.30

დაქორწინებულთა საშუალო ასაკი სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

სქესთა თანაფარდობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქორწინებაზეც. მოცემული ასაკის მამრობითი სქესის შემცირება აფერხებს იმავე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი ქალების ქორწინების მაჩვენებელს ან, როგორც წესი, მცირეწლოვან ქალების რაოდენობის მაჩვენებელს, რაც თავის მხრივ, სავარაუდოდ ამცირებს მათ ნაყოფიერებას. ბევრ ქვეყანაში, სოციალური კონვერსია კარნახებს ნიმუშს, რომლის მიხედვითაც ქორწინებაში მყოფი მამაკაცები მეუღლეებზე ოდნავ უფროსები არიან. საქართველოში ხშირ შემთხვევაში ასეთი ტენდენცია ყველა რეგიონში, მათ შორის კახეთში ვლინდება. ქორწინებისას ასაკობრივი დისბალანსი იწვევს დაქორწინებული წყვილებისთვის უშვილობის პრობლემის გამწვავებას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძვლებზე 2023 წელს აღმოჩნდა, რომ 60 წლის და უფრო ასაკის 2 ქალბატონი (0,4%) დაქორწინდა 16-19 წლის ასაკის კაცზე, 60 წლის და უფრო ასაკის 10 ქალი (1,9%) დაქორწინდა 25-29 წლის ასაკის კაცზე, 60 წლის და უფრო ასაკის 9 ქალი (1,7%) დაქორწინდა 30-34 წლის ასაკის კაცზე. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.) რაც იმას ნიშნავს, რომ შანსი იმისა რომ მათ ბავშვი ეყოლოთ მცირეა. ეს ყველაფერი კი გავლენას ახდენს შობადობაზე. ასეთ ვითარებაში ძლიერდება ქორწინებისთვის უფლებამოსილი ქალების არასაკმარისობის საფრთხე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ქალების ადრე ქორწინება, ქორწინებაში ასაკობრივი სხვაობის გაფართოება ან ორივე ერთად.

დიაგრამა 2.31

დაქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით 2023 წელს კახეთის რეგიონში, %



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

2023 წელს სქესობრივი ნიშნით ყველაზე დიდი განსხვავება16-19 წლის ასაკობრივ ჯგუფშია, სადაც შესაბამისი ასაკის დაქორწინებულთა 87,7% ქალები წარმოადგენდნენ. სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ასეთი მკვეთრი განსხვავება არსად დაფიქსირებულა. თუმცა, თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, 20-24 და 50-54 წლის ჯგუფის გარდა, დაქორწინებული კაცების წილის მაჩვენებელი აღემატება ქალებისას. (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2023 წელს 2024) რაც შეეხება რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობას, ეს მაჩვენებელი განსხვავებულია საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით. ყველაზე მეტი რეგისტრირებული ქორწინება მოდის სასოფლო დასახლებაში და ის საგრძნობლად განსხვავდება საქალაქო დასახლების მაჩვენებლისგან. კახეთში, ყველაზე მაღალი რეგისტრირებული ქორწინება დაფიქსირდა 2013 წელს (11,2%), ხოლო ყველაზე დაბალი 2020 წელს (7,1 %).

დიაგრამა 2.32

რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა 2023 წელს საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტში



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

„დემოგრაფია განქორწინებას განიხილავს, როგორც მოსახლეობის საქორწინო და საოჯახო სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს, მის ურთიერთკავშირს სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან და მის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიას აინტერესებს არა ქორწინების გაუქმების ცალკეული შემთხვევები, არამედ ასეთ შემთხვევათა ერთობლიობა საქორწინო კოჰორტებში“. (წულაძე და სულაბერიძე, საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები 2016)

განქორწინების ინტენსივობა ჩვეულებრივ ქალაქის მოსახლეობაში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში. განქორწინების გაზრდას ხელს უწყობს მოსახლეობის სტრუქტურაში სქესთა მკვეთრი შეუსაბამობა, მეუღლეების ასაკს

შორის დიდი განსხვავება, უშვილობა ან განზრახ უშვილობა, მცირე შვილიანობა და სხვა.(იხ. დიაგრამა 2.33)

დიაგრამა 2.33

განქორწინების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით 2010-2023 წლებში კახეთის რეგიონში (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

კვლევამ აჩვენა, რომ კახეთის რეგიონში, განქორწინების მაჩვენებელმა მოსახლეობის 1000 სულზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მაქსიმალური მნიშვნელობა 2022 წელს იქნა დაფიქსირებული (3,3‰), როგორც საქალაქო, ასევე სასოფლო დასახლებაში, ხოლო მინიმალური (0,9‰) - 2010 წელს.

დიაგრამა 2.34

2023 წელს განქორწინების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტში



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ საკვლევ პერიოდში, მუნიციპალიტეტების მიხედვით, განქორწინების მინიმალური დონე დაფიქსირებული იყო 2010 წელს საგარეჯოში (0,6‰) და გურჯაანში (0,6‰). რაც შეეხება განქორწინების მაქსიმალურ

დონეს ყველა მუნიციპალიტეტისთვის მაღალი იყო 2022 წელს, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მაინც გამოირჩევა ახმეტის მუნიციპალიტეტი (5,5‰).

თუ გავაანალიზებთ კახეთის რეგიონის მთელი მოსახლეობის განაწილების მაჩვენებლებს განქორწინების მიხედვით ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტი განქორწინებული 2023 წელს 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში დაფიქსირდა, რომელთა წილი ამ წელს განქორწინებულთა საერთო რაოდენობაში ქალებისა და კაცებისათვის შესაბამისად, 10% და 9,3%-ია. (იხ. დიაგრამა 2,35) შემდეგ აღსანიშნავია 35-39 წლის ასაკობივი ჯგუფის მაჩვენებლები კაცებისა და ქალების შესაბამისად, 9,7% და 8,4%.

დიაგრამა 2.35

განქორწინებულთა წილის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 2023 წელს (%)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

რაც შეეხება უშუალოდ განქორწინებას ასაკობრივ ჯგუფებს შიგნით მოსახლეობის განაწილებას სქესობრივი მიხედვით, განქორწინების მაჩვენებლის მკვეთრი დისბალანსი ვლინდება 16-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ამ ასაკში განქორწინებულთა შორის 90%-ს შეადგენს ქალები, ხოლო 10%-ს მამაკაცები. ამასთან მაღალი გამოკვეთილი განსხვავება ფიქსირდება 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც, სადაც განქორწინებულთა შორის ქალები 71,1%-ს შეადგენენ და მამაკაცები კი 28,9%-ს. სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ასეთი მკვეთრი განსხვავება არ ფიქსირდება, მაგრამ დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში (30-34, 45-49 ასაკობრივი ჯგუფის გარდა), კაცების წილი აჭარბებს ქალებისას.(იხ. დიაგრამა 2.36)

დიაგრამა 2.36

განქორწინებულთა წილი ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით კახეთის რეგიონში 2023 წელს (%)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

საინტერესოა განქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით. 2023 წლის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა კაცებისთვის 35-39 წლის, ხოლო ქალებისთვის 30-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი. ეს ტენდენცია ვრცელდება კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტზე. რაც შეეხება რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობას, ეს მაჩვენებელი განსხვავებულია საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით. განქორწინების ყველაზე მეტი მაჩვენებელი ფიქსირდება საქალაქო დასახლებაში (3,8‰) და ის, განსხვავდება სასოფლო დასახლების მაჩვენებლისგან (3,0‰).

მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლები მთლიანად საქართველოშიც. ქვეყანაში 1994-2014 წლებში ქორწინების საშუალო წლიური მაჩვენებელი ყოველ წელს 2%-ით იზრდებოდა. ამავე პერიოდში ზრდის ტენდენცია იკვეთებოდა აჭარის (1%), კახეთის(3%), რაჭა- ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის (1%), სამცხე-ჯავახეთის (15%), ქვემო ქართლის (10%) და შიდა ქართლის(2%) რეგიონებში. 2015 წლიდან რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია და საქართველოს ყველა რეგიონში დაფიქსირდა საშუალო წლიური კლების ტემპები, რომელთა მაჩვენებლებიც ვარირებდა 4%-ან 11%-მდე. ყველაზე მაღალი საშუალო წლიური შემცირება დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში (11%),ქვემო ქართლში(11%) და მათ შემდეგ კი უკვე ჩვენთვის საინტერესო რეგიონში 9%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა რაჭა- ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში. (4%).

ქორწინების რაოდენობის წილით (8%) მთელ დაქორწინებულთა რაოდენობაში კახეთის რეგიონს მეოთხე ადგილი უკავია ქვემო ქართლის (17%), იმერეთის (15%), აჭარის (10%) შემდეგ (იხ. ცხრილი 2.7)

ცხრილი 2.7

დაქორწინებულთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და სულ დაქორწინებულთა შორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით,%

	საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%)		ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში (%)
	1994-2014	2015-2024	2023
საქართველო	102	**92**	
აჭარის არ	101	**92**	**10**
გურია	93	**93**	**3**
იმერეთი	97	**94**	**15**
კახეთი	103	**91**	**8**
მცხეთა-მთიანეთი	99	**94**	**2**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	101	**96**	**1**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	96	**92**	**9**
სამცხე-ჯავახეთი	115	**89**	**4**
ქვემო ქართლი	110	**89**	**17**
შიდა ქართლი	102	**92**	**7**

წყარო: *ცხრილი გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

რაც შეეხება განქორწინებას საქართველოში 1994-2014 წლებში საშუალო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 122%. რაც იმას ნიშნავს რომ ის ყოველ წელს 22%-ით იზრდებოდა. ამავე პერიოდში ზრდის ტენდენცია ვრცელდებოდა საქართველოს ყველა რეგიონში და მათი მაჩვენებლები ვარირებდა 17%-ან 50%-მდე. 2015 წლიდან საშუალო წლიური ზრდის ტენდენცია საქართველოს ყველა რეგიონში შენარჩუნდა, მაგრამ შემცირებული მაჩვენებლებით და ვარირებდა 6%-ან 27%-მდე. განქორწინების ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპით ხასიათდება გურია (27%) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (27%). ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო წლიური მაჩვენებლით კი ქვემო ქართლი (6%) და მცხეთა-მთიანეთი (7%).

ცხრილი 2.8

გაქორწინებულთა რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპებისა და სულ განქორწინებულთა შორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით,%

	საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%)		ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში (%)
	1994-2014	2015-2024	2023
საქართველო	122	**111**	
აჭარის არ	131	**113**	**8**
გურია	132	**127**	**3**
იმერეთი	149	**116**	**17**
კახეთი	147	**112**	**7**
მცხეთა-მთიანეთი	170	**107**	**2**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	297	**113**	**1**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	153	**127**	**11**
სამცხე-ჯავახეთი	125	**112**	**2**
ქვემო ქართლი	117	**106**	**10**
შიდა ქართლი	150	**113**	**6**

წყარო: *ცხრილი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ცხრილი 2.8-ან ჩანს, რომ განქორწინების ხვედრითი წილით საქართველოში კახეთის რეგიონი მეოთხე ადგილზეა იმერეთის (17%), სამეგრელო- ზემო სვანეთის (11%), ქვემო ქართლის (10%) შემდეგ 7%-ით.

თავი 3. კახეთის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის სტატისტიკური კვლევის შედეგები

3.1 მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის ძირითადი ტენდენციები

წინამდებარე გამოკვლევაში მიზნად დავისახეთ კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზი სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით. კვლევა ითვალისწინებდა რეგიონის მუნივიპალიტეტების მიხედვით დემოგრაფიული მოლოდინებისა და არსებული დიფერენცირებების ბაზაზე კომპლექსური ანალიზის ჩატარებას. კვლევის ჩასატარებლად დავეყრდენით მოსახლეობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიურ პრინციპებს. მეთოდოლოგია მოიცავს კვლევის დიზაინს, მონაცემების შეგროვების ხერხებსა და მეთოდებს, კვლევის არქიტექტონიკას და კვლევის მოდელს, შერჩევისა და ანკეტის დიზაინს და საზომ სკალებს, მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, საზომების სანდოობას.

შერჩევის ხერხებიდან გამოვიყენეთ შერეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს როგორც საკუთრივ შემთხვევითი, ისე პროპორციული შერჩევის წესებს, რადგან საკუთრივ შემთხვევითი მეთოდი ყველაზე მიუკერძოებელ შედეგებს უზრუნველყოფს, ხოლო პროპორციული მეთოდი ყველაზე ხელმისაწვდომია რესურსების გამომდინარე. ეს კი გულისხმობს კახეთის რეგიონის მთლიანი პოპულაციიდან (შერჩევის ბაზა) სრულიად შემთხვევითი პრინციპით გარკვეული ნაწილის შერჩევას და მის პროპორციულ განაწილებას ჩვენთვის სასურველი ნიშნის მიხედვით რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის. რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება, რაც გულისხმობდა შესაბამისი კვლევის დიზაინის შემუშავებას.

კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონის ყველა, მუნიციპალიტეტის მიხედვით. შერჩევით დაკვირვებას დაექვემდებარა რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობა. კვლევის საწყის ეტაპზე შემუშავდა კვლევის დიზაინი. ეს მოიცავდა გამოკვლევის კითხვარის ფორმირებას, შევსების ინსტრუქციას, დაკვირვების ჩატარების ადგილის, ვადების, მათი მიღების ფორმების, წესებისა და ა.შ. განსაზღვრას. ანკეტა შედგებოდა 32 კითხვისაგან და მოიცავდა რესპონდენტთა სქესის, ასაკის, სამუშაო სტატუსის,

მოქალაქეობის, დემოგრაფიული პარამეტრებისა და მოსალოდნელი დემოგრაფიული ქცევის შესახებ კითხვებს. (იხ. დანართი 11)

შერჩევის ბაზად გამოყენებულ იქნა 2023 წლის კახეთის 15-50 წლამდე მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემები. გენერალური პოპულაციიდან (138549) 95%-იანი ალბათობით, 5% საზღვრითი შეცდომის პირობებში განისაზღრა შერჩევითი, პოპულაცია, რომელმაც შეადგინა 384 ადამიანი. (sample-size-calculator 2024)



სურათი 1. შეცდომის ზღვარი.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში შერჩევის ზომის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტებისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის პროპორციულად განისაზღვრა შემდეგი კვოტები: ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის 38, გურჯაანისთვის 61, დედოფლისწყაროსთვის 27, თელავისთვის 65, ლაგოდეხისთვის 53, საგარეჯოსთვის 65, სიღნაღისთვის 38 და ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის 37 რესპოდენტი. კითხვარი ჩაიტვირთა Google Drive-ის ჩაშენებულ აპლიკაციაში, რომელიც გაზიარდა სოციალურ ქსელებში. გარდა ონლაინ გამოკითხვისა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით ჩატადა პიდაპირი ინტერვიუირება.

კვლევები გვიჩვენებს, რომ დაგზავნილი ანკეტებიდან პასუხის გაცემის საშუალო მაჩვენებელია 70-75%, რაც კარგი შედეგია. სოციალური ქსელებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით შესაძლო რესურსების გამოყენებით ელექტრონულ მისამართებზე კითხვარი დაეგზავნა 578 რესპონდენტს და პირდაპირი ინტერვიურებისას გამოიკითხა 100-მდე რესპონდენტი. სულ მივიღეთ 391 შევსებული ანკეტა, რაც არის მთლიანი გაგზავნილი ანკეტების რაოდენობის 72.4%. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვა, რომ გამოპასუხების მაჩვენებელი კარგია. კვლევა ტარდებოდა 2023-2024 წლის ყოველი თვის მიხედვით და მოიცავდა კახეთის რეგიონში მცხოვრებ 15 წლიდან 50 წლამდე ასაკის მოსახლეობას, შედეგების

შეწონვა და იმპუტაცია გახორციელდა თითოეული კონკრეტული თვის მიხედვით. მიღებული მონაცემებით ფორმირებულ იქნა მონაცემთა ბაზა, რომლის დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა – „MS excel“-ისა და „SPSS 26“-ის პროგრამები. (დოხტურიშვილი, კვლევა 2024)

კვლევის სანდოობის დასადგენად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა კოეფიციენტი და AVE. როგორც ცნობილია, სანდოობის კოეფიციენტი მისაღებია, თუ ის ტოლია ან აღემატება 0.60-ს (Nunnally, Psychometric theory 1967). გამოთვლილი კრონბახის ალფა არის 0.62, რაც მიანიშნებს შიდა თანმიმდევრულობის მაღალ დონეზე და საკმარის სანდოობაზე. ეს შედეგი შეიძლება მიუთითებდეს: ცვლადების განსხვავებულ შინაარსობრივ ბუნებაზე და ზომიერად კორელირებულ ცვლადებზე, შერჩეული ცვლადები ერთმანეთთან კავშირშია, ანუ კონსტრუქციის შიდა თანმიმდევრულობა კარგია. რაც შეეხება CR და AVE-ის გამოთვლების შედეგებს, CR არის 0.89, რაც მიუთითებს, რომ კითხვარის მაღალ სანდოობაზე (CR > 0.7 ითვლება კარგ მაჩვენებლად), ხოლო AVE აღმოჩნდა 0.50 — ეს მნიშვნელობა ზღვრულად საკმარისია. (AVE ≥ 0.5 ითვლება კარგ მაჩვენებლად).

რესპონდენტები გამოკითხვის დასაწყისიდანვე ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მიღებული პასუხები გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ანალიტიკური მიზნით. რა თქმა უნდა დაცულ იქნა პირობა და კონფიდენციალურად შეგროვილი მონაცემები გამოყენებულ იქნა მხოლოდ სტატისტიკური ანალიზისათვის შესაბამისი ეთიკის სრული დაცვის პირობებში. მონაცემების სორტირების, ფილტრაციის, კროსტაბულაციის, ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებების შედეგად, სხვადასხვა სტატისტიკური ინდიკატორის გამოთვლის საფუძველზე მომზადდა ჯგუფური და კომბინაციური ცხრილები.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოსახლეობის სტატისტიკის მეთოდოლოგია. შევისწავლეთ კახეთის რეგიონის სტრუქტურა: ტერიტორიული, გენდერული, ასაკობრივი, განათლების, ეკონომიკური აქტივობის და სხვა ნიშნის მიხედვით.

რესპონდენტთა შორის აქტიურები აღმოჩნდნენ ქალები, რომელთა ხვედრითმა წილმა 80,7% შეადგინა.

დიაგრამა 3.1

რესპონდენტების განაწილება სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების ნიშნის მიხედვით





წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მათი მოდალური ასაკი 30-39 წლის ასაკობრივი ჯგუფია, თუმცა საკმაოდ მაღალია 15-29 წლის ახალგაზრდების ხვედრითი წილის მაჩვენებელი, რომელმაც კვლევის მიხედვით 35% შეადგინა.(იხ. დიაგრამა 3.1)

გამოკითხვისას საკმაოდ აქტიური აღმოჩნდა კახეთში მცხოვრები დაქორწინებული მოსახლეობა. რესპონდენტთა 62% იყო დაქორწინებული, მაგრამ 30,8% არ იყო ქორწინებაში და არც არასოდეს ყოფილა. მაშასადამე, მიუხედავად ოჯახური მდგომარეობისა, კახეთის მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო გამოკითხვის პროცესში და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია დემოგრაფიულ ქცევასთან და დემოგრაფიულ ვითარებასთან დაკავშირებთ, რაც უდავოდ დადებითი ფაქტია.

დიაგრამა 3.2

რესპონდენტების განაწილება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მოსახლეობის პოზიტიურ განწყობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ რესპონდენტთა უმრავლეობა, 73,5% უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონეა. ეს დადებითად აისახა როგორც რესპონდენტთა ქცევის ხარისხზე, ისე მათი

შეხედულებების ფორმირებაზე დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების თუ არსებული პრობლემების იდენტიფიცირებზე.

დიაგრამა 3.3

რესპონდენტების განაწილება განათლების დონის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ კახეთის რეგიონში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ, კვლევაში ძირითადად ქართველმა მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა. ქართველების წილი მთლიან რესპონდენტებში 96,9%-ს შეადგენდა. დანარჩენს აზერბაიჯელი, სომეხი, რუსი, ოსი და სხვა ეროვნების ადამიანები არიან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების 9,5%-ის შემთხვევაში მეუღლეები ერთი და იმავე ეროვნების მოქალაქეები არ იყვნენ.. ეს გარკვეულ წილად გავლენას ახდენდა რესპონდენტთა ამ ნაწილის დემოგრაფიულ ქცევასა და მათ დემოგრაფიულ მოლოდინზე.(იხ.დიაგრამა 3.4)

დიაგრამა 3.4

რესპონდენტების განაწილება ეროვნების და მეუღლეთა ეროვნების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

საინტერესოა რას ფიქრობს კახეთის მოსახლეობა ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობის შესახებ. ერთია, რამდენი ბავშვი მიაჩნია კახეთის მოსახლეობას საერთოდ ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობა, მეორეა თვითონ რამდენ შვილი სურს და მთავარი და მნიშვნელოვანია, რეალურად რამდენი შვილი ჰყავს.

რესპონდენტების 50,4% ფიქრობს, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობა უნდა იყოს სამი, თითქმის თანაბარია 2 და 4 ბავშვის ყოლის მაჩვენებელი. სასიამოვნო ფაქტია, რომ რესპონდენტების მხოლოდ 1,8% მიუთითა ერთი ბავშვის შესახებ.სასურველი ბავშვთა რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ საინტერესო იყო ოპტიმალური და რესპონდენტთა სურვილის შესაბამისობის საკითხი. თუ რესპონდენტთა 50,4% თვლის რომ სასურველი ბავშვთა რაოდენობა ოჯახში სამია, მათი მხოლოდ 40,8% მიიჩნევს, რომ სურს სამი შვილი იყოლიოს.(იხ.დიაგრამა 3.5)

დიაგრამა 3.5

რესპონდენტების განაწილება ზოგადად ოჯახში ბავშვების სასურველი და მისთვის სასურველი რაოდენობის მიხედვით (%)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მაგრამ, სურვილის შესაბამისად არ ნაწილდება ბავშვთა ყოლის რეალური მაჩვენებლები. ყველაზე მეტ რესპონდენტს, 52,6%-ს ჰყავს ორი შვილი, 22,8% სამი და 19,1%-ს ერთი. როგორც ვხედავთ, ოჯახში ბავშვების სასურველ და რეალურ მაჩვენებლებს შორის ბალანსი არ არის და რესპონდენტების სურვილის საწინააღმდეგოდ მოდალური ორი შვილის ყოლა აღმოჩნდა. (იხ.დიაგრამა 3.6)

დიაგრამა 3.6

რესპონდენტების განაწილება ოჯახში ბავშვების რეალური რაოდენობის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა რესპონდენტთა დემოგრაფიული ქცევის წესების განსაზღვრა. საინტერესო იყო მათი აზრი, ოჯახის შექმნის შემდეგ ბავშვთა ყოლის პერიოდის განსაზღვრის შესახებ. რესპონდენტების დიდი ნაწილის, 43,2%-ის აზრით, საუკეთესო პერიოდს ბავშვის გაჩენისთვის ქორწინებიდან პირველივე წლის განმავლობაში წარმოადგენს. 21,8%-თვის აუცილებელია 2 წლიანი შუალედის არსებობა. (იხ.დიაგრამა 3.7)

დიაგრამა 3.7

რესპონდენტების განაწილება ბავშვების ყოლის დროის მიხედვით



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით*

რესპოდენტების მხოლოდ 43% მიიჩნევს რომ ოჯახის შექმნის პირველივე წელს აუცილებელია შვილის ყოლა. თუმცა, დემოგრაფიულმა ქცევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულ რესპოდენტებიდან 78% ჰყავს ქორწინებიდან პირველივე წელს ბავშვი. აქ აშკარად ვლინდება ძველი სტერეოტიპების ნელ-ნელა აღმოფხვრის ტენდენცია. უდავო ფაქტია, რომ თუნდაც ორი ან სამი ათეული წლების წინ დაქორწინების პირველი წლიდანვე ოჯახების პრიორიტეტს ბავშვთა შობა წარმოადგენდა, და როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადჰყობს, 1994-2000 წლებში შობადობის კოეფიციენტი საშუალოდ 11,4‰ იყო რაც 2023 წლის მაჩვენებელს 1,2‰-ით აღემატება.

კვლევამ საინტერესო ფაქტი გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 66,3%-ს შვილი ეყოლათ ახალგაზრდა, 25 წლამდე ასაკში.

დიაგრამა 3.8

რესპონდენტების განაწილება ბავშვების ყოლის რეალური ასაკის და უკანასკნელი შვილის ყოლის ასაკის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მაგრამ რესპონდენტების დიდი ნაწილი, 52,3% თვლის, რომ უკანასკნელი შვილის ყოლა 30-34 ასაკობრივი ჯგუფის ქალების მიერ უნდა ხდებოდეს. არც თუ ცოტა, 34,9%-ის აზრით კი სჯობს, უკანასკნელი შვილი 35-39 ასაკობრი ჯგუფის ქალებს შეეძინოთ, 40-44 წელს მიიჩნევს ქალებისთვის საუკეთესო ასაკად რესპონდნტების 11,5%.

თავად რესპონდენტების 42,2% ყველაზე მოდალური, ორშვილიანი ოჯახის წევრები არიაან, 38.5% კი სამ შვილიანი ოჯახების.

დიაგრამა 3.9

რესპონდენტების განაწილება მშობლების შვილების და მათი პაპა-ბებიების შვილების რაოდენობის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

რაც შეეხება მათ პაპა-ბებიებს, აქ სულ სხვა სურათი გამოიკვეთა. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების 39,4%-ის წინაპრებს 4 და მეტი შვილი ჰყავდათ, 37,8%-ს კი სამი, 1 შვილი მხოლოდ გამოკითხულთა 1,8%-ს. როგორც ვხედავთ შეცვლილია დემოგრაფიული ქცევა, განწყობა, სურვილი და რეალობა.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ჰყავთ გამოკითხულების 28%-ს იმაზე ნაკლები შვილი, ვიდრე სურდათ, არის მატერიალური პირობები და მეუღლეთაგან ერთ-ერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა (28.8)

დიაგრამა 3.10

რესპონდენტების განაწილება სურვილის საწინააღმდეგოდ ბავშვების ყოლის რაოდენობის მიხედვით



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით*

როგორც კვლევამ გვიჩვენა, კახეთის რეგიონის მისახლეობის დემოგრაფიულ განწობასა და ქცევაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის შემოსავლები, მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა და მეუღლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. დღეს კახეთში 15+ ასაკის მოსახლეობის (236,7 ათასი) 50% ზე მეტი დაუსაქმებელია, უმუშევრობის დონე 12%-ია, დასაქმების დონე შეადგენს 49,7%-ს. (იხ. დიაგრამა 3.11)

დიაგრამა 3.11

სამუშაო ძალის ინდიკატორები კახეთის რეგიონში



წყარო: (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თ. გ.)

იმედის მომცემია ის ფაქტი რომ უმჯობესდება ბოლო წლებში რეგიონის დასაქმების მაჩვენებლები. ბოლო 6 წლის განმავლობაში, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონში საშუალოდ გაიზარდა 1,1 %-ით (2018-2023 წლების ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშულო წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 101,1%). მარტო 2023 წელს წინა წელთან შედარებით,

დასაქმებულთა რაოდენობა, ამ სექტორში, საგარეჯოში 16%-ით გაიზარდა, სიღნაღში 8,4%-ით, თელავში 7,9%-ით, გურჯაანში 7,8%-ით და ყვარელში 6.1%-ით. დასაქმებულთა რაოდენობის მატების დაბალი ტემპები დაფიქსირდა სამ მუნიციპალიტეტში: ახმეტაში (4%), ლაგოდეხსა (3,3%) და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში (1,4%) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური რეგიონური და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი, 2024)

ამასთან თითქმის თანაბარი ნაწილის, 37,1%- და 31%- სთვის შემოსავლის ძირითად წყაროს სახელმწიფო სექტორი და კერძო ბიზნესში დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს, 17%-ს - არასტაბილური შემოსავალი გააჩნია. 5,2% შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან აქვს, ხოლო 6,5%-ს კერძო ბიზნესიდან. (იხ. დიაგრამა 3.12)

დიაგრამა 3.12

რესპონდენტების განაწილება შემოსავლის წყაროს მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

შემოსავლებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა 72,7%-ი თავს თვლიდა დამაკმაყოფილებელი მატერიალური მდგომარეობის მქონედ, 14,3% ცუდ მდგომარეობად აფასებდა თავის სიტუაციას და 13% თვლიდა, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა კარგია. რესპონდენტთა 60%-თვის, მისი საბინაო პირობები დამაკმაყოფილებელია, 29,5%-თვის კარგია, ხოლო 10,1%-თვის ცუდი. (იხ. დიაგრამა 3.13)

დიაგრამა 3.13

რესპონდენტების განაწილება მატერიალური მდგომარეობის შეფასების და საბინაო პირობებით კმაყოფილების მიხედვით

წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

ასეთ პირობებში რესპონდენტთა 43,4%-ის აზრით სიცოცხლის საუკეთესო ხანგრძლივობა 90 წელია. 28,9% თვლის, რომ 80 წელი, ხოლო 5,2% 70 წლამდე. (იხ. დიაგრამა 3.14)

დიაგრამა 3.14

რესპონდენტების განაწილება სიცოცხლის საუკეთესო ხანგრძლივობის წლების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

როგორც აღმოჩნდა გამოკითხული კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორებიდან უპირატესობას მატერიალურ კეთილდღეობას (22%) და ეკოლოგიურ პირობებს (21,4%) ანიჭებს. 18,3% კი ფიქრობს, რომ ადამიანებმა დიდი დრო საკუთარ თავზე ზრუნვასა და მოვლას უნდა დაუთმოს. 7,1% კი თვლის, რომ მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. (იხ. დიაგრამა 3.15)

დიაგრამა 3.15

რესპონდენტების განაწილება ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორების მიხედვით.



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით*

აქედან გამომდინარე, კახეთის რეგიონის რესპონდენტების 19,6% სისტემატურად იმოწმებს ჯანმრთელობას, 11,4% ყურადღბას უთმობს კვების რეჟიმს, 13% აკონტროლებს ძილს, 10,6% უპირატესობას ანიჭებს სპორტულ დატვირთვას, 5% რეგულარული დასვენების რეჟომს.

დიაგრამა 3.16

რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიხედვით



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით*

რესპონდენტების 59,4%-ის აზრით ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობაზე 15-29 ასაკიდან უნდა დაიწყოს ზრუნვა, 15,1% -ის აზრით ამ მხრივ საუკეთესო ასაკი20-39 წელია, ხოლო 22,1% თვლის რომ ასაკის განსაზღვრა არაა აუცილებელი, ეს უნდა გააკეთოს საჭიროების მიხედვით.

დიაგრამა 3.17

რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასაკის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

გამოკითხული კახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, 34,5% საკუთარ ჯანმრთელობაზე, ზრუნვას ფიზიკურად ძლიერად ყოფნის სურვილით ხსნის. 24,6% ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, 16,3% სამედიცინო ინფორმაციის გავლენით, 12,8% გარშემო მყოფი ადამიანების მაგალითით. 11,2% აღზრდით და სხვა. (იხ.დიაგრამა 3.18)

დიაგრამა 3.18

რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე, ზრუნვის ფაქტორების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

მაგრამ, როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტების მხოლოდ 21,8% ზრუნავს ჯანმრთელობაზე მუდმივად, ყველაზე მეტი, 55% დრო გამოშვებით, 9,7% საერთოდ არ ზრუნავს ჯანმრთელობაზე. ვინც არ ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე, ამ ტიპის რესპონდენტების 22,6% მიზეზად ნებისყოფის არ ქონას ასახელებს, 8,2% თვლის რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ იძლევა ჯანმრთელად ყოფნის გარანტიას, 3,4%-მა უბრალოდ არ იცის როგორ იზრუნოს მასზე. (იხ. დიაგრამა 3.19)

დიაგრამა 3.19

რესპონდენტების განაწილება საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის დროის და ჯანმრთელობაზე არა ზრუნვის მიზეზების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კონტროლისა და ზრუნვის გაძლიერება გამოკითხული კახეთის რეგიონის მოსახლეობაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ანალოგიური ტიპის დაავადებების მქონე ადამიანების, გარდაცვალების ფაქტების არსებობის პირობებში. ასეთ სიტუაციაში რესპონდენტების 73% ფიქრდება და აძლიერებს ზრუნვას ჯანმრთელობაზე, ხოლო 27% აიგნორებს შექმნილ სიტუაციას.

დიაგრამა 3.20

რესპონდენტების დამოკიდებულება სხვისი სიკვდილის გამო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის გაძლიერების მიხედით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

საინტერესოა რას მიიჩნევს კახეთის რეგიონის მოსახლეობა ჯანმრთელობაზე ზრუნვად. როგორც კვლევამ აჩვენა გამოკითხულთა 25,6%-ის აზრით, ესა არის ის ფაქტი, რომ არ ეწევა სიგარეტს, 7,9% ძილის დარეგულირებას მიიჩნევს მთავარ ფაქტორად, 8,7% - კარგად კვებას, ხოლო 8,4% სპორტით დაკავებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კახეთის რეგიონის გამოკითხული მოსახლეობის 91% აღმოჩნდა მართლმადიდებელი, ხოლო 9% სხვა რელიგიის მიმდევარი.

დიაგრამა 3.21

რესპონდენტების განაწილება საკუთარ თავზე ზრუნვის მიმართულებების მიხედვით



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით*

დემოგრაფიული პროცესების დეტალურად ჩაშლილი სტატისტიკური ანალიზისათვის გამოვიყენეთ კროსტაბელური ანალიზი. კროსტაბულაცია თავის მხრივ **არის** ორი ცვლადისათვის მონაცემთა თავმოყრა ცხრილის სახით. მონაცემთა თავმოყრისა და დაჯგუფებისთვის ქვემოთ წარმოვადგინეთ თითოეული კროსტაბულაციის ძირითადი დეტალები. კერძოდ,

1.ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის კროსტაბულაცია

საინტერესო ფაქტია, რომ 15-29 წლის ასაკის გამოკითხული კახეთის მოსახლეობის 72,5% ქორწინებში არ ყოფილა არასოდეს, და მხოლოდ დაქორწინეულია ამ ასაკობრივი ჯგუფის 27,4%, 30-39 წლის ასაკის რესპონდენტებიდან კი დაქორწინებულია 84,1%, ხოლო 40-50 წლის მოსახლეობიდან კი 83,5% (იხ.ცხრილი 3.1)

ცხრილი 3.1

ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის კროსტაბულაცია

ასაკი	არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში	ვარ განქორწინებული	ვარ დაქორწინებული
15 - 29	98	0	37
30 - 39	12	11	122
40 - 50	10	6	81

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

2. ასაკისა და განათლების კროსტაბულაცია

რაც შეეხება ასაკისა და განათლების კროსტაბულაციას, რესპონდენტთა 15-29 წლის 11% ზოგადი საშუალო და უფრო დაბალი განათლების მქონეა, 16,7% საშუალო

სპეციალური განათლების და 72,7% უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე. ყველაზე მეტი რესპონდენტი, 72,3%, 30-39 წლის ასაკობრივი ჯგუფისაა და თან უმაღლესი და დაუმთავრელი უმაღლესი განათლებით, იგივე ტენდენციაა 40-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც ამ ასაკისა და უმაღლესი განათლების კროსტაბულაციამ 78,2% აჩვენა.(იხ. ცხრილი 3.2)

ცხრილი 3.2

რესპონდენტების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით

ასაკი	ზოგადი საშუალო და უფრო დაბალი	საშუალო სპეციალური	უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი
15 - 29	14	22	96
30 - 39	4	38	102
40 - 50	8	14	79

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

სასიამოვნო და იმედის მომცემი ტენდენცია გამოიკვეთა ახალგაზრდა 15-29 წლის ასაკის კახელ მოსახლეობაში.

ცხრილი 3.3

ასაკისა და ოჯახში იდეალური ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია

ასაკი	1	2	3
15 - 29	4	40	61
30 - 39	1	32	81
40 - 50	2	19	50

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

რესპონდენტთა 58% თვლის, რომ იდეალური ოჯახში სამი შვილი უნდა იზრდებოდეს, ამ აზრს იზიარებს 30-39 წლის გამოკითხულთა 71% და 40-50 წლის რესპონდენტთა 47%.

იდეალური ოჯახისადმი, ასეთი განწყობის პირობებში ოდნავ განსხვავებულად იქნა ფორმულირებული რესპონდენტთა სასურველი ბავშვების რაოდენობა. სამი შვილი აღმოჩნდა სასურველი 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის 49,5%-სათვის, 51,4% 30-39 წლის და 46,7% 40-50 წლის მოსახლეობისთვის.

4.ასაკი და პირადად ბავშვის ყოლის სურვილი.

საინტერესო იყო რესპონდენტების პირადი სურვილი შვილების რაოდენობასტან მიმართებით. 30-39 წლის რესპონდენტების 43,8%-ს სურს რომ ჰყავდეს 2, ხოლო 51,2%-ს 3 შვილი 15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის თითქმის ნახევარს 49,5% სურს 3 შვილის ყოლა.

ცხრილი 3.4

ასაკისა და ბავშვთა სასურველი რაოდენობის კროსტაბულაცია

ასაკი	1	2	3
15 - 29	14	40	53
30 - 39	6	53	62
40 - 50	4	39	38

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვი

ჩვენი აზრით, კახეთის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიულ განწყობასა და ქცევაზე გავლენას ახდენს ოჯახური ტრადიციები და თავიანთი მშობლების დემოგრაფიული ქცევაც. ამიტომ, საინტერესო იყო ამ ნიშნის მიხედვით განხორციელებული კროსტაბულაციის შედეგები.

5. ასაკი და რესპონდენტების მშობლების ბავშვთა რაოდენობა

როგორც აღმოჩნდა, სხვადასხვა ასაკის, განსაკუთრებით 15-29, 30-39 წლის რესპონდენტების მშობლებს, თანაბარი რაოდენობის შვილები ჰყავდათ. სამი შვილი მათ 43%-ს, ორი შვილი 50%-ს და ერთი შვილი 7,4%-ს ჰყავდა, რაც სულ ერთ შვილიანი რესპონდენტების 24%-ია, ორშვილიანების - 63.2%, ხოლო სამშვილიანების 70,2%-ია. (იხ. ცხრილი 3.5)

ცხრილი 3.5

რესპონდენტთა ასაკისა და მათი მშობლების ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია

ასაკობრივი ჯგუფი	1	2	3
15 - 29	9	61	52
30 - 39	9	61	52
40 - 50	6	39	44

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

რესპონდენტთა მშობლების დემოგრაფილ განწობასა და ქცევაზე გარკვეული წილით გავლენას ახდენს მათი მშობლების, ანუ რესპონდენტთა პაპა-ბებიების განწობა და ქცევა.

6. ასაკი და სულ რამდენი ბავშვი ჰყავდათ რესპონდენტების პაპა-ბებიებს?

ცხრილი 3.6

ასაკისა და რესპონდენეტებს პაპა-ბებიების ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია

ასაკი	**1**	**2**	**3**
15 - 29	4	29	51
30 - 39	2	35	47
40 - 50	1	16	46

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ამ მიმართულებით საინტერესო შედეგები გამოვლინდა. თუ რესპონდენტების ახალგაზრდა, 15-29 წლის ასაკში პაპა-ბებიების 60% ჰყავდა სამი შვილი, რითიც უკეთესი მაჩვენებელი იყო რესპონდენტების მშობლებთან შდარებით, 30-39 წლის ასაკის გამოკითხულთა შორის მშობლებს უფრო მეტი შვილი ჰყავდათ, ვიდრე მათ პაპა-ბებიებს. თაობების მიხედვით ტენდენცია, სამი შვილის ყოლის მიმართ, უფრო გამოიკვეთა.

მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი გამოიკვეთა, დაქორწინებული და დაუქორწინებელი რესპონდენტების დემოგრაფიულ განწყობაში, ოჯახში ბავშვთა იდეალური და სასურველი რაოდენობის მიმართ.

7. ქორწინებითი მდგომარეობა და ბავშვების იდეალური რაოდენობა ოჯახში

ცხრილი 3.7

ქორწინებითი მდგომარეობისა და ოჯახში ბავშვთა რაოდენობის კროსტაბულაცია

ქორწინებითი მდგომარეობა	**1**	**2**	**3**
არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში	2	43	52
ვარ განქორწინებული(გაშორებული)	1	3	9
ვარ დაქორწინებული	4	45	126
ვარ ქვრივი	0	0	7

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

თუ დაქორწინებული რესპონდენტების 72%, იდეალურ რაოდენობას ოჯახში, 3 შვილს თვლის, დაუქორწინებლების მხოლოდ 8,7% ემხრობა ამ პოზიციას. სამაგიეროდ თანაბარია გამოკითხულთა მაჩვენებლები იდეალურად ორი შვილის მიჩნევასთან დაკავშირებით.

ჩვენს შევისწავლეთ ოჯახური მდგომარეობის მიხედვით რესპონდენტთა მოსაზრებები სასურველი ბავშვთა რაოდენობის მიხედვით.

8. ქორწინებითი მდგომარეობა და ბავშვის სასურველი რაოდენობა ოჯახში.

რესპონდენტების დიდ ნაწილს იდეალურად კი მიაჩნია ოჯახში სამი შვილის არსებობა, მაგრამ თავად დაქორწინებულების 53,8% სურს ჰყავდეს სამი შვილი და 38.4%-ს ორი.

ცხრილი 3.8

ქორწინებითი მდგომარეობისა და ოჯახში ბავშვთა სასურველი რაოდენობის კროსტაბულაცია

ქორწინებითი მდგომარეობა	**1**	**2**	**3**
არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში	10	41	43
ვარ განქორწინებული(გაშორებული)	2	10	3
ვარ დაქორწინებული	11	79	105
ვარ ქვრივი	1	4	3

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

განათლების დონის ამაღლებასთან ერთად რესპონდენტების დემოგრაფიული განწყობა უფრო პოზიტიური აღმოჩნდა.

9. განათლების დონისა და ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის კროსტაბულაცია

ეს ტენდენცია გამოიკვეთა როგორც ქალის, ისე მამაკაც რესპონდენტებში. ზოგადად, უმაღლესი განათლების მქონე მთელი რესპონდენტების 68,2%-ს აზრით ოჯახში სამი ბავშვი უნდა იზრდებოდეს. ეს არის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, განათლების დონის მიხედვით ბავშვების იდეალური რაოდენობისა. (იხ. ცხრილი 3.9)

ცხრილი 3.9

განათლების დონისა და ოჯახში ბავშვების იდეალური რაოდენობის კროსტაბულაცია

განათლება	**1**	**2**	**3**
ზოგადი საშუალო და უფრო დაბალი	2	9	6
საშუალო სპეციალური	2	19	39
უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი	3	63	141

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

მათ შორის ქალი რესპონდენტების 65.9% და კაცი რესპონდენტების 50,6% ამ პოზიციას იზიარებს.

10. თქვენი არსებობის ძირითადი საშუალება და მატერიალური მდგომარეობა

რესპონტენტების 74,5%,რომელიც დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში, თავისი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას მიიჩნევს დამაკმაყოფილებლად, 8% კარგად და 6,4% ცუდად აფასებს მის მდგომარეობას. (იხ. ცხრილი 3.10)

ცხრილი 3.10

არსებობის ძირითადი საშუალებებისა და ოჯახის მატერიალურ მდგომარეობის კროსტაბულაცია

შემოსავლის წყარო	**დამაკმაყოფილებლად**	**კარგად**	**ცუდად**
დასაქმებული ვარ კერძო სექტორში	89	10	13
დასაქმებული ვარ სახელმწიფო სექტორში	101	19	15
მაქვს კერძო ბიზნესი	14	4	2
პენსია	1	0	1
სხვადასხვა სახის დახმარება	8	2	3

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

თუ გავითვალისწინებთ ოჯახის წევრების რაოდენობას, მაშინ კროსტაბელური ანალიზი, დეტალიზდება წევრების რაოდენობიდან გამომდინარე და დიფერენცირებულია გენდერულ ჭრილში. მატერიალურ მდგომარეობას ოჯახში დამაკმაყოფილებლად თვლის რესპონდენტები ქალების დიდი ნაწილი.

დიაგრამა 3.22

რესპონდენტების განაწილება შემოსავლებისა და სქესის კროსტაბულაციის მიხდედვით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

საინტერესო ფაქტია, რომ შედარებით დამაკმაყოფილებელი მატერიალური მდგომარეობით გამორჩეული კახეთის რეგიონის რესპონდენტები უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონენი არიან და მათი შემოსავლის ძირითად წყაროს სახელმწიფო და კერძო სექტორში(შესამაბისად 34% და 26%-სთვის) დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს.

დიაგრამა 3.23

რესპონდენტთა განაწილება შემოსავლებისა და განათლების დონის მიხედვით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

11. ოჯახის შემოსავლებისა და სასურველი ბავშვების რაოდენობის კროსტაბულაცია

რაც შეეხება შემოსავლებისა და სასურველი ბავშვების რაოდენობის კროსტაბულაციის მაჩვენებლებს, ისინი აჩვენებს, როგორ ნაწილდება სასურველი ბავშვების რაოდენობა სხვადასხვა შემოსავლის წყაროს მიხედვით. კროსტაბულაციამ საინტერესო დასკვნებზე გაგვიყვანა:

სტაბილური შემოსავლის მქონე ოჯახებში (მაგ., კერძო ან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები) გამოკვეთილია 2 ან 3 ბავშვის სურვილი. რაც მიუთითებს ფინანსურ რესურსებზე დაყრდნობილ გადაწყვეტილებებზე და ნაკლებია იმ ოჯახების წილი, რომლებიც 4 ან მეტ ბავშვის ყოლის სურვილს გამოხატავენ.

არასტაბილური შემოსავლის ან დახმარებების იმედზე მყოფი ოჯახებში უფრო მცირეა ბავშვთა რაოდენობის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ 4 და მეტი ბავშვის სურვილი იშვიათია ამ კატეგორიებში. ასე, რომ ოჯახები არასტაბილური შემოსავლის გამო იზღუდებიან ბავშვების რაოდენობაში.

სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის მქონე ოჯახებში კი ხშირად ფიქსირდება 4 ან მეტ ბავშვის ყოლის სურვილი. ამას ორმაგი ეფექტის გავლენა შუძლია მოახდინოს ჯერ ერთი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისა და მეორეს მხრივ, პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდის მიმართულებით. ეს გარკვეულ წილად ზრდის ამ კატეგორიის ოჯახის ზომის მნიშვნელობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

იმ ოჯახებს, რომლებსაც არ აქვთ სტაბილური შემოსავალი და მაინც ისწრაფვიან მეტი ბავშვის ყოლისკენ, შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი მხარდაჭერა, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას;

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობიდან მიღბული შემოსავლების მქონე ოჯახების რაოდენობის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, რომლის პრიორიტეტი, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს, სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას.

კვლევის პროცესში შევეცადეთ კახეთის მოსახლეობის თვითშენახვითი განწყობის სტატისტიკური ინდიკატორების დახასიათებას. ამისათვის, ყურადღება შევაჩერეთ რესპონდენტების მატერიალურ მდგომარეობაზე და მის გავლენაზე გამოკითხული კახეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, აგრეთვე მათ მზაობაზე იზრუნოს საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე.

ამისათვის პირველ რიგში გავაანალიზეთ ოჯახის წევრების რაოდენობისა და მატერიალური მდგომარეობის კროსტაბულაციის შედეგები.

ამ ცვლადების მიხედვით კროსტაბულაციისას ურთიერთგამომრიცხავი ტენდენცია გამოიკვეთა. როგორც ცხრილი მე-18 დან ჩანს, ოჯახშის წევრების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება როგორც დამაკმაყოფილებელი, ისე კარგი და მატერიალური მდგომარეობის მქონეთა რაოდენობა, მაგრამ ამავე დროს იზრდება ცუდი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტთა რიცხვიც. მაგრამ უპირატესად მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელია და მხოლოდ 13%-მა შეაფასა მისი მდგომარეობა ცუდად, მათ შორის ნახევარზე მეტი, 51% იყო 5 და მეტი ოჯახის წევრიანი რესპონდენტი. (conducted research)

12. ოჯახის წევრების რაოდენობისა და საბინაო პირობების კროსტაბულაცია.

მონაცემები ცხადყოფს, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილის საბინაო პირობები დამაკმაყოფილებელია და ოჯახის წევრების რიცხვის მატებასთან ერთად ეს ტენდენცია უფრო და უფრო მკვეთრად იკვეთება, მაგრამ ცუდი საბინაო პირობების მქონე რესპონდენტების 10%-ში ყველაზე მეტი, 52.5% 5 და მეტი ოჯახის წევრიანი რესპონდენტია.

დემოგრაფიულ მდგომარეობაზე კახეთის რეგიონში სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. რათქმა უნდა, მათ შორის მნიშვნელოვანია შემოსავლების მოცულობა და თავად მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. შეიძლება ოჯახს ჰქონდეს კარგი მდგომარეობა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა უზღუდავდეს მას ბავშვთა შობას და პირიქით. ოჯახს სურვილი ჰქონდეს ბავშვთა ყოლის, მაგრამ შექმნილი საბინაო პირობები, მატერიალური მდგომარეობა მას გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოში სვამს, რაც ინდივიდის დემოგრაფიულ განწყობაზე და ქცევაზე პირდაპირ ახდენს ნეგატიურ გავლენას.

13. მატერიალური მდგომარეობა და ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების კროსტაბულაცია.

დამაკმაყოფილებელი მატერიალური მგმომარეობის მქონე რესპონდენტების 45.2%-ის აზრით, ჯანმრთელობაზე მომქმედი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ეკოლოგიური პირობები და 47%-ის აზრით გადამწყვეტია მატერიალური კეთილდღეობა. კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტებისთვის კი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია მატერიალურ კეთილდღეობაზე და არსებულ ეკოლოგიურ პირობებზე, ხოლო ცუდი მატერიალური მდგომარეობის

მქონე გამოკითხული კახეთის მოსახლეობის 50%-ს თანაბრად მიაჩნია, რომ ჯანმრთლობის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს თანაბრად კეთილდღეობა და ეკოლოგიური პირობები.

ახდენს თუ არა რესპონდენტთა ასაკი გავლენას ჯანმრთელობაზე?

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩაშლილმა დეტალურმა ანალიზმმა აჩვენა, რომ ასაკის მატებასთან ერთად მცირდება მატერიალური კეთილდღეობის ჯანმრთლობაზე გავლენის მაჩვენებლები და ვლინდება რესპონდენტების ეკოლოგიურ პირობებისადმი დამოკიდებულების გაზრდა, განსაკუთრებით 30-39 წლის ასაკის რესპონდენეტებისთვის. განსხვავებული იყო ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულება ჯანმრთელობაზე ზრუნვის დაწყების პერიოდთან დაკავშირებით.

ზოგადად, რესპონდენტების 77% ფიქრობს, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა პიროვნებამ 15-29 წლის ასაკიდან უნდა დაიწყოს, ამას ადასტურებს 15-29 წლის რესპონდენტების 32%-ის, 30-39 წლის მოსახლეობის 27,5%-ისა და 40-50 წლის გამოკითხულთა 7,3% ის დაფიქსირებული პოზიციები. ქალების ყველაზე მეტი რაოდენობა (ქალი რესპონდენტების 23%) ფიქრობს, რომ ადამიანმა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდან, 15-29 წლიდან უნდა დაიწყოს და რეალურად ეს 15-29 წლის გამოკითხული ქალების 63,4%-მა გააკეთა. 19,5% ის აზრით კი 30-39 წლიდან, ხოლო 12,3% თვლის რომ ოპტიმალური ასაკი 40-50 წელია. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს კაცების დიდი ნაწილი უფრო სიფრთხილით უდგება ჯანმრთელობაზე ზრუნვას და გამოკითხულთა 57%, რომელიც 15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის 89%-ს შეადგენს, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას 15-29 წლისდან იწყებს. ნათელია გენდერულ ჭრილში გამოვლენილი აზრთა სხვადასხვაობა. ჯანმრთელობაზე არაზრუნვის ძირითად მიზეზებად რესპონდენტებმა სხვადასხვა მიზეზები დაასახელეს. როგორც ქალების, ისე მამაკაცების დიდმა ნაწილმა ძირითად მიზეზად ნებისყოფის არ ქონა დაასახელა. **რესპონდენტების 90**.7% აღმსარებლობის მიხედვით მართმადიდებელია და ეს, ძალიან კარგია, როდესაც მართლმადიდებლების 31% 15-29 წლის მოსახლეობაა, ყველაზე მეტი, 40,6%, 30-39 წლისაა.

ასაკისა და მართლმადიდებელი აღმსარებლობის კროსტაბულაცია

ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნების ფორმირება:

15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები:

ამ ჯგუფის უმრავლესობა თავის მატერიალურ მდგომარეობას აფასებს როგორც **დამაკმაყოფილებლად** (22,6%);

7,5% მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა **კარგია**, ხოლო მცირე ნაწილი (**3,6%**) თვლის, რომ **ცუდია**;

ეს ჯგუფი, სავარაუდოდ, ასახავს გარდამავალ ფაზას, სადაც ახალგაზრდა ადამიანები დამოკიდებულნი არიან კარიერული შემოსავლის დასაწყისზე ან ოჯახზე.

30-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები:

ამ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტი ადამიანი აფასებს თავის მდგომარეობას, როგორც, **დამაკმაყოფილებელად** (27,7% რესპონდენტი);

შედარებით ნაკლები (**4,1%**) მიიჩნევს მას **კარგად**;

აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი ადამიანი (**6,3%**) აფასებს მდგომარეობას როგორც **ცუდად**, რაც, შესაძლოა, დაკავშირებულია ოჯახურ და ფინანსურ ვალდებულებებთან.

40-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები:

დამაკმაყოფილებლად შეფასებული მდგომარეობის პროცენტული სიხშირე შედარებით მცირდება **30-39** წლის ჯგუფთან შედარებით.

ძალიან ცოტა ადამიანი (**2,6%**) თვლის, რომ მათი მდგომარეობა **კარგია**, ხოლო **3,1%** მათგანის აზრით, მდგომარეობა **ცუდია**.

ეს შეიძლება ასახავდეს სტაბილური შემოსავლის პერიოდს ან შუახნის ასაკში არსებული გამოწვევებს.

გამოვლენილი ზოგადი ტენდენციებიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

დამაკმაყოფილებელი შეფასება ყველაზე გავრცელებულია თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა გამოკვეთილია **30-39** ასაკობრივი ჯგუფი;

კარგი შეფასება ასაკთან ერთად მცირდება, რაც, სავარაუდოდ, ფინანსური ოპტიმიზმის ან შესაძლებლობების კლების შედეგად ხდება.

ცუდი შეფასება ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება, პიკს აღწევს **30-39** წლის ასაკში და მცირედით კლებულობს **40-50** წლის ასაკობრივ ჯგუფში.

15-29 წლის ასაკში: ახალგაზრდები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რადგან ფინანსური პასუხისმგებლობები ნაკლებია ან ისინი დამოკიდებულნი არიან ოჯახზე;

30-39 წლის ასაკში: ეს ჯგუფი ფინანსური წნეხის ზრდას აჩვენებს, რაც დაკავშირებულია ოჯახის გაფართოებასთან ან კარიერული სირთულეებთან;

40-50 წლის ასაკში: ამ ასაკში ადამიანები სტაბილურობის პერიოდს აღწევენ, თუმცა გარკვეული სირთულეები კვლავ რჩება.

ზემოთ განხილულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დასადგენად გაანგარიშებულ იქნა პირსონის კორელლაციის კოეფიციენტები. ჩატარებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზისა და პირსონის კორელლაციის კოეფიციენტის გაანგარიშებით მიღებული შედეგებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

განათლებისა და შემოსავლის წყაროს კავშირი (კორელაცია) არის **-0,28**. ეს მიუთითებს სუსტი უარყოფით კავშირზე, რაც ნიშნავს, რომ როგორც განათლების დონე იზრდება, გარკვეულწილად მცირდება ზოგიერთი ტიპის შემოსავლის წყაროების მნიშვნელობა (მაგალითად, ხელმომჭირნეობა არასტაბილური შემოსავლის წყაროების მიმართ).

ოჯახური მდგომარეობისა და განათლების კავშირის კორელაცია არის **-0,03**. ეს მიუთითებს ძალიან სუსტ უარყოფით კავშირზე, რაც ნიშნავს, რომ განათლების დონესა და ქორწინებითი მდგომარეობის ცვლილებებს შორის კავშირი პრაქტიკულად არ არის

ასაკისა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის კავშირის კორელაცია არის **0,32**. ეს მიუთითებს დადებით კავშირზე, რაც ნიშნავს, რომ ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება იდეალური ბავშვების რაოდენობა.

ქორწინებითი მდგომარეობისა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის კავშირის კორელაციის კოეფიციენტი არის **0,35**. ესეც მიუთითებს ზომიერ დადებით კავშირზე, რაც ნიშნავს, რომ ქორწინებითი სტატუსი გავლენას ახდენს იდეალურ ბავშვების რაოდენობაზე.

განათლებისა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის კავშირის კორელაცია არის **0,29**. ეს მიუთითებს რაც ნიშნავს, რომ განათლების დონესა და იდეალურ ბავშვების რაოდენობას შორის სუსტ დადებით კავშირზე.

გენდერულ ჭრილში განათლებისა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის პირსონის კორელაციის კოეფიციენტი **სქესსა და განათლებას შორის მცირეა 0,03 -ა,** პრაქტიკულად არ არსებობს კავშირი, **ხოლო სქესსა და** ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის კოეფიციენტი 0,38-ია, რაც დადებით კორელაციაას ნიშნავს, რაც ადასტურებს იმას, რომ სქესი, (ქალებისა და კაცების შეხედულებები) პირდაპირ ახდენს გავლენას ოჯახში ბავშთა რაოდენობის ზრდაზე.

განათლებასა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის კავშირის კორელაციის კოეფიციენტი აღმოჩნდა **0,35**. ეს მიუთითებს ზომიერ დადებითი კავშირის არსებობაზე, რაც ნიშნავს, რომ განათლების დონის ამაღლება და ზრდის ოჯახში ბავშვების სასურველ რაოდენობას.

ასაკი და ქორწინებითი მდგომარეობის კორელაციამ აჩვენა (0,558): შედარებით ძლიერი პირდაპირი კავშირი.

ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობასა და სასურველ ბავშვა რაოდენობას შორის შეინიშნება ძლიერი (0,711): კავშირი, რაც მიანიშნებს ძიერ დამოკიდებულებაზე ამ ცვლადებს შორის.

ასაკსა და და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის კორელაცია გამოვიდა სუსტი (-0,229), გამოვლინდა უკუ კავშირი.

ანალიზმმა აჩვენა, **R-squared**: 0.000, რაც ნიშნავს, რომ ასაკი არ ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას რესპონდენტის სურვილზე, რამდენი ბავშვი უნდა ჰყავდეს, რომ ასაკი თითქმის არ ხსნის ქცევის ვარიაციას.

განათლებასა და ოჯახში იდეალურ ბავშვთა რაოდენობას შორის **R-squared**: 0,004 (განათლება ახდენს უმნიშვნელო გავლენას). **P-Value**: 0,237 (არასაგრძნობი კავშირი). **ასე, რომ** განათლება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს რესპონდენტთა მოსაზრებებისთვის ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე.

სტაბილური შემოსავლის მქონე ოჯახებში (მაგ., კერძო ან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები) გამოკვეთილია 2 ან 3 ბავშვის სურვილი. რაც მიუთითებს ფინანსურ რესურსებზე დაყრდნობილ გადაწყვეტილებებზე.

ნაკლებია იმ ოჯახების წილი, რომლებიც 4 ან მეტი ბავშვის ყოლის სურვილს გამოხატავენ.

არასტაბილური შემოსავლის ან დახმარებების იმედზე მყოფი ოჯახებში უფრო მცირეა ბავშვთა რაოდენობის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ 4 და მეტი ბავშვის სურვილი იშვიათია ამ კატეგორიებში. ასე, რომ ოჯახები არასტაბილური შემოსავლით შეიძლება იზღუდებოდნენ ბავშვების რაოდენობაში, რაც გამოწვეულია ეკონომიკური პირობებით.

სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის მქონე ოჯახებში კი ხშირად ფიქსირდება 4 ან მეტი ბავშვის ყოლის სურვილი. ამას ორმაგი ეფექტის გავლენა შეუძლია მოახდინოს. ჯერ ერთი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისა და მეორეს მხრივ, პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდის მიმართულებით. ეს გარკვეულ წილად ზრდის ამ კატეგორიის ოჯახის ზომის მნიშვნელობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

იმ ოჯახებს, რომლებსაც არ აქვთ სტაბილური შემოსავალი და მაინც ისწრაფვიან მეტი ბავშვის ყოლისკენ, შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი მხარდაჭერა, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას;

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების მქონე ოჯახების რაოდენობის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, რომლის პრიორიტეტის ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალური პოლიტიკის შემუშავებისას.

კორელაციის შედეგებიდან და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულია ოჯახის ზომის გავლენის ანალიზი საბინაო პირობების შეფასებაზე: აქედან გამომდინარე, თუ კორელაცია დადებითია, ეს მიუთითებს, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, საბინაო პირობების შეფასება უმჯობესდება. თუ კორელაცია უარყოფითია, ეს ნიშნავს, რომ დიდი ოჯახები, ხშირად უარესად აფასებენ საბინაო პირობებს.

კორელაციის კოეფიციენტის მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე: მცირე კორელაცია მიუთითებს, რომ ოჯახის ზომასა და საბინაო პირობების შეფასებას შორის კავშირი სუსტია.

მაღალი კორელაცია ხაზს უსვამს, რომ ოჯახური ზომა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საცხოვრებელი პირობების შეფასებაზე.

მოსალოდნელი ტენდენციები ოჯახების ზომის მიხედვით:

მცირე ოჯახები (1-2 წევრი): შესაძლოა, ეს ოჯახები უკეთ აფასებენ საბინაო პირობებს, რადგან უფრო მცირე სივრცე საკმარისია მათთვის.

საშუალო ზომის ოჯახები (3-5 წევრი): ასეთი ოჯახები, შესაძლოა, სტანდარტულ საცხოვრებელ პირობებში თავს უკეთ გრძნობდნენ, მაგრამ მოთხოვნები სივრცეზე იზრდება.

დიდი ოჯახები (6 და მეტი წევრი): ხშირად, დიდი ოჯახები პრობლემებს აწყდებიან სივრცისა და რესურსების განაწილებაში, რაც უარყოფითად მოქმედებს საბინაო პირობების შეფასებაზე.

ოჯახის ზომასა და საბინაო პირობების შეფასების კორელაცია აღმოჩნდა მაღალი,რაც ხაზს უსვამს, რომ ოჯახის ზომის მნიშვნელოვან გავლენას საცხოვრებელი პირობების შეფასებაზე.

სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის მქონე ოჯახებში კი ხშირად ფიქსირდება 4 ან მეტი ბავშვის ყოლის სურვილი. ამას ორმაგი ეფექტის გავლენა შეუძლია მოახდინოს. ჯერ ერთი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისა და მეორეს მხრივ, პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდის მიმართულებით. ეს გარკვეულ წილად ზრდის ამ კატეგორიის ოჯახის ზომის მნიშვნელობას.

პრიორიტეტულად გამოიკვეთა სამი შვილის ყოლის სურვილის ტენდენცია, რაც განსხვავებულად აისახა თაობების პოზიციებში; სამი შვილი აღმოჩნდა სასურველი 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის 49,5%-სათვის, 51,4% 30-39 წლის და 46,7% 40-50 წლის მოსახლეობისთვის.

3.2 თვითშენახვითი განწყობის მაჩვენებლების ანალიზი

კვლევის პროცესში შევეცადეთ კახეთის მოსახლეობის თვითშენახვითი განწყობის სტატისტიკური ინდიკატორების დახასიათებას. ამისათვის ყურადღება შევაჩერეთ რესპონდენტების მატერიალურ მდგომარეობაზე და მის გავლენაზე გამოკითხული კახეთის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მზაობაზე იზრუნონ საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე.

ამისათვის, პირველ რიგში, გავაანალიზეთ **ოჯახის წევრების რაოდენობისა და მატერიალური მდგომარეობის კროსტაბულაციის შედეგები.**

ამ ცვლადების მიხედვით, კროსტაბულაციისას ურთიერთგამომრიცხავი ტენდენცია გამოიკვეთა. როგორც ცხრილი მე-18 დან ჩანს, ოჯახშის წევრების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება როგორც დამაკმაყოფილებელი, ისე კარგი და მატერიალური მდგომარეობის მქონეთა რაოდენობა, მაგრამ ამავე დროს იზრდება ცუდი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტთა რიცხვიც. თუმცა, უპირატესად მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელია და მხოლოდ 13%-მა შეაფასა მისი მდგომარეობა ცუდად, მათ შორის ნახევარზე მეტი, 51% იყო 5 და მეტი ოჯახის წევრიანი რესპონდენტი.

ცხრილი 3.11

ოჯახის წევრების რაოდენობისა და მატერიალური მდგომარეობის კროსტაბულაცია

ოჯახის წევრების რაოდენობა	დამაკმაყოფილებლად	კარგად	ცუდად
2	12	4	3
3	27	10	8
4	88	16	13
5 და მეტი	147	23	25

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

როგორია ოჯახის წევრების რაოდენობისა და საბინაო პირობების კროსტაბულაცია?

მონაცემები ცხადყოფს, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილის საბინაო პირობები დამაკმაყოფილებელია და ოჯახის წევრების რიცხვის მატებასთან ერთად ეს ტენდენცია უფრო და უფრო მკვეთრდ იკვეთება, მაგრამ ცუდი საბინაო პირობების

მქონე რესპონდენტების 10%-ში ყველაზე მეტი, 52,5% 5 და მეტი ოჯახის წევრიანი რესპონდენტია.

ცხრილი 3.12

ოჯახის წევრების რაოდენობისა და საბინაო პირობების კროსტაბულაცია

ოჯახის წევრების რაოდენობა	დამაკმაყოფილებლად	კარგად	ცუდად
2	9	5	5
3	25	16	4
4	57	32	9
5 და მეტი	140	57	21

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

დემოგრაფიულ მდგომარეობაზე კახეთის რეგიონში სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. რა თქმა უნდა, მათ შორის მნიშვნელოვანია შემოსავლების მოცულობა და თავად მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. შეიძლება ოჯახს ჰქონდეს კარგი მდგომარეობა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა უზღუდავდეს მას ბავშვთა შობას და პირიქით, ოჯახს სურვილი ჰქონდეს ბავშვთა ყოლის, მაგრამ შექმნილი საბინაო პირობები, მატერიალური მდგომარეობა მას გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოში სვამს, რაც ინდივიდის დემოგრაფიულ განწობაზე და ქცევაზე პირდაპირ ახდენს ნეგატიურ გავლენას.

საინტერესოა, ახდენს თუ არა მატერიალური მდგომარეობა ჯანმრთელობაზე გავლენას? ამისათვის გავაანალიზეთ მატერიალური მდგომარეობა და ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების კროსტაბულაციის შედეგები.

ცხრილი 3.13

მატერიალური მდგომარეობა და ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების კროსტაბულაცია

მატერიალური მდგომარეობა	ეკოლოგიური პირობები	მავნე ჩვევები	მატერიალური კეთილდღეობა
დამაკმაყოფილებლად	61	10	64

მატერიალური მდგომარეობა	ეკოლოგიური პირობები	მავნე ჩვევები	მატერიალური კეთილდღეობა
კარგად	7	1	8
ცუდად	11	2	10

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

დამაკმაყოფილებელი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტების 45,2%-ის აზრით, ჯანმრთელობაზე მომქმედი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ეკოლოგიური პირობები და 47%-ის აზრით გადამწყვეტია მატერიალური კეთილდღეობა. კარგი მატერიალური მდგომარეობის მქონე რესპონდენტებისთვის კი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია მატერიალურ კეთილდღეობაზე და არსებულ ეკოლოგიურ პირობებზე, ხოლო ცუდი მატერიალური მდგომარეობის მქონე გამოკითხული კახეთის მოსახლეობის 50% -ს თანაბრად მიაჩნია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს თანაბრად კეთილდღეობა და ეკოლოგიური პირობები.

ახდენს თუ არა რესპონდენტთა ასაკი გავლენას ჯანმრთელობაზე?

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩაშლილმა დეტალურმა ანალიზმმა აჩვენა, რომ ასაკის მატებასთან ერთად მცირდება მატერიალური კეთილდღეობის ჯანმრთლობაზე გავლენის მაჩვენებლები და ვლინდება რესპონდენტების ეკოლოგიურ პირობებისადმი დამოკიდებულების გაზრდა, განსაკუთრებით 30-39 წლის ასკის რესპონდენეტებისთვის. (იხ. ცხრილი 3.14)

ცხრილი 3.14

ასაკისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების კროსტაბულაცია

ასაკი	ეკოლოგიური პირობები	მავნე ჩვევები	მატერიალური კეთილდღეობა
15 - 29	18	5	32
30 - 39	33	3	29
40 - 50	30	5	19
51+			

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

განსხვავებული იყო ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულება ჯანმრთელობაზე ზრუნვის დაწყების პერიოდთან დაკავშირებით.

ცხრილი 3.15

ასაკისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის დასაწყისის პერიოდის კროსტაბულაცია

ასაკი	15 - 29 წლიდან	30 - 39 წლიდან	40 - 50 წლიდან
15 - 29	95	11	1
30 - 39	81	26	3
40 - 50	51	20	7

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ზოგადად, რესპონდენტების 77% ფიქრობს, რომ ჯანმრთელობაზე ზრუნვა პიროვნებამ 15-29 წლის ასაკიდან უნდა დაიწყოს, ამას ადასტურებს 15-29 წლის რესპონდენტების 32%-ის, 30-39 წლის მოსახლეობის 27,5%-ისა და 40-50 წლის გამოკითხულთა 7,3% ის დაფიქსირებული პოზიციები.

ქალების ყველაზე მეტი რაოდენობა (ქალი რესპონდენტების 23%) ფიქრობს, რომ ადამიანმა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდან, 15-29 წლიდან უნდა დაიწყოს, და რეალურად ეს 15-29 წლის გამოკითხული ქალების 63,4%-მა გააკეთა. 19,5% ის აზრით კი 30-39 წლიდან, ხოლო12,3% თვლის, რომ ოპტიმალური ასაკი 40-50 წელია.რაც არ უნდა გასაკვირი იყოს კაცების დიდი ნაწილი უფრო სიფრთხილით უდგება ჯანმრთლობაზე ზრუნვას და გამოკითხულთა 57%, რომელიც 15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის 89%-ს შეადგენს, საკუთარ ჯანმრთლობაზე ზრუნვას 15-29 წლისდან იწყებს. ნათელია გენდერულ ჭრილში გამოვლენილი აზრთა სხვადასხვაობა. (იხ. ცხრილი 3.16)

ცხრილი 3.16

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და სქესის კროსტაბულაცია

ასაკი	15-29 წლიდან		30-39 წლიდან		40-50 წლიდან	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
15 - 29	45	34	22	4	4	0
30 - 39	28	14	38	6	1	0
40 - 50	24	1	18	1	15	3

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ჯანმრთლობაზე არაზრუნვის ძირითად მიზეზებად რესპონდენტებმა სხვადასხვა მიზეზები დაასახელეს. როგორც ქალების, ისე მამაკაცების დიდმა ნაწილმა ძირითად მიზეზად ნებისყოფის არ ქონა დაასახელა.

ცხრილი 3.17

საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნვის მიზეზები სქესობრივ ჭრილში

ასაკი	არ არის საჭირო ზრუნვა, მე ისედაც ჯანმრთელი ვარ		არ ვიცი როგორ ვიზრუნო		არ მყოფნის ნებისყოფა	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
15 - 29	1	5	1	3	15	6
30 - 39	2	1	4	0	30	4
40 - 50	5	1	2	1	12	4

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

რესპონდენტების 90.7% აღმსარებლობის მიხედვით მართლმადიდებელია და ეს, ძალიან კარგია, როდესაც მართლმადიდებლების 31% 15-29 წლის მოსახლეობაა, ყველაზე მეტი, 40.6%, 30-39 წლისაა.

ცხრილი 3.18

ასაკისა და მართლმადიდებელი აღმსარებლობის კროსტაბულაცია

ასაკი	არა	დიახ
15 - 29	22	106
30 - 39	9	139
40 - 50	4	97
51+		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების გამოკვლლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნების ფორმირება:

15-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები:

ამ ჯგუფის უმრავლესობა თავის მატერიალურ მდგომარეობას აფასებს როგორც **დამაკმაყოფილებელად** (87 რესპონდენტი);

29 ადამიანი მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა **კარგია**, ხოლო მცირე ნაწილი (**14**) თვლის, რომ **ცუდია**;

ეს ჯგუფი, სავარაუდოდ, ასახავს გარდამავალ ფაზას, სადაც ახალგაზრდა ადამიანები დამოკიდებულნი არიან კარიერული შემოსავლის დასაწყისზე ან ოჯახზე.

30-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები:

ამ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტი ადამიანი აფასებს თავის მდგომარეობას როგორც **დამაკმაყოფილებელი** (107 რესპონდენტი);

შედარებით ნაკლები (**16**) მიიჩნევს მას **კარგად**;

აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი ადამიანი (**24**) აფასებს მდგომარეობას როგორც **ცუდი**. რაც, შესაძლოა, დაკავშირებულია ოჯახურ და ფინანსურ ვალდებულებებთან.

40-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები:

დამაკმაყოფილებლად შეფასებული მდგომარეობის პროცენტული სიხშირე შედარებით მცირდება **30-39** წლის ჯგუფთან შედარებით (**81 რესპონდენტი**).

ძალიან ცოტა ადამიანი (**10**) თვლის, რომ მათი მდგომარეობა **კარგია**, ხოლო **12** მათგანის აზრით, მდგომარეობა **ცუდია**.

ეს შეიძლება ასახავდეს სტაბილური შემოსავლის პერიოდს ან შუახნის ასაკში არსებული გამოწვევებს.

გამოვლენილი ზოგადი ტენდენციებიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

დამაკმაყოფილებელი შეფასება ყველაზე გავრცელებულია თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა გამოკვეთილია **30-39** ასაკობრივი ჯგუფი;

კარგი შეფასება ასაკთან ერთად მცირდება, რაც, სავარაუდოდ, ფინანსური ოპტიმიზმის ან შესაძლებლობების კლების შედეგად ხდება.

ცუდი შეფასება ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება, პიკს აღწევს **30-39** წლის ასაკში და მცირედით კლებულობს **40-50** წლის ასაკობრივ ჯგუფში.

15-29 წლის ასაკში: ახალგაზრდები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რადგან ფინანსური პასუხისმგებლობები ნაკლებია ან ისინი დამოკიდებულნი არიან ოჯახზე;

30-39 წლის ასაკში: ეს ჯგუფი ფინანსური წნეხის ზრდას აჩვენებს, რაც დაკავშირებულია ოჯახის გაფართოებასთან ან კარიერულ სირთულეებთან;

40-50 წლის ასაკში: ამ ასაკში ადამიანები სტაბილურობის პერიოდს აღწევენ, თუმცა გარკვეული სირთულეები კვლავ რჩება.

3.3 ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ემპირიული ანალიზი და კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირება ARIMA მოდელის საფუძველზე

კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის შესაფასებლად განხორციელებული სტატისტიკური გამოკვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე (გამოკვლევის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია წარმოდგენილია ნომინალური კატეგორიული ცვლადების მეშვეობით) განხორციელდა ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ემპირიული რეალიზაცია.

გამოკვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა 1) მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების (სქესი, ასაკობრივი ჯგუფი, ოჯახური მდგომარეობის, მიღწეული განათლების საფეხური და სხვა), 2) საკუთარი ჯანმრთელობის და მატერიალური მდგომარეობის სუბიექტური აღქმის (როგორ აფასებს საკუთარ ჯანმრთელობის და მატერიალურ მდგომარეობას) და 3) მიმდინარე და სასურველი ოჯახური შემადგენლობის შესახებ (მეუღლის, შვილების რაოდენობის და სასურველი შვილების რაოდენობის შესახებ).

კვლევის საწყის ეტაპზე განისაზღვრა რეგრესული მოდელის ცვლადთა სისტემა. კერძოდ, შედეგობრივ ცვლადის როლში ბავშვების არსებული რაოდენობა, ხოლო ფაქტორულ ცვლადებად 1) რესპონდენტის სქესი, 2) ასაკობრივი ჯგუფი, 3) ოჯახური მდგომარეობა, 4) განათლების მიღწეული საფეხური, 5) სასურველი ბავშვების რაოდენობა, 6) საკუთარი მატერიალური მდგომარეობის სუბიექტური აღქმა, 7) საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება და 8) რომელიმე რელიგიური სარწმუნოების ეკლესიის წევრობა განისაზღვრა.

ცხრილი 3.19

რეგრესულ მოდელში მონაწილე ცვლადთა სტრუქტურა

ცვლადი	**ცვლადის კატეგორია**
არსებული ბავშვების რაოდენობა	1) ერთი; 2) ორი 3) სამი; 4) 3 ზე მეტი
სქესი	1) მდედრობითი; 2) მამრობითი
ასაკი	1) 15-29; 2) 30-39; 3) 40-50

ოჯახური მდგომარეობა	1) დაქორწინებული; 2) დასაქორწინებელი; 3) განქორწინებული; 4) ქვრივი
სასურველი ბავშვების რაოდენობა	1) ერთი; 2) ორი 3) სამი; 4) 3 ზე მეტი
საკუთარი მატერიალური მდგომარეობის სუბიექტური შეფასება	1) კარგი; 2) დამაკმაყოფილებელი; 3) ცუდი
საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება	1) კარგი; 2) დამაკმაყოფილებელი; 3) ცუდი
რომელიმე რელიგიური სარწმუნოების ეკლესიის წევრობა	1) დიახ; 2) არა

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კვლევაში მონაწილე ცვლადები და მათი კატეგორიები წარმოდგენილია ცხრილ 1-ში: რეგრესულ მოდელში მონაწილე ცვლადთა სტრუქტურაში. აღსანიშნავია, რომ ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ემპირიული რელიზაციისთვის განხორციელდა 1) ბინალუირი შედეგობრივი ცვლადი შექმნა (ბავშვბების დემოგრაფიულად პოზიტიური რაოდენობა), რომელიც იღებს მნიშვნელობა 1 -ს, როდესაც ბავშვების რაოდენობა 1 ზე მეტია, ხოლო 0-ს, როდესაც 2- ზე ნაკლებია; 2) ცხრილ 1-ში წარმოდგენილი დანარჩენი 7 კატეგორიული ცვლადისგან შეიქმნა 24 (0 და 1 მნიშვნელობის მქონე) ბინალური ცვლადი. არსებული ორი ალტერნატივიდან: I - არ არსებული მონაცემების მნიშვნელობების იმპუტაციის განხორციელება და შემდგომ რეგრესულ ანალიზში მათი გამოყენება II - გამოუპასუხებელი რესპონდენტების გამორიცხვა რეგრესული ანალიზიდან, უპირატოსება მიენიჭა უკანასკნელს, ვინაიდან იმპუტაცია საკუთარ თავში მოიცავს ცდომილებას, რომელიც გამოიწვევდა მეტად გადაადგილებული შეფასებების მიღებას კვლევის შემდგომ საფეხურზე.

ბინალურ ლოგარითმულ რეგრესულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$\ln(y) = B_0 + B_1X_1 + B_2X_2 + \cdots + B_{24}X_{24} \qquad (3.1)$$

მოდელის ემპირიული რეალიზაციიდან დგინდება, რომ წარმოდგენილი ფაქტორლი ცვლადებიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანს წარმოადგენს მხოლოდ სასურველი ბავშვების რაოდენობა. (**შენიშვნა**: ემპირიული რეალიზაციიდან გამორიცხულია საწყისი ფაქტორული ცვლადის 1 ყველაზე არამნიშვნელოვანი კატეგორია, რომელმაც შემდგომში ბინალუირი ცვლადის სახე მიიღო).

ცხრილი 3.20

ბინალური რეგრესული მოდელის ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების შეფასებები.

	B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
x1	-.472	.615	.590	1	.442	.624
x3	-.549	.615	.798	1	.372	.578
x4	-.374	.434	.742	1	.389	.688
x6	-21.686	15032.630	.000	1	.999	.000
x7	-18.921	15032.630	.000	1	.999	.000
x8	-20.632	15032.630	.000	1	.999	.000
x10	-.310	.776	.159	1	.690	.734
x11	.090	.478	.035	1	.851	1.094
x13	-2.406	1.133	4.513	1	.034	.090
x14	1.394	.452	9.520	1	.002	4.030
x15	2.514	.518	23.556	1	.000	12.350
x17	.966	.818	1.396	1	.237	2.628
x18	.396	.605	.428	1	.513	1.486
x20	-.215	.925	.054	1	.817	.807
x21	.035	.487	.005	1	.942	1.036
x23	.497	.778	.409	1	.523	1.644
Constant	18.986	15032.630	.000	1	.999	176055590.304

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კვლევამ დაგვანახა, რომ შექმნილი 24 ბინალური ცვლადიდან მხოლოდ 3 ცვლადი გამოიკვეთა საიმედო. კვლევის შემდგომ ეტაპზე ანალიზიდან გამოირიცხა 1) თავისუფალი წევრი; 2) სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ცვლადები და 3) საწყისი კატეგორიული ცვლადის ერთი კატეგორია (შემდგომში ბინალური ცვლადი), რის საფუძველზეც დგინდება, რომ მოდელს გააჩნია მაღალი ამხნელობითი უნარი, კერძოდ

ცხრილი 3.21

ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის ფაქტორული ცვლადების ამხსნელობითი უნარის სტატისტიკური მახასიათებლები

Step	-2 Log likelihood	Cox & Snell R Square	Nagelkerke R Square
1	230.265[a]	.381	.508

a. Estimation terminated at iteration number 5 because parameter estimates changed by less than .001.

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

დეტერმინაციის (ნაგელკარკე) კოეფიციენტის მნიშვნელობა 0,51 -ს უტოლდება. ამასთან, მოდელი იძლევა შედეგობრივი ცვლადის დაკვირვების რაოდენობის 79,5%-ის მნიშვნელობების შეფასებას.

ცხრილი 3.22

ბინალური ლოგარითმული რეგრესული მოდელის შედეგობრივი ცვლადის დაკვირვების მნიშვნელობების შეფასების სიზუსტის მაჩვენებლები

			Predicted		
			y		Percentage Correct
	Observed		0	1	
Step 1	y	0	12	51	19.0
		1	1	190	99.5
	Overall Percentage				79.5
a. The cut value is .500					

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ვალდის ტესტის 95%-იანი საიმედოობით მიხედვით მიიღება ალტერნატიული ჰიპოთეზა ემპირიული მოდელის ცვლადების სტატისტიკურად მნიშვნელოვნების შესახებ. **შენიშვნა:** X13 ცვლადი მკაცრად 95%-იანი მნიშვნელოვნებით არ წარმოადგენს საიმედოს, თუმცა მისი მოდელში დატოვება არის რეკომენდირებული, ვინაიდან იგი წარმოადგენს საწყისი ცვლადის კატეგორიას.

ცხრილი 3.23

ბინალური რეგრესული მოდელის ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების შეფასებები

		B	S.E.	Wald	df	Sig.	Exp(B)
Step 1[a]	x13	-2.485	1.041	5.700	1	.017	.083
	x14	1.290	.259	24.779	1	.000	3.632
	x15	2.262	.332	46.330	1	.000	9.600
a. Variable(s) entered on step 1: x13, x14, x15.							

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

მოდელის ემპირიული რეალიზაციიდან დგინდება რომ, სასურველი ბავშვების რაოდენობა 1 ნეგატიურ კავშირშია ბავშვბების დემოგრაფიულად პოზიტიური რაოდენობასთან, ხოლო სასურველი ბავშვების რაოდენობა 2 და სასურველი ბავშვების რაოდენობა 3 პოზიტიურ კავშირშია შედეგობრივ ცვლადთან. ემპირიულ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Y = e^{-2.485X_{13}+1.290X_{14}+2.262X_{15}} \quad (3.2)$$

ამასთან, სასურველი ბავშვების რაოდენობა 1 $e^{-2.485}$-ზემოქმედებს შედეგობრივი ცვლადის მნშვნელობაზე, რაც გულისხმობს, რომ (0,083-1=-0,917) 0,917-ით ამცირებს შანსს, ხოლო სასურველი ბავშვების რაოდენობა 2 და სასურველი ბავშვების რაოდენობა 3 -კი ზრდის (2,632 -ით და 8,6 - ით).

კახეთის რეგიონში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება ცხადია პოზიტიურ მოლოდიენებს არ ქმნის. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა დინამიკაში განხილულმა მოსახლეობის რიცხოვნობის, ბუნებრივი მატების, შობადობის, სიკვდილიანობის, ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლებმა. ზოგიერთი გამონაკლისების გარდა (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), ყველა მუნიციპალიტეტში მდგომარეობა იდენტურია და ეს საბოლოო ჯამში კახეთის რეგიონის მოსახლეობის შემცირებას უკავშირდება. იმისათვის, რომ განგვესაღვრა სამომავლოდ მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო მნიშვნელობები, გამოვიყენეთ კომპიუტერული კომპიუტერული პროგრამა EView-2023 და მოვახდინეთ ARIMA მოდელის საფუძველზე ამ მაჩვენებლების გაანგარიშება.

ARIMA-ს მოდელის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$Y_t - Y_{t-1} = \mu + \varphi(Y_{t-1} - Y_{t-2}) + \varepsilon_t - \theta_{\varepsilon_{t-1}} \quad (3.3)$$

სადაც:

Y_t– მოსახლეობის რაოდენობა დროის მომენტში t,

μ – დრიფტის ტერმინი (მოსახლეობის საშუალო ცვლილება),

φ – ავტორეგრესიის (AR) კოეფიციენტი,

θ – მცოცავი საშუალოს (MA) კოეფიციენტი,

εt – შემთხვევითი ცდომილება დროის მომენტში ttt,

εt–1 – წინა დროის მომენტის შემთხვევითი ცდომილება.

ეს ფორმულა აჩვენებს, რომ მოსახლეობის ცვლილება დროის განმავლობაში დამოკიდებულია წინა პერიოდის მოსახლეობის ცვლილებაზე და მიმდინარე/წინა პერიოდის შემთხვევით ცდომილებებზე.

მოდელისათვის საჭირო ცვლადების მნიშვნელობები 2015-2023 წლებისათვის წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი 3.24

მოდელში ჩართული ცვალდების მნიშვნელობები 2015-203 წლებში

მაჩვენებლები		**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
მოსახლეობა (ათასი)	y	318.8	317.8	315.9	314.7	312.5	310.1	309.6	304.9	306.2
ცოცხალდაბადებულთა მაჩვენებელი (კაცი)	x1	5,212	4,870	4,722	4,159	3,872	3,828	3,790	3,377	3,103
გარდაცვალების მაჩვენებელი (კაცი)	x2	4,957	5,099	4,806	4,529	4,520	4,544	5,533	4,408	3,960
ქორწინება (ერთეული)	x3	2,420	1,936	1,744	1,794	1,810	1,166	1,771	2,091	1,749
განქორწინება (ერთეული)	x4	653	676	783	727	842	505	772	1,023	965
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რიცხვი წლის განმავლობაში (პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი	x5	531	581	529	513	492	442	517	475	514
მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები (მილიონი ლარი)	x6	76.2	79.2	67.5	90.3	91.6	89.5	110.1	146.4	155.4

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ცხრილში მონაცემები მოცემულია 2023 წლის ჩათვლით, რადგანაც 2024 წლისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მონაცემებით კახეთის რეგიონის მთლიანი მოსახლეობის შესახებ. ბოლო მონაცემებით ის 299 896-ის ტოლია.

საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებამდე განვსაზღვროთ მოდელის მახასიათებელი კოეფიციენტების მნიშვნელობები:

2024 წლის მოსახლეობა = **299,896 ათასი**

2023 წლის მოსახლეობა = **306, 216 ათასი**

ბოლო პერიოდის ცდომილება = **-4,965**

ავტორეგრესიული (AR) კოეფიციენტი = **0,99998**

მცოცავი საშუალოს (MA) კოეფიციენტი = **-0,9946**

ARIMA მოდელის გამოყენებით 2025-2030 წლებისთვის კახეთის მოსახლეობის საპროგნოზო გაანგარიშებული მაჩვენელები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 3.25

კახეთის რეგიონის მოსახლეობის საპროგნოზო მაჩვენბელების დინამიკა 2025-2030 წლებში, ათასი კაცი

	2025	2026	2027	2028	2029	2030
	298.06	296.22	294.38	292.55	290.71	288.87

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

მაშასადამე, საშუალოდ, მომდევნო 6 წლის განმავლობაში, კახეთის მოსახელობა შემცირდება 9,19 ათასით, საშუალოდ 1%-თ, ანუ წლიური ზრდის ტემპი შეადგენს 99%-ს. საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამა 3.24 სახით.

დიაგრამა 3.24

კახეთის რეგიონიოს მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო მაჩვენებლების დინამიკა 2025-2030



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

აღნიშნული დიაგრამა სამწუხაროდ, ნათლად აჩვენებს კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენციას.

ამასთან, შედარების მიზნით, გავიანგარიშეთ საპროგნოზო მაჩვენებელი 2030 წლისთვის ექსტრაპოლაციის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთ, 2023 წელს დაფიქსირდა აბსოლუტური მატების დადებითი მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საშუალო აბსოლუტური მატება აღმოჩნდა უარყოფითი, -1575, რაც იმას ადასტურებს, რომ 2015 წლიდან 2023 წლამდე ყოველ წელს კახეთის მოსახლეობა საშუალოდ 1575 ადამიანით მცირდებოდა. ექსტრაპოლაციით მოსწორებული დონეებისა და საპროგნოზო

მაჩენებლების გამოვლენის შემდეგ დადგინდა, რომ თუ შენარჩუნდა იგივე ტენდენცია, რომ ისევ ისე გაგრძელდება კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება, როგორც ეს ადრე ხდებოდა, ანუ ყოველწლიურად საშუალოდ 1575 ადამიანით, მაშინ 2030 წელს კახეთში მოსახლეობს რიცხოვნობა იქნება 295 175. მაშასადამე, კახეთის მოსახლეობა 2015 წელთან შედარებით შემცირდება 7,4%-ით, ხოლო 2023 წელთან შედარებით კი 3,6%-ით.

პროგნიზირებისათვის გამოვიყენეთ ფორმულა (გელაშვილი, ს. აბესაძე, ნ.2021):

$$\hat{y}_{i+t} = y_1 + \overline{\Delta}(i-1+t). \qquad (3.4)$$

$$Y_{2030} = 318{,}8 + (-1{,}575 \text{ x } 15) = 318{,}8 - 23{,}625 = 295{,}175$$

ამ მეთოდით, კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის საპროგნოზო მაჩვენებელი უფრო დიდი გამოვიდა. მაგრამ 2024 წლის საპროგნოზო და რეალურ მაჩვენებლებს შორის მცირე გადახრის გამო უპირატესობა, საბოლოო დასკვნებისთვის მივანიჭეთ ARIMA-ს ტიპის მოდელს.

მაშასადამე, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია გრძელდება და სამწუხაროდ, მომავალში ამ ტენდენციის გარძელების რეალური საფრთხეა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რეგიონში დემოგრაფიული ვითარების სიმძიმეს და ეფექტური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. რეგიონი დემოგრაფიული საფრთხის წინაშეა, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია გრძელდება. მოდუნების დრო აღარ არის.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კახეთის რეგიონი განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ფიქსირდება როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. სტაციონარულიდან რეგრესიულისაკენ შეიცვალა კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შედეგადაც კახეთში სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა აღმოჩნდა დარღვეული, რაც იწვევს კახეთის რეგიონის მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას.

38 წლამდე გაიზარდა რეგიონის მოსახლეობის საშუალო ასაკი, მათ შორის კაცების 36 წლამდე, ხოლო ქალების - 40 წლამდე. გაზრდილია მოსახლეობის მედიანური ასაკიც.

კლების ტენდენცია შეინიშნება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობაში, მარტო 2023 წელს კახეთის რეგიონში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 2014 წელთან შედარებით 21,6%-ით ხოლო 2002 წელთან შედარებით 6%-ით შემცირდა. ყველაზე მეტად ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა შემცირდა ახმეტის მუნიციპალიტეტში (17%) და ყველაზე ნაკლებად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (10%). ამ თვალსაზრისით, დემოგრაფიულად ყველაზე სტაბილური მუნიციპალიტეტი აღმოჩნდა თელავი.საგარეჯოსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში შობადობის არსებული დონე მეტწილად არაქართველი მოსახლეობის ხარჯზე ნარჩუნდება.

მართალია 28-მდე გაიზარდა დედის საშუალო ასაკი ბავშვთა დაბადებისას და 25 წლამდე საშუალო ასაკი პირველი შვილის ყოლისას, მაგრამ სხვა რეგიონებთან შედარებით ეს მაჩვენებლები უკეთესია, რეგიონი ამ მხრივ მხოლოდ ქვემო ქართლს ჩამორჩება და შესაბამისად უფრო მაღალია რეპროდუქციულ ასაკში მეტი შვილის გაჩენის ალბათობა.

მუნიციპალიტეტების მიხედვით შემცირების ტენდენცია იკვეთება მოკვდაობის მაჩვენებლებშიც. მოკვდაობის მაღალი ინტენსივობის მაჩვენებლით გამოირჩევა გურჯაანის, თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. დინამიკაში მცირდება ჩვილბავშვთა, ხოლო იზრდება 5 წლამდე ასაკის, 5-10, 30-35, 40-55 და 75-80 წლის მოსახლეობის გარდაცვალების მაჩვენებლები. გასათვალისწინებელია ნეონატალური

და პოსტნეონატალური მოკვდაობის მაჩვენებლების დინამიკაც. ასაკის მატებასთან ერთად გამოიკვეთა სისხლის მიმოქცევის სისტემის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, სასუნთქი სისტემისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები. გასათვალისწინებელია სუიციდის გაზრდილი ფაქტები განსაკუთრებით საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტში და თანაც კაცებში.

რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების გარდა დინამიკაში მცირდება ქორწინების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები და იზრდება განქოწრინების მაჩვენებლები (თელავის მუნიციპალიტეტის გარდა) ყველაზე მეტი განქორწინებული კახეთში 30-34 და 35-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ფიქსირდება, რაც რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე უარყოფითად მოქმედებს.

კახეთის მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევისას ზოგადად, რესპონდენტების დემოგრაფიული განწყობა აღმოჩნდა დადებითი. თუმცა, ოჯახში ბავშვების სასურველ და რეალურ მაჩვენებლებს შორის დისბალანსი გამოვლიდა და რესპონდენტების სურვილის საწინააღმდეგოდ რეალურად, მოდალური ოჯახში ორი შვილი აღმოჩნდა. დისბალანსის მთავარ მიზეზს ოჯახში მატერიალური პირობები და მეუღლეთაგან ერთ-ერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს. ისინი ინდივიდის დემოგრაფიულ განწობაზე და ქცევაზე ახდენენ ნეგატიურ გავლენას.

დიფერენცირებულია რესპონდენტების განწყობა შვილის ყოლის პერიოდთან დაკავშირებით. მხოლოდ 25% მიიჩნევდა, რომ ამისთვის საუკეთესო ოჯახის შექმნის პირველივე წელია, დანარჩენები ქორწინების უფრო ხანგრძლივ დროს ანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა რესპონდენტების 66.3%-ს შვილი ეყოლათ ახალგაზრდა, 25 წლამდე ასაკში, ქორწინების პირველივე წელს. სამაგიეროთ რესპონდენტები დიდწილად ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ უკანასკნელი შვილის ყოლის ასაკთან მიმართებაში. დიდი ნაწილის აზრით (52,3%) უკანასკნელი შვილის ყოლა 30-34 ასკობრივი ჯგუფის ქალების მიერ უნდა ხდებოდეს.

შეცვლილია თაობების: შვილების, მშობლებისა და პაპა-ბებიების დემოგრაფიული ქცევა და განწყობა. განსხვავებულია მათი ოჯახების შემადგენლობა და სტრუქტურა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებულია თვითშენახვითი განწყობის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულების მაჩვენებლები. იკვეთება ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მატერიალურ მდგომარეობისა და ეკოლოგიურ პირობების გავლენა. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად მზრდია რესპონდენტების ეკოლოგიური პირობების გამოკვეთის ტენდენცია.

განსხვავებულია რესპონდენტთა ასაკის მიხედვით ჯანმრთელობაზე ზრუნვის პერიოდისა და თვითშენახვითი განწობის მიზეზების მიხედვით განაწილების მაჩვენებლებიც.

განათლების დონის ამაღლებასთან ერთად რესპონდენტების დემოგრაფიული განწყობა აღმოჩნდა უფრო პოზიტიური როგორც იდეალურ, ისე სასურველ ბავშვთა რაოდენობასათან მიმართებით. მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი გამოვლინდა დაქორწინებული და დაუქორწინებელი რესპონდენტების დემოგრაფიულ განწყობაში, რაც ძირითადად ოჯახში განსხავებულ იდეალურ და სასურველი ბაშვების რაოდენობას უკავშირდებოდა.

საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა თაობების მიხედვით სამი შვილის ყოლასთან დაკავშირებით. თუ 15-29 წლის რესპონდენტების პაპა-ბებიების 60% ჰყავდა სამი შვილი, რაც უკეთესი მაჩვენებელი იყო რესპონდენტების მშობლებთან შედარებით, 30-39 წლის ასაკის გამოკითხულთა მშობლებს უფრო მეტი შვილი ჰყავდათ ვიდრე მათ პაპა-ბებიებს. იმედის მომცემია ახალგაზრდა რესპონდენტების დემოგრაფიული განწობა. 15-29 წლის ასაკის რესპონდენტთა 58% თვლის, რომ იდეალური ოჯახში სამი შვილი უნდა იზრდებოდეს, ამ აზრს იზიარებს 30-39 წლის გამოკითხულთა 71% და 40-50 წლის რესპონდენტთა 47%. იდეალური ოჯახისადმი ასეთი განწყობის პირობებში ოდნავ განსხვავებულად იქნა ფორმულირებული რესპონდენტთა სასურველი ბავშვების რაოდენობა. სამი შვილი აღმოჩნდა სასურველი 15-29 წლის ასაკის მოსახლეობის 49,5%-სათვის, 51,4% 30-39 წლის და 46,7% 40-50 წლის მოსახლეობისთვის. სტაბილური შემოსავლის მქონე ოჯახში გამოკვეთილია 2 ან 3 ბავშვის სურვილი. ნაკლებია იმ ოჯახების წილი, რომლებიც 4 ან მეტ ბავშვის ყოლის სურვილს გამოხატავენ. არასტაბილური შემოსავლის ან დახმარებების იმედზე მყოფი ოჯახში უფრო მცირეა ბავშვთა სასურველი რაოდენობის მაჩვენებელი. (ერთი ან ორი) სოფლის მეურნეობიდან მიღბული

შემოსავლის მქონე ოჯახებში კი ხშირად ფიქსირდება 4 ან მეტი ბავშვის ყოლის სურვილი. ამიტომაც, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობიდან მიღბული შემოსავლების მქონე ოჯახების რაოდენობის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება.

სხვადასხვა ცვლადებს შორის კორელაციური კაშირების სიმჭიდროვის ხარისხის განსაზღვრის შემდეგ დადგინდა, რომ პირდაპირი კავშირი გამოვლინდა: რესპონდენტთა ასაკისა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის, ქორწინებითი მდგომარეობასა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის, სქესსა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის, განათლებასა და ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობას შორის, ასაკსა და ქორწინებითი მდგომარეობას შორის, ოჯახში ბავშვების იდეალურ რაოდენობასა და სასურველ ბავშვთა რაოდენობას შორის. ხოლო უარყოფითი დამოკიდებულება გამოვლინდა: განათლებისა და შემოსავლის წყაროს შორის, ოჯახური მდგომარეობისა და განათლების კავშირს შორის, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის.

კახეთის რეგიონის დემოგრაფიული ვითარების შეფასებისას ბინალური რეგრესული მოდელის ემპირიული რეალიზაციიდან დადგინდა, რომ ოჯახში არა ერთი, არამედ 2 და განსაკუთრებით 3 ბავშვი გაზრდის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობას. არსებულის გათვალისწინებით, პროგნოზირების როგორც მარტივი ხერხების, ისე კომპიუტერული პროგრამა EViews-ით ARIMA-ს მოდელის გამოყენებით საპროგნოზო მაბვენებლების გაანგარიშებით 2030 წელს 2023 წელთან შედარებით 6%-ით კახეთის მოსახლეობის შემცირებაა მოსალოდნელი. 2024 წლის შემდეგ მომდევნო 6 წლის განმავლობაში, კახეთის მოსახლობა საშუალოდ შემცირდება 9,19 ათასით, 1%-თ და 2030 წელს მიაღწევს ისტორიულად მინიმალურ მნიშვნელობას, 288,87 ათასს კაცს. გამოდის, რომ კახეთის რეგიონის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების მოლოდინები სამწუხაროდ, ნეგატიურია. საჭიროა სახელმწიფოს გონივრული და მიზანმიმართული დასაქმების ხელშეწყობის პირობებში სწორი და ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, შობადობის წამახალისებელი პროექტების განხორციელება, რეგიონის მატერიალური კეთილდღეობის გაზრდის ხელშეწყობა, რაც საბოლოოდ აუცილებლად დადებითად იმოქმედებს მიგრაციის შემცირებაზე, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე, დემოგრაფიული პარამეტრების

გაუმჯობესებაზე. ჯერ-ჯერობით ვითარება მძიმეა და კახეთი დემოგრაფიული საფრთხის შემცველ რეგიონად კვლავაც რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე, ნ. 2018. "გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში." *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსამი. 22-35.

აბესაძე, ნ., ო. აბესაძე, and ე. ლორთქიფანიძე. 2018. "სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი." *ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიდო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსამი. 36-40.

ანთაძე, კ. 1973. *საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში.* თბილისი.

გელაშვილი, ს., მ. ხმალაძე, მ. მინდორაშვილი, and ნ. აბესაძე. 2020. *საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა.* თბილისი: თსუ.

გელაშვილი, ს., მ. ხმალაძე, ნ. აბესაძე, and მ მინდორაშვილი. 2022. *საქართველოს რეგიონების დემოგრაფიულო და სოციალური სტატისტიკა.* თბილისი: თსუ.

დოხტურიშვილი, ნ. 2022. "დემოგრაფიული პროცესების თანამედროვე ტენდეციები საქართველოში." *IV ეროვნული კონფერენცია.* გორი: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 150-162.

დოხტურიშვილი, ნ. 2024. "კვლევა." თბილისი.

ვეშაპიძე, შ. 2023. "შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეები და შესაძლებლობები." *თსუ. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 149.

ვეშაპიძე, შ., and თ. ზუბიაშვილი. 2021. "მოსახლეობის ზრდისა და გლობალური პრობლემების შესახებ." *VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 148.

თოთაძე, ა. 2018. *საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა.* თბილისი: პრინტ ავენიუ.

მარშავა, ქ., and ი. მაკალათია. 2018. "სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში." *ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსალი. 96-103.

მენაბდიშვილი, ლ. 2017. *კონფერენციები.* Accessed დეკემბერი 23, 2024. http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=&cat=pers&leng=ge&adgi=1799&title=%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%8.

პაპასკირი, ლ. 2021. *კვირის პალიტრა.* სექტემბერი 6. Accessed სექტემბერი 8, 2024. https://kvirispalitra.ge/article/82435-qsaqarthvelo-demografiuli-katastrofis-zghvarzeaq/.

n.d. *რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკა.* Accessed სექტემბერი 25, 2024. https://regions.geostat.ge/regions/.

რობიტაშვილი, ნ. 2018. "საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სოციალ-ეკონომიკური ასპექტები." *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსამი. 161-166.

n.d. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* Accessed გვისტო 10, 2024. https://regions.geostat.ge/regions/kakheti.php?lang=ka.

სახვაძე, ა. 2024. *ამბები.ჯე.* მაისი 6. Accessed აგვისტო 17, 2024. https://www.ambebi.ge/article/309426-sagangasho-machvenebeli-2050-clistvis-kartvelebi-t/.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2014. *2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.* დეკემბერი. Accessed სექტემბერი 17, 2024. https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf.

ქინქლაძე, რ. 2018. "რემინტანსების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე." *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსამი. 167-173.

ქინქლაძე, რ., შ. მეტრეველი, and ქ. ჩიტალაძე. 2022. "COVID-19 გავლენა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე."

შელია, მ. 2023. "საქართველოს სტუდენტთა სოციალურ დემოგრაფიული ჯგუფის კვლევის სათავეებთან." *მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 266.

შინჯიაშვილი, თ., ნ. ჭანტურია, and შ. მეტრეველი. 2014. "ქალთა დასაქმება და რეპროდუქციული ქცევის ურთიერთგავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში." *დემოგრაფია და სოციოლოგია* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შონია, ზ. 2018. "საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის სტატისტიკური ასპექტები." *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსამი. 190-196.

ჩარექიშვილი, ლ. 2018. "უმაღლესი განათლების სტატისტიკა საქართველოში და გლობალიზაცია." *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსალი. 197-202.

წულაძე, გ., and ა. სულაბერიძე . 2016. *საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წულაძე, გ., and ა. სულაბერიძე. 2016. *საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წულაძე, გ., ნ. მაღლაფერიძე, and ა. სულაბერიძე. 2009. *დემოგრაფია.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხმალაძე, მ. 2020. "დემოგრაფიული სიტუაცია და სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციები." *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 548.

ხმალაძე, მ., and ქ. ჩიტალაძე . 2020. *დემოგრაფიული სტატისტიკა.* თბილისი.

ხმალაძე, მ., and ქ. ჩიტალაძე. 2020. *დემოგრაფიული სტატისტიკა.* თბილისი.

ხმალაძე, მ., ნ. აბესაძე, and მ. მუჩიაშვილი. 2017. *სტუდენტების მიგრაციული განწყობის სტატისტიკური შეფასებები* . თბილისი: ეკონომიკა XXI საუკუნე.

ხუსკივაძე, მ., and ლ. თოთლაძე. 2023. "საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზისათვის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტში." *თსუ. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* თბილისი: თსუ გამომცემლობა. 496.

ჯაოშბილი, ვ. 1984. *საქართველოს მოსახლეობა VIII-XX საუკუნეებში.* თბილისი

—. 2018. *საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა.* თბილისი: პრინტ ავენიუ.

—. 2023. "ეროვნული შემოსავლის ზრდის დემოეკონომიკური ფაქტორები." *თსუ. VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 490.

—. 2019. "საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა." *გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა. 490.

—. 2018. "შობადობის სტატისტიკა საქართველოში: მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში." *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.* თბილისი: უნივერსამი. 174-190.

—. 2024. "საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მისი გამოვლენის თავისებურებები კახეთის რეგიონში." *26. დოხტურიშვილი, ნ. „საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მისი გამოვლენის თა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.* თბილისი: თსუ.

—. 2024. *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2023 წელს.* Accessed ნოემბერი 15, 2024. https://www.geostat.ge/media/66160/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E.

2010. *საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა.* თბილისი.

2016. *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.* თბილისი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi

2013. *საქართველოს მთავრობის დადგენილება N1366.* სექტემბერი 17. Accessed აგვისტო 12, 2024. https://www.gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%931.pdf.

2018. *საქართველოს მთავრობის დადგენილება N221.* თბილისი, მაისი 11.

2021. *საქართველოს მთავრობის დადგენილება N2384, 2021 წლის 27 დეკემბერი .* დეკემბერი 27. Accessed ივლისი 12, 2024. https://rda.gov.ge/api/media/blob/8802aeaf-154b-4549-7970-08d9dc0ed34c/.

2014. *საქართველოს მთავრობის დადგენილება N262 2014 წლის 31 მარტი.* მარტი 31. Accessed ივნისი 10, 2024. https://matsne.gov.ge/ka/document/download/2304718/0/ge/pdf.

2014. *საქართველოს მთავრობის დადგენილება N262 2014 წლის 31 მარტი.* მარტი 31. Accessed ივლისი 12, 2024. https://matsne.gov.ge/ka/document/download/2304718/0/ge/pdf.

—. 2024. *სტატისტიკური ინფორმაცია კახეთის რეგიონის შესახებ.* Accessed ოქტომბერი 5, 2024. https://regions.geostat.ge/regions/kakheti.php?lang=ka.

Aassve, A., Cavalli,N., Mencarini, L, Plach,S., Livi M.Bacci. 2002. "The COVID-19 pandemic and human fertility." *Science.Vol.369 # 6502* 370-371.

Abesadze, N., O. Abesadze, R. Kinkladze, and N. Paresashvili. 2022. "Emigration Statistics - the herald of the population of Georgia or the demographic crisis." *Business and Management* 11-12.

Abesadze, N.,, Abesadze, O., , Kinkladze, R., and Paresashvili, N.,. 2023. "EMIGRATION STATISTICS – THE HERALD OF THE SURVIVAL." *BUSINESS AND MANAGEMENT 2023.* Vilnius, Lithuania: Vilnius Gediminas Technical University. 1-7.

Alcaraz, M.,. Hayford Sarah R, and Glick Jennifer E. 2022. "“Desired fertility and educational aspirrations: Adolescent goals in rapidly changing social contexts” ." *Journal of Marriage and Family.84* :7-31.

Alves, L. C., I. D. Leite, and C.J. & Machado. 2008. "The concept and measurement of functional disability in the elderly population: a literaure review." *Rio de Juneiro* 1199-1207.

Alves, Luciana Correia, Iúri daCosta Leite, and Carla Jorge Machado. 2008. "The concept and measurement of functional disability in the elderly population: a literature review." *Ciência & Saúde Coletiva; Rio de Janeiro Vol. 13, Iss. 4, 1199-1207. DOI:10.1590/S1413-81232008000400016* 1200-1207.

Bierens, J.,, and Hoogenboezem, J.,. 2022. "Fatal drowning statistics from the Netherlands – an example of an aggregated demographic profile“." *„ BMC Public Health volume 22, Article number: 339, https://doi.org/10.1186/s12889-022-12620-31* 1-19.

Billari, Francesco C. 2022. ". Demography: Fast and Slow." *Journal of Population Research Volume48* 9-30.

Billari., Francesco C. 2022. " „Demography: Fast and Slow“;." *Journal of Population Research Volume48:* 9-30.

Bleha, B., T. Kucera, L. Sidlo, B. Sprocha, and B. Vano. 2023. "Demographic processes and brief overview of population reserch in Czechia and Slovakia after dissolution of the common state." *Geographical Journal* 269-290.

Dokhturisgvili, N. 2024. "The main directions of the demographic policy of Georgia and the peculiarities of its manifestation in the Kakheti region." *IX International Scientific Conference of TSU. .Challenges of Globalization in Economy and Business".* Tbilisi: TSU.

Gelashvili, S. 2022. *Demographic and social statistics of the regions of Georgia.* . Tbilisi. .

González-Ferrer, A. 2007. "The process of family reunification among original guest-workers in Germany." *Journal of Family Research19(1), 10-33.DOI: 10.20377/jfr-335* 10-33.

Heslop, Louise A.,, Papadopoulos, N.,, and Bourk, M.,. 1998. "An interregional and intercultural perspective on subcultural differences in product evaluations." *Canadian Journal of Administrative Sciences/Revue Canadienne des Sciences de l'Administration15, no. 2:* 113-127.

n.d. *https://goodcalculators.com/sample-size-calculator/.*

J, Nestorová Dická, and Lipták F.,. 2024. "“Regional fertility predictors based on socioeconomic determinants in Slovakia”." *J Pop Research 41, 20 (2024). https://doi.org/10.1007/s12546-024-09340-3.*

Jackie, Li. 2024. "„Bayesian modelling of best-performance healthy life expectancy“." *Journal of Population Research, Volume 41, article number 8,DOIhttps://doi.org/10.1007/s12546-024-09330-5* 2-25.

Karabchuk, T.,, Dülmer,H., , and Gatskova,K., . 2022. "Fertility attitudes of highly educated youth: A factorial survey." *Journal of Marriage and Family: Volume 84, Issue 1:* 32-52.

KInkladze, R., Sh., Metreveli, and K Chitaladze. 2022. *"The impact of COVID-19 on the sex-age structure of the population".* https://dspace.tsu.ge/server/api/core/bitstreams/b9944fda-87fe-49e9-a41c-a03004c89dd8/content.

Kravel-Tovi, M.,. 2021. "Struggling with anxiety: demographic statistics and an emotionalised American Jewish public sphere." *Emotions and SocietyVolume 3: Issue 1,https://doi.org/10.1332/263169021X16136666888731* 35-53.

Li, J. 2024 . " Bayesian modelling of best-performance healthy life expectancy. ." *J Pop Research 41, 8 (2024). https://doi.org/10.1007/s12546-024-09330-5.*

2019. *Moirangthem Hemanta Meitei „Chapter 12 - Demographic Situation of Manipur,.* India,, Handbook of Statistics Volume 40: RESERVE BANK OF INDIA.

Nunnally, Jum C. 1967. *Psychometric theory.* New York: New York, McGraw-Hill.

Nunnally, Jum C. 1967. *Psychometrics, Psychométrie, Tests psychologiques, Psychometrie, Theorie.* New York, McGraw-Hill.

Pessin, L.,, Rutigliano, R., , and Haddock Potter,M.,. 2022. "Time, money, and entry into parenthood: The role of (grand)parental support." *Journal of Marriage and Family: Volume 84, Issue 1* 101-120.

2001. *Principles and Recommendations for a Vital Statistics System.* NY: 11.

Sakhvadze, A. 2022.

—. 2024. *https://kvira.ge/924933.*

2024. *sample-size-calculator.*

Schoffer O, Schriefer D, , Werblow A, , Gottschalk A,, and Peschel P, . 2023. "Modelling the effect of demographic change and healthcare infrastructure on the patient structure in German hospital a longitudinal national study based on official hospital statistics." *BMC Health Serv Res. 2023 Oct 11;23(1):1081. doi: 10.1186/s12913-023-10056-y. PMID: 37821860; PMCID: PMC10566170.*

Schoffer, O, D Schriefer, A Werblow, A Gottschalk, and P. Peschel. 2023. "Modelling the effect of demographic change and healthcare infrastructure on the patient structure in German hospital a longitudinal national study based on official hospital statis." *BMC Health Serv Res* 1081.

Shinjiashvili, T.,, Chanturia,N.,, and Metreveli, Sh. 2014. "Women's employment and reproductive behavior Mutual influence in the post-Soviet space." In *Demography and Sociology*, 88-90. Ilia Stae University.

2010. "Social demographic and family policy of demographic development of Georgia." Tbilisi.

Sulaberidze, A. 2002. "Problems of Socio-Demographic Policy in Georgia“ ." *Sociological Research, 42(1), DOI: 10.2753/SOR1061-0154420187* 87-96.

Tan, J.,, and Shao-Tzu Yu . 2024. "A life course perspective: women’s childhood background and family formation trajectories in low-fertility South Korea“." *Journal of Population Research. Volume 41, article number 13.*

Totadze, A. 2018. *"Demographic Development Program of Georgia".* Accessed 2024. https://dlab.ug.edu.ge/books/detail/7711.

.

დანართი 1

ემიგრანტების და იმიგრანტებისრიცხოვნობა სქესის მიხედვით (კაცი)

	2023					
	ემიგრანტი			იმიგრანტი		
	სულ	**კაცი**	**ქალი**	**სულ**	**კაცი**	**ქალი**
	245,064	**137,311**	**107,753**			
0	**3,001**	1,633	1,368	**2,419**	1,253	1,166
1-4	**15,925**	8,431	7,494	**8,989**	4,728	4,261
5-9	**28,172**	14,723	13,449	**14,226**	7,411	6,815
10-14	**39,413**	20,298	19,115	**16,292**	8,575	7,717
15-19	**28,441**	14,616	13,825	**16,500**	8,748	7,752
20-24	**17,487**	10,498	6,989	**22,223**	12,874	9,349
25-29	**23,273**	14,443	8,830	**24,863**	15,323	9,540
30-34	**21,490**	13,976	7,514	**23,920**	15,640	8,280
35-39	**17,561**	11,407	6,154	**18,815**	12,497	6,318
40-44	**13,306**	8,398	4,908	**14,164**	9,285	4,879
45-49	**10,593**	6,345	4,248	**11,608**	7,165	4,443
50-54	**8,533**	4,626	3,907	**9,715**	5,614	4,101
55-59	**6,482**	3,341	3,141	**7,965**	4,130	3,835
60-64	**5,217**	2,332	2,885	**6,531**	3,004	3,527
65-69	**3,076**	1,179	1,897	**3,924**	1,590	2,334
70-74	**1,639**	587	1,052	**2,111**	766	1,345
75-79	**731**	271	460	**833**	291	542
80-84	**483**	148	335	**502**	170	332
85+	**241**	59	182	**257**	78	179

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

კახეთის რეგიონი საქალაქო და სასოფლო დასახლება (ათასი კაცი)



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

დანართი 3

კახეთის მოსახლეობის სტრუქტურა ეროვნების მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერა)

ეროვნება	რიცხოვნობა (კაცი)	წილი რეგიონის მთელ მოსახლეობაში (%)
ქართველი	271298	88.6
აზერბაიჯანელი	32354;	10.6
სომეხი	2191	0.7
რუსი	1921	0.6
ოსი	2526	0.8
იეზიდი	504	0.2
უკრაინელი	202	0.1
ქისტი	5581	1.8
ბერძენი	158	0.1
ებრაელი	12	0.003
სხვა	1794	0.6

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დანართი 4

კახეთის რეგიონის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა საქალაქო/სასოფლო დასახლებების მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერით ათასი კაცი)

	სულ			ქალაქის დასახლება			სოფლის დასახლება		
ასაკი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
0-4	20 613	10 987	9 626	4 674	2 431	2 243	15 939	8 556	7 383
5-9	18 676	10 024	8 652	4 369	2 332	2 037	14 307	7 692	6 615
10-14	17 415	9 263	8152	3 890	1 997	1 893	13 525	7 266	6 259
15-19	18 216	9 973	8 243	3 923	2 077	1 846	14 293	7 896	6 397
20-24	19 759	10 658	9 101	4 328	2 204	2 124	15 431	8 454	6 977
25-29	21 068	11 102	9 966	4 865	2 393	2 472	16 203	8 709	7 494
30-34	19 697	10 167	9 530	4 684	2 320	2 364	15 013	7 847	7 166
35-39	19 750	10 135	9 615	4 752	2 327	2 425	14 998	7 808	7 190
40-44	20 489	10 297	10 192	4 769	2 283	2 486	15 720	8 014	7 706
45-49	19 770	9 871	9 899	4 454	2 116	2 338	15 316	7 755	7 561
50-54	23 991	11 534	12 457	5 313	2 502	2 811	18 678	9 032	9 646
55-59	23 420	11 000	12 420	5 041	2 213	2 828	18 379	8 787	9 592
60-64	20 236	9 142	11 094	4 640	1 971	2 669	15 596	7 171	8 425
65-69	16 210	7 033	9 177	3 686	1 495	2 191	12 524	5 538	6 986
70-74	11 974	4 869	7 105	2 632	963	1 669	9 342	3 906	5 436
75-79	14 417	5 530	8 887	2 947	1 005	1 942	11 470	4 525	6 945
80-84	7 974	3 061	4 913	1 568	577	991	6 406	2 484	3 922
85+	4 908	1 508	3 400	991	260	731	3 917	1 248	2 669

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დანართი 5

ბუნებრივი მატების დინამიკა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით (კაცი) 2015-2023 წწ



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

დანართი 6

კახეთის რეგიონის შობადობის ხვედრითი წილი და ინტენსივობა მუნიციპალიტეტების მიხედვით 2023 წელს

მუნიციპალიტეტები	შობადობა (Δ)	ხვედრითი წილი (%)	ინტენსივობა (‰)
ახმეტა	298	9,6	96
გურჯაანი	454	14,6	146
დედოფლისწყარო	193	6,2	62.2
თელავი	563	18,1	181,4
ლაგოდეხი	441	14,2	142,1
საგარეჯო	616	19,9	198,5
სიღნაღი	250	8,1	80,6
ყვარელი	288	9,3	92,8

წყარო: *ცხრილი აგებულია და გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.*

დანართი 7

დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას რეგიონების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დანართი 8

გარდაცვლილთა რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით კახეთის რეგიონში 2023 წელი.(კაცი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 9

5 წლამდე მოკვდაობის კოეფიციენტი (1000 ცოცხლად დაბადებულზე) კახეთის რეგიონში სქესის მიხედვით.



წყარო: *დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

დანართი 10

კახეთის რეგიონში გარდაცვალების მიზეზების ძირითადი კლასების მიხედვით (კაცი)

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა+B129:B148	30	30	28	34	31	32	42	37	36	26
სიმსივნეები	583	580	665	669	695	677	656	609	473	505
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმის ჩათრევით გამოწვეული ზოგიერთი დარღვევა	29	32	30	40	27	41	21	36	33	21
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	103	122	83	108	72	126	94	106	111	108

ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	3	8	4	14	4	5	3	8	16	17
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	40	54	43	80	62	78	57	70	85	68
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	0	1	2	1	0	0	0	0	0	0
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები	0	0	1	0	0	0	0	0	0	0
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	2436	2539	2152	2475	2638	2618	2536	2729	1901	1960
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	159	180	219	221	277	222	310	254	228	209
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	113	114	143	145	128	168	149	144	104	152
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	0	1	4	10	3	0	0	2	6	1
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები	8	7	9	4	1	1	1	1	2	1
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	45	37	58	64	60	58	25	45	35	42
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	1	0	1	1	0	2	1	5	2	1
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	33	32	44	45	24	28	24	26	18	19
თანდაყოლილი ანომალიები (განვითარების მანკები), დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	14	15	8	9	8	6	10	9	6	3
კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	1314	1010	1453	678	307	217	293	194	928	585

ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი**	163	195	152	177	202	241	215	211	202	213
სპეციალური დანიშნულების კოდები (U07.1 - ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (COVID-19), ვირუსი ლაბორატორიულად იდენტიფიცირებულია)	-	-	-	-	-	-	107	1047	222	29

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დანართი 11

კითხვარი

პატივცემულო ქალბატონო/ბატონო!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა სწავლობს დემოგრაფიული პროცების განვითარების ტენდენციებს კახეთის რეგიონში. გამოკვლევის მიზანია კახეთის რეგიონის დემოგრაფიული მდგომარეობის სტატისტიკური შესწავლა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება. ამიტომ, გთხოვთ, უპასუხოთ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს.

იმედი გვაქვს რომ გამოყოფთ დროს კითხვებზე პასუხის გასაცემად, რაც დიდად დაგვეხმარება.

კითხვებზე პასუხობენ 15-50 წლის მოქალაქეები.

კითხვის პასუხებიდან გთხოვთ მონიშნოთ თქვეთვის ყველაზე მისაღები მხოლოდ ერთი ვარიანტი.

სახელის და გვარის მითითება აუცილებელი არ არის.

წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

თქვენი სქესი ?

1. მამრობითი 2. მდედრობითი

თქვენი ასაკი?

1. 15-29 2. 30-39 3. 40-50

მიუთითეთ თქვენი ქორწინების მდგომარეობა?

1. ვარ დაქორწინებული 2. არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში

3.ვარ განქორწინებული(გაშორებული) 4. ვარ ქვრივი

თქვენი განათლება?

1. ზოგადი საშუალო და უფრო დაბალი
2. საშუალო სპეციალური
3. უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი

თქვენი ეროვნება?

1. ქართველი 2. რუსი 3. აზერბაიჯანელი 4. სომეხი 5. ოსი 6. სხვა.

არის თუ არა თქვენი მეუღლე თქვენივე ეროვნების?

1. დიახ 2. არა

თქვენი აზრით, რამდენი ბავშვი უნდა იყოს ოჯახში?

1. 1 2. 2 3. 3 4. 4 და მეტი

პირადად თქვენ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ?

1. 1 2. 2 3. 3 4. 4 და მეტი

რამდენი ბავშვი გყავდ ამჟამად?

1. 1 2. 2 3. 3 4. 4 და მეტი

როდის შეგეძინათ პირველი ბავშვი?

1. ქორწინებიდან პირველი წლის განმავლობაში 2. 1 წლის შემდეგ

3.2 წლის შემდეგ 4. 3 და მეტი წლის შემდეგ.

თქვენი აზრით როდის სჯობია პირველი ბავშვის ყოლა?

1. ქორწინებიდან პირველი წლის განმავლობაში 2. 1 წლის შემდეგ

3.2 წლის შემდეგ 4. 3 და მეტი წლის შემდეგ.

მიუთითეთ რა ასაკში გეყოლათ პირველი შვილი?

1. 25 წლამდე 2. 25 წლის შემდეგ

როგორ ფიქრობთ ქალისთვის რა ასაკშია ყველაზე უკეთესი უკანასკნელი შვილის ყოლა?

1. 30-34 2. 35-39 3. 40-44 4. 45 და მეტი

სულ რამდენი ბავშვი ჰყავდათ თქვენს მშობლებს?

1. 1 2. 2 3. 3 4. 4 და მეტი

სულ რამდენი ბავშვი ჰყავდათ თქვენს პაპა-ბებიებს?

1. 1 2. 2 3. 3 4. 4 და მეტი

თუ თქვენ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე გსურთ, მიუთითეთ რატომ?

1. ერთ-ერთი მეუღლის ჯამრთელობის მდგომარეობა 2. მატერიალური პირობები

   3.ოჯახური მდგომარეობა 4. ცუდი სამუშაო პირობები

   5. ცუდი საბინაო პირობები 6. უკვე მყავს ბავშვების სასურველი რიცხვი

   7. სხვა მიზეზები.

თქვენი არსებობის ძირითადი საშუალება (შემოსავლის წყარო)?

1. დასაქმებული ვარ სახელმწიფო სექტორში. 2. დასაქმებული ვარ კერძო სექტორში

   3.მაქვს კერძო ბიზნესი. 4. შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან. 5. პენსია.

   6. უმუშევარი ვარ და მაქვს არასტაბილური შემოსავალი. 7. სხვა სახის დახმარება.

რამდენი წევრისგან შედგება თქვენი ოჯახი?

1. 2 2. 3 3. 4 4. 5 და მეტი

როგორ აფასებთ თქვენი ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას?

1. კარგად. 2. დამაკმაყოფილებელი. 3. ცუდად.

როგორ აფასებთ თქვენს საბინაო პირობებს?

1. კარგად. 2. დამაკმაყოფილებელი. 3. ცუდად.

თქვენი აზრით, რამდენი წელია სიცოცხლის საუკეთესო ხანგრძლივობა?

1. 70-მდე. 2. 80 3. 90 4. 100 5. 100 და მეტი.

როგორ მიგაჩნიათ რა მოქმედებს ყველაზე მეტად ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგძლივობაზე?

1. მატერიალური კეთილდღეობა. 2. ეკოლოგიური პირობები.

   3.საკუთარ თავზე ზრუნვა. 4. მემკვიდრეობა 5. მავნე ჩვევები

   6. სამედიცინო მომსახურების ხარისხი 7. მიჭირს პასუხის გაცემა.

როგორი თქვენი ჯამრთელობის მდგომარეობა?

1. კარგად. 2. დამაკმაყოფილებელი. 3. ცუდად.

ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით რომელ ჩვევებს ფლობთ?

1. სისტემატური სამედიცინო შემოწმება. 2. კვების რეჟიმი.

   3.მოწესრიგებული ძილი. 4. სპორტული დატვირთვა.

   5. რეგულარული დასვენების რეჟიმი 6. სხვა.

რომელი ასაკიდან უნდა დაიწყოს ადამიანმა ზრუნვა საკუტარ ჯამრთელობაზე?

1. 15-29 წლიდან 2. 30-39 წლიდან 3.40-50 წლიდან.

4. როცა საჭირო გახდება 5. საერთოდ არ არის საჭირო

როდის დაიწყეთ ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობაზე?

1. 15-29 წლიდან 2. 30-39 წლიდან 3.40-50 წლიდან.

4. როცა საჭირო გახდება 5. ამის საჭიროება არ არის

6. მიჭირს პასუხის გაცემა

თუ თქვენ ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, რითი არის ის განპირობებული?

1. აღზრდით. 2. გარშემომყოფი ადამიანების მაგალითით.

3.სამედიცინო ინფორმაციის გავლენით. 4. ჯანმრთელობის გაუარესებით

5. ფიზიკურად ძლიერად ყოფნის სურვილით

როგორი რეგულარობით ზრუნავთ თქვენს ჯანმრთელობაზე?

1. მუდმივად. 2. დროგამოშვებით 3. არ ვზრუნავ. 4. მიჭირს პასუხის გაცემა

თუ თქვენ არ ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, რატომ?

1. ზრუნვა არ იძლევა კარგი ჯამრთელობის გარანტიას.

2. არ არის საჭირო ზრუნვა, მე ისედაც ჯანმრთელი ვარ

3. არ მყოფნის ნებისყოფა 4. არ ვიცი როგორ ვიზრუნო 5. სხვა.

იყო თუ არა თქვენს ცხოვრებაში შემთხვევა, როდესაც ვინმეს სიკვდილმა დაგაფიქრათ თქვენი ჯანმრთელობისადმი დამოკიდებულებაზე?

1. დიახ 2. არა

რაში გამოიხატება თქვენს მიერ საკუტარ თავზე ზრუნვა?

1. არ ვსვავ. 2. არ ვეწევი 3. კარგად ვიკვებები 4. რეგულარულად ვისვენებ 5. მოწესრიგებული მაქვს ძილი. 6. მივსდევ სპორტს, ვისვენებ აქტიურად,

7. არ არის საჭირო განსაკუთრებულად თავის მოვლა, ისედაც ჯანმრთელი ვარ.

8. სხვა.

ხართ თუ არა მართმადიდებელი ან სხვა ეკლესიის მრევლის წევრი?

1. დიახ 2. არა

დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური რეგიონური და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი https://regions.geostat.ge/regions/kakheti/axmeta.php?lang=ka

რეგიონები												
	2018		**2019**		**2020**		**2021**		**2022**		**2023**	
ახმეტა	**765.2**		**1 033.5**		**1 134.6**		**1 134.0**		**1 296.6**		**1 643.1**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	666.9	798.3	655.3	1 213.4	554.2	1 597.7	612.3	1 486.2	796.5	1 662.6	1 158.7	1 869.1
გურჯაანი	**486.5**		**671.8**		**667.5**		**921.6**		**1 058.9**		**1 135.9**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	362.7	568.4	458.3	848.4	488.4	790.7	660.5	1139.3	768.3	1 290.8	970.3	1 234.9
დედოფლისწყარო	**952.3**		**848.8**		**560.8**		**466.1**		**922.8**		**1 158.5**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	306.1	1 416.7	417.8	1 103.1	433.6	669.3	325.7	575.0	720.6	1 048.8	559.2	1 543.0
თელავი	**788.2**		**815.6**		**895.4**		**873.3**		**1 246.7**		**1 385.7**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	549.6	954.8	568.0	992.4	625.0	1 097.3	671.8	1 015.2	852.2	1 575.9	838.8	1 897.9
ლაგოდეხი	**299.7**		**464.4**		**513.7**		**480.9**		**602.1**		**723.9**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	152.2	372.6	209.8	634.8	267.2	641.3	233.4	669.5	267.0	977.2	644.5	777.5
საგარეჯო	**942.0**		**965.8**		**1 074.2**		**823.8**		**1 171.1**		**963.7**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	648.3	1 059.8	523.4	1 191.3	706.6	1 219.3	330.0	1 258.8	842.4	1 292.0	728.1	1 123.6
სიღნაღი	**562.6**		**434.1**		**415.2**		**582.2**		**817.5**		**827.2**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	548.9	573.3	321.2	533.2	313.5	547.5	326.6	870.8	550.4	1 079.6	471.4	1 221.0
ყვარელი	**710.8**		**665.1**		**893.4**		**1 438.2**		**1 167.3**		**1 193.1**	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
	506.6	820.1	545.3	726.6	588.4	1 074.7	722.2	1 950.2	841.9	1 357.8	970.6	1 367.2